ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. ივნისი, №6(58), ფასი 3 ლარი

შალვა ქიქოძე — ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი 47

ოტია იოსელიანი — 85

«გამოდისარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო, კი, მაგრამ მე ისეთი შტერი ვარ, ვერ 4
დევინახე ეს აშენებული ქვეყანა?! ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?»

წყალი — ეროვნული სიმდიდრე

პაატა გიორგაძე: 16
«საქართველოს შეუძლია, თავისი ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგებიდან გარკვეული წვლილი შეიტანოს დედამიწის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში... ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით»

1 ივნისი წმ. ნინოს ხსენების დღეა

„მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე“ 18

მიხეილ ვორონცოვი — საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამნერგავი 43

სარჩევი

მამულიშვილი

ოტია იოსელიანი — 85 4

ზეციური სამსახური ამქვეყნიური საქმით 5

იუბილე

კახი კავსაძე — 80

«მაშ, ვინაა პატრიოტი?» 10

ილიას გაკვეთილები

ილია ჭავჭავაძე: კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია 14

აქტუალური თემა

წყალი — ეროვნული სიმდიდრე 16

რელიგია

ლევან სანიკიძე: ნინო განმანათლებელი 18

ქართველები საზღვარგარეთ

ანთიმოზ ივერიელი 25

თვალსაზრისი

საკუთარი თავის გაქურდვა 28

დედაქალაქის ისტორია

იოსებ გრიშაშვილი: ძველი თბილისის ბიბლიოთეკა 32

ჩვენი ისტორია

როინ მეტრეველი: საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები 37

დავით გოგიშვილი: ერეკლე მეფეზე უკეთესი ნაბიჯი ქვეყნის გადასარჩენად არავის გადაუდგამს 41

მართალი ისტორია

ვორონცოვი — საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამნერგავი 43

ხელოვნება

შალვა ქიქოძე — ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი 47

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
ი-892

ოტია იოსელიანი — 85

«გამოდიხარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო, კი, მაგრამ მე ისეთი შტერი ვარ, ვერ დევინახე ეს აშენებული ქვეყანა?! ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა? კაცი უდაბნოში რომ მოსვდება, ყვირის, მიშველეთო. კი იცის, ვერავინ რომ ვერ უშველის, მაგრამ მაინც ყვირის, დაღუპვის შიში აყვირებს. სწორედ ასე ვარ ახლა მეც. კი ვიცი, ამათ რომ არ ეყურებათ, მაგრამ მაინც ვყვირი, ქვეყნის დაღუპვის შიში მაყვირებს»

იმერეთში, ერთ დროს სიცოცხლით სავსე ქალაქ-კურორტ წყალტუბოში, ხელოვნების ქუჩაზე ცხოვრობდა მწერალი **ოტია იოსელიანი.**

შემოქმედის უჩვეულო სამყარო, ღრმა და უფაქიზესი სული მისი ორიგინალური კარ-მიდამოს ერთი ნახვითაც იგრძნობოდა.

„როცა პოეტი კარგი გლეხია, თვითონ მიწასაც უყვარს ასეთი, ვაზი აივნებს შემოხვევია, რთავს სილამაზეს სილამაზეთი“.

ეს სტრიქონები პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა ამ ოჯახში სტუმრობის შემდეგ დაწერა. მწერლის ეზოში ყველაფერი მართლაც რომ ოტიას დაკოჟრილი ხელებით იყო ნასათუთევი, ყველაფერს გამოცდილი მეურნის მზრუნველობა ეტყობოდა, აშენებდა, თოხნიდა, ამყნობდა ვაზს, გაზაფხულზე ოციოდე ნერგს, მის ეზოში ადგილი რომ არ ქონოდა, მეზობლისას დარგავდა ან გზის პირზე... **„თვალის კაკლებში ვუყურებ ჩემს ხალხს, რა სტკივა ან რა უხარია, ვწერ, მიყვარს და ვწერ“...** — ასე ცხოვრობდა და იღვწოდა მწერალი, რომელსაც გაჩენის დღიდან დიდი ტკივილის გარეშე ნამცეცი სიხარული არ ღირსებია, დარდად ქცეოდა ქვეყნის ვარამი, სტკიოდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ნაჭერ-ნაჭერ გაყიდული ქართული მიწა; აფიქრებდა წიგნს დაშორებული ახალგაზრდობისა და დამახინჯებული ქართული ენის ბედი; უკვირდა, როცა ირგვლივ ამდენი უსახლკაროა, როგორ ელხინება მავანს, როგორ იშენებს სასახლეებს...

„სადა ხარ, ღმერთო, შენი შექმნილი ქვეყანა რომ ხელიდან მიდის?“ — აღმოხდება გულდამდეღრულ მამულიშვილს და ამჯერად თავისი სათქმელი პოეტურ სტრიქონებად ამოთქვა და ბატონი ოტიას შემოქმედებაში რომანის, ნოველის, მოთხრობის, პიესის, იგავ-არაკის გვერდით საუცხოო ლექსებმაც დაიდო ბინა.

ბედნიერია ადამიანი, რომელიც უკან მოიხედავს და განვლილ გზაზე შრომისა და სიკეთის კვალს დაინახავს. სწორედ ასეთ კვალს ავლებდა ბატონი ოტია. მარტის ერთ მზიან დღეს უკანასკნელად გვიმასპინძლა თავისივე ხელით აგებულ ოდაში.

„თავს როგორ გრძნობთ, ბატონო ოტია, როგორ ხართ?“ — ამ შეკითხვაზე ბატონ არმაზ სანებლიძეს, რომელსაც იმ დღეს მწერალთან თურმე ბოლო ინტერვიუ ჩაუწერია, უპასუხა: **„კარგად მტერი იქნა ახლა. თუ ვინმეა კარგად, ცოტა შორს გოუარეთ, არაფერი მოგწიოთ! გაასწარით! ჩვენ უკვე განწირული ქვეყანა ვართ... რა ვქნათ ახლა, ამ გაზაფხულზე? ვინაა რამეს გამკეთებელი? ყველამ უნდა მოკიდოს საქმეს ხელი, თორემ ვის ატყუებ — საკუთარ თავს? შენ უნდა მიიღო მოსავალი, ხომ? მოსავალი რომ მიიღო, უნდა შექმნა. ამას უნდა გლეხი, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს...“** (ეს ვრცელი ინტერვიუ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სამ ნომერში დაიბეჭდა, რომელსაც შემოკლებით ქვემოთ გთავაზობთ).

ეს იყო 2011 წლის გაზაფხული... მალევე გარდაიცვალა.

დარეჯან ანდრიაძე

ზეციური სამსახური ამქვეყნიური საქმით

— ბატონო ოტია, თქვენ ეკლესია ახსენეთ, და მინდა გკითხოთ: შეძლებს ეკლესია ჩვენს სულიერ აღორძინებას? ეყოფა ძალა საამისოდ? მოვერევით მისი ძალისხმევით ჩვენს პრობლემებს?

— ყველაფერი შეუძლია რელიგიას. მართლმადიდებლობამ მოიტანა ჩვენი ქვეყანა აქამდე. „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ“, — გვითხრა ეკლესიამ. შენ რას აკეთებო, ვისაც სახელი გაქვს, მამის სახელი და გვარი? საქმეს რომ გთხოვს იგი, საქმით უნდა უპასუხო. თუ ხელს არ გაანძრევ, მეც ვერ გიშველიო.

რელიგიურობა ის არ არის, შეხვიდე ეკლესიაში, პირჯვარი გადაიწერო, გამოხვიდე და მერე იქურდო და იმამაძაღლო.

ჭეშმარიტი რწმენა რომ ჰქონდეს კაცს, მან უნდა იცოდეს, რომ უნდა გათოხნოს, მოსავალი მოიწიოს, გაჭირვებულს უნდა მიეხმაროს.

— ამქვეყნიურ საქმეს მიხედოს?

— ერთადერთი, რითაც შეიძლება ვიბრძოლოთ ახლა, ჩვენი პატრიარქის ნათქვამ სიკეთეს უნდა მივყვეთ. ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვართ. მაგრამ იმასთან შეხვედრის მეშინია — ოთხ საათს ვერ დაეფცქვნები ხელიდან. სულ გეკითხება და გისმენს, გეკითხება — გისმენს, გეკითხება — გისმენს.

— ხელისუფლებას რა ჭირი შეეყარა, არაფერს რომ არ გვეკითხება?

— სწორედ მაგი.

— ბატონო ოტია, თქვენს ნათქვამს გაგახსენებთ: „მე მორწმუნე ვარ, მხოლოდ ჩემი ეკლესიის გუმბათზე ფრესკად საქართველოს რუკაა“.

— ეს ასეა... მაგრამ იცი, რა? არ შეიძლება ჩვენთან არც კოლექტივი, არც კოოპერატივი, არც არაფერი, იმიტომ, რომ ქართველის ბუნება საშინელებაა ამ მხრივ. მამა რომ გარდაიცვლებოდა და ორი ძმა დარჩებოდა, მაშინვე იყოფდა მამისეულს. ე, ბიჭო, ორი ძმა ხართ, იმუშავეთ აგერ, მოიწიეთ და შეგარგოთ ღმერთმა. არა! ჩემსავით მაი არ მუშაობსო. შეიძლება, მოწეული მერე მიეცა, მაგრამ მიწას — არა, არ დათმობდა. სარის სიმსხოზე რომ გადმოეწია საზღვარი, იმ სარს ხეთქავდა თავში ძმას, რომელიც უყვარდა. მიწაა გლეხის ასავალ-დასავალი, მისი საარსებო, მისი რწმენა, მისი საქმე.

— „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენიო?“

— ღვთიური ნათქვამია, რა დონეზეა აყვანილი! მტერი უნდა მოიშორო, მარა უსიყვარულოდ კი არა. სიძულვილს როგორც კი შენს სულში ჩადებ, გაბოროტდები. მარა შევძლებთ კი ამას? არა მგონია, იმიტომ, რომ მათხოვარს აღარც ერთის თავი აქვს, აღარც — მეორის.

მაგი იყო, ლექცია რომ წავიკითხე აკადემიაში, სასულიეროში. იქ დავაყენე მაგ საკითხი. ამგენს რატომ ჰგონიათ-მეთქი, რომ ეკლესია ფულის საკეთებელი ადგილია?! ქართველი ფულს ხელის ჭუჭყს ეძახოდა. რა უნდა ჭუჭყს ეკლესიაში?! წმინდათაწმინდა ადგილია ეკლესია.

— შე ოჯახაშენებულო, — ვუთხარი, — თუ არა აქვს, არ მონათლავ? თუ არა აქვს, არ დაწერ ჯვარს? თუ შემოგწირავს, ეგ მისი საქმეა, შენ ვალდებული ხარ, ღვთისმსახურება შეასრულო: მირონი თუ გაყიდე, მირონი აღარ არის. გაყიდულია.

საშინელება ტრიალებს!

ჩემს სოფელში პატარა სალოცავი მინდა ავაშენო. არაო. პროექტი უნდა იყიდოთ საპატრიარქოდანო. მე შევუთვალე: არაფერი სოფელს არ გააჩნია, რომ ჩამოკიდო, ათ ლარს ვერ იშოვი. მაგრამ არის მუშახელი, ხელოსანი. სახურავის მასალას, ლურსმანია თუ რაღაცას, მე ვუყიდი. თქვენ რაში მომეხმარებით-მეთქი? ასე შევუთვალე... იქით მივცე ფული?

— სად დგანან, ბატონო ოტია, ცის დანიშნული და ერის გაზრდილი ჩვენი მწერლები?

— სადაა მწერლები, კაცო?! რომ გამოყრი ქუჩაში, ჯერ ერთი. მეორე, იქაც — მწერალთა კავშირში, ხომ ხედავ, რა ამბები დატრიალდა? შენ ცის დანიშნული ხარ, რომ „წარუძღვე წინა ერსა“, და ვინ მოგცა უფლება ჩხუბის და კინკლაობის?! თუ რამე საკამათოა, ვერ დაჯდები და ვერ ილაპარაკებ, პოლიციის გასაშველებელი რომ არ გახდე?

აჰ! ეს არ არის მწერლობა!

ვინ მოიგონა მწერლების ჩინმენდლები და ვინაა, რომ მაჯილდოვებს? იცის, რა დავწერე?

ავსტრიაში ვიყავი სამკურნალოდ. ვეკითხები იქოურებს: ჯორჯია — გეორგია, საქართველო ხომ არ გაგიგონიათ? კაცს არ გოუგონია. ორი აღმოვაჩინე სასწაულად განათლებული. კიო, ვიციო, მითხრა ერთმა. არ გადამრიო, რა იცი-მეთქი? ის ვიცი, რომ თქვენ რუსები არ უნდა იყოთო. ესაა ყველაზე კარგი მცოდნე იქ.

აქეთ რომ გკითხოს, ვინა ხარო, რას შობი? დოუდევი აგერ ნახატი, რომელსაც თარგმნა არ უნდა, აგერ — მუსიკა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აგერ — სათარგმნელი თუ გაქვს ლიტერატურა.

ესა ვარ მე!

სხვა შენ არაფერი არა ხარ! ხელგაშვერილი მათხოვარი ხარ!

— სიტყვამ მოიტანა და მინდა გკითხოთ, ლექსების ტომს როდის გამოსცემთ?

— მეათე ტომი ლექსები უნდა იყოს, მაგრამ რავალი საქმეა საქართველოში ტომების წერა ლექსებისა?

ჩემთან, აქ რომ მოხვიდე, გური-

ელის ქუჩა უნდა გეიარო, უშველები ქუჩა მამია გურიელისა. არც აქოური იყო, არც არაფერი, მაგრამ ქუჩა მისი სახელობისაა. ერთი ლექსი აქვს დაწერილი. მაგრამ ერთი ლექსი საქართველოში ნიშნავს უზარმაზარ ეროვნულ სულიერებასაც, ზნეობასაც და კულტურასაც. გვყავს ჩვენ თითო-თითო ლექსების ავტორები, არც ერთი არ დაგვივიწყებია.

შენ კი ტომებს უბათქუნებ ამ ქვეყანაში?

აგერ პატარა წიგნი გამოვეცი. ასი ლექსი გალაკტიონის მერე ვერ გავბედე და 99 გამოვაქვეყნე, პატარა ტირაჟით. ეს რა გამოცემაა — 300, 400, 1000 ეგზემპლარი. უწინ ათი ათასი ერთი ტირაჟი იყო, ოცი ათასი — ორი ტირაჟი და ა.შ.

— და ჰონორარსაც გაძლევდნენ, ფულს გიხდიდნენ.

— დიდუ! ფულს მაძლევდნენ?! ჩემდენი ფული ვის ჰქონდა მაშინ! წიგნებში მაძლევდნენ და ასობით თეატრი რომ დგამდა ჩემს პიესებს, იქიდანაც ფული შემომდიოდა... ამ პატარა წიგნში ლირიკაა, სატრფიალო ლექსებია.

ჭადნატეხა და პურნატეხა მაინც...

— რომელ წლამდე შეიძლება კაცს უყვარდეს?

— სიყვარულს საზღვარი არ აქვს. თუ არ უყვარს, ესე იგი, არ არსებობს. სიყვარულია ერთადერთი, რისთვისაც ღირდა, ამ გათახსირებულ წუთისოფელში რომ მოსულიყო ადამიანი.

ერთ ტელეარხზე არის გადაცემა — „ცხოვრება მშვენიერია!“. ჩვენში, კაცო?! შენ მოგეკიდა ცეცხლი! ისედაც ჯოჯოხეთია. ასე შეზღუდული რომ იქნება აზროვნება, რამ უნდა გადაარჩინოს ეს ქვეყანა?!

(და ბატონი ოტია იწყებს ლექსის კითხვას, რომელიც მისი წიგნის „სიშორით სიახლოვის“ შესავალია და ეწოდება „წინათქმა“, ერთადერთი სათაურიანი ლექსი 99-ს შორის, დანარჩენი დანომრილიაო, — მითხრა. კითხულობს და რეპლიკებს ურთავს. გთავაზობთ):

— ეს ჩვენი ცინცინატუსები არც მხედართმთავრებად რომ არ უქნია ღმერთს და არც მიწის მუშებად?

— ამიტომაც გადმოდგებიან ბედოვლათები და — ხუთჯერ გავზრდით მოსავალსო. რანაირად?

ფრანგმა, მოსავალი რომ მიეღო, გლეხზე თქვა უარი. მე რომ შემეძლოს კიდეც, ამის გამკეთებელი არ ვარ: რად მინდა მთელი სოფელი, ერთი კაცის მეტი თუ არ იქნება?!

რა ვქნათ ახლა ჩვენ? ის კაცი ამბობს, რომ ხუთმაგი მოსავალი უნდა მივიღოთო. მაგრამ ხომ უნდა იცოდე, რის გაკეთებას აპირებ საამისოდ?

არ ვიცით.

— და არც გვექნება პური ჩვენი არსობისა?

— ის პური, ჩვენ რომ ვჭამთ, ის პური არ იჭმევა. ავსტრიაში, ახლა რომ ვიყავი, კილო პური ღირს ჩვენს ფულზე 10 ლარი. ბავშვს რომ აჭამონ, ის ხუთი კილომეტრით ტრასას დაშორებულ ყანაში უნდა იყოს მოწეული.

შარშან, მართალია, ცუდი მოსავალი იყო, მაგრამ დათესილიც რომ არ იყო? ვინ ხნავს? ვინ თესავს? ტრაქტორიც რომ მისცე, ყველას უნდა დაურიგო: ერთს ხომ არ გამოაკლებ? მაგრამ იგი ერთ დღეში მოხნავს, რაც მას სჭირდება, მერე დააყენებს.

რას ვაპირებთ?

თუ რამეს ვაპირებთ, მე უნდა ვიცოდე, რადგან ერთი კაცი ვარ საქართველოში, ვინც წერა-კითხვა იცის და — მიწა. ამათ ან არაფერი არ იციან, ან ერთი თუ იციან, მეორე — არა.

უნდა შემეძლოს, გიპასუხო, რა ვქნათ ჩვენ იმისთვის, ჭადნატეხა და პურნატეხა მაინც რომ არ ვიმათხოვროთ?

ვერ გეტყვი.

მე რომ ვიცი ჩვენი (!) ხასიათი, ჩვენი ბუნება და ვიცი ჩვენი ეროვნული გამოთაყვანება, არაფრის შემქნელი აღარ ვართ. ახლა რასაც დასთესავ, იმას მოიმკი. მაგრამ კაცი ინძრევა ვინმე?

შემოდგომაზე ხუთჯერ მეტ მოსავალს მივიღებთო! ისე აშენდა შენი პატრონი! არ არის ის კაცი, ვინც ამას გააკეთებს. მე საიდან მოგიყვან: ამერიკა გამომიგზავნის ჰუმანიტარულ გლეხს?!

ბატონი ოტია განსაკუთრებით წუხს იმის გამო, რომ ასიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციები სრული უყურადღებობით გატყიურდა, პრაქტიკულად გაქრა საქართველოს ეკონომიკის ეს დარგი, რომელსაც მნიშვნელოვანი მოგება შეჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში. გაიძარცვა ჩაის ფაბრიკები.

— ახლა მე და შენ ჩაის დალევა რომ მოგვინდეს, აზერბაიჯანის „აჰმად ჩაით“ უნდა დავკმაყოფილდეთ, არადა, უზარმაზარი საბჭოთა კავშირის მოთხოვნას მთლიანად ჩვენ ვაკმაყოფილებდითო.

ARC ჩაის პლანტაციები გვაქვსო, არც ყანა, არც ტყე არ დაგვრჩა და ქვეყანა ფეხზე როგორ უნდა დავაყენოთო?

ტყეებში მგლები მომრავლდნენ — ორფეხები ჩეხავენ და ყიდიან, ოთხფეხები სოფლებს თავს ესხმიან და პირუტყვს ყელს ღადრავენო.

არავინ რომ არ ლაპარაკობს ჩაის კულტურის აღდგენაზე, გადამმუშავებელი ქარხნების ხელახალ აღჭურვაზე, უკვირს მწერალს და მამულიშვილს, იმაზე, რაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის წელში გამართვას შეუწყობს ხელს.

— ბატონო ოტია, საქართველოს დამოუკიდებლობის მეოცე წელს შეგვიძლია ვთქვათ, რომ შევქმენით ჩვენი ოცნების ქვეყანა?

— ვერავითარი!

„საით ჰხვალ?“

— სად წევიდეთ, სად გადავცვივდეთ, რა წყალს მივცეთ თავი?

ის, რაც იყო თამარ მეფის დროს, ის ახლაც კია. სარწყავი არხები, ტერასები... ნიქოზიდან სოფელ-სოფელ მოვდიოდით, იქა მყავს ერთი მეგობარი მეუფე ისაია. გო-



რის რაიონში შემოვედით. გვალვა იყო მაშინაც. ერთ სოფელში სასწაული დევინახეთ, კაცო: სიმინდის ყანა ღაღანობს ქარში. გავაჩერეთ მანქანა. ჩამოვედით. მომესია ხალხი. რა ხდება აქანე-მეთქი? ესაო, ბატონო, სარწყავი გვაქვს აქო. ვინ გაგიკეთათ სარწყავი-მეთქი? ეგიო თამარ მეფის დროინდელი იყო. გავწმინდეთო. მოვრწყეთო. ხოდა, თუ მორწყავ და მზე ექნება, მეტი რა უნდა ამ ყანას!

რაც უნდა გავაკეთოთ გაზაფხულზე, ყველა სოფელზე უნდა იყოს გათვლილი, ყველა ოჯახზე, თუ არის ასეთი, მარა გამოკეტილია კარები.

— რახან არ არის, იმიტომ ხომ არ გვეუბნებიან, ტურიზმის ქვეყანა უნდა გავხდეთო?

— არის ასეთი ქვეყნები და არის ტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. მაგრამ შენთვის ეგი არ არის მიზანშეწონილი, იმიტომ, რომ, ტურისტი რომ მოგივა, უნდა აჭამო. რა უნდა აჭამო, შენ რომ შენთვის არაფერი გაგაჩნია?! უნდა იყიდო თურქეთში, მოუტანო იმ კაცს და თურქეთის ბაზარი უნდა გაამდიდრო.

ტურიზმი მაშინაა კარგი, როცა მოსავალი გაქვს მოწეული, გიჭირს მისი გასაღება იმ ფასში, შენ რომ გინდა. და, როცა ტურისტები მოგესევიან, იმათზე უნდა გაასაღო. ჯერ ეს უნდა გააკეთო და მერე იმდენი ტურისტი უნდა შემოიყვანო, რამდენის დაპურებასაც შეძლებ. სხვაფრივ მაგი იქნება...

— ბლეფი?

— ბლეფი! სხვისი საქმის გაკეთება იქნება — შემოსავალს ვერაფერს დაგიტოვებს. შენ თვითონ ვინცხეისგან ნამათხოვრები პურით, რომელსაც ის კაცი თვითონ არ ჭამს, იმით უმასპინძლებ და აშენდები მოგებით?! არ დეიჯერო!

— კულტურას — ლიტერატურას, ხელოვნებას რა ეშველება? დარჩება დღევანდელივით გარიყული „პრიორიტეტული მიმართულებების“ ეზოს გარეთ თუ მეოცე საუკუნის დიდი კულტურის გზას გაჰყვება?

— ეს არის ერთადერთი, რაც ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანას რჩება. შენ რა სვი, რა ჭამე და იქეიფე, არავინ კითხულობს. მთავარი ისაა, რაც შენ შექმენი.

მკითხეს ახალგაზრდებმა — რა აზრისა ხართ ჩვენზეო? მე ვეუბნები — შვილო, არ წამიკითხია და რა გითხრა? ის ჟურნალები რომ იყო — „ცისკარი“, „მნათობი“, „დროშა“ და რომ მეისპო, იგია ლიტერატურა.

ომი რომ იყო გაცხარებული... რომელში ხარ დაბადებული?

— 1936-ში.

— შენ პატარა იქნებოდი მაშინ. მე ცოტა უფროსი ვარ. **მახსოვს: აქედან 10 კილომეტრში სოფელია ცხუნკური. იქ ჩამოსხა გერმანელმა დესანტი. მაშინაც კი ლიტერატურული ჟურნალი არა მარტო გამოდიოდა, მოჰქონდათ სახლში. ახლა კაცი არაა პატრონი: დეიხურა „მნათობი“. დეიხურა „ცისკარი“...** „დაჩის ზღაპრები“ 50 ათასი ტირაჟით რომ გამოვიდა, ერთ კვირაში გეიყიდა.

ორტომეული გამოვეცი მე ადრე — ჯერ ორმოცდაათი წლისამ, მერე — სამოცისამ. სამოცი ათასი იყო ტირაჟი. არც ერთი ერთ კვი-

რაში აღარ იყო. ახლა რომ გამოვა 200 ცალი თუ 500, არაფერს ნიშნავს. დასაბეჭდად შენ უნდა მიუტანო ფული. საიდან უნდა მიუტანოს მწერალმა? ქურდობა დეიწყოს?

ახლა 250 კაცი ერთად მიუღიათ მწერალთა კავშირში. ორი წიგნის ავტორი უნდა ყოფილიყავი, დადებითი რეცენზიები უნდა გქონოდა, მიმღები კომისია მიგიღებდა თუ არა, კიდევ საკითხავი იყო...

მერე, კაცო, ბილწსიტყვაობას რა უნდოდა ლიტერატურაში?! მწერლობა დახვეწილი ენა, კულტურა, ზნეობაა!

ქრისტიანმა ქრისტიანი მოკლა, რა დააშავა იმ კაცმა ასეთიო? დედა შეაგინაო. ხოო, მაშინ ქე მოკლავდაო. ესაა ქართველის ბუნება.

იგინები, ილანძღები და ამას უძახი შენ მწერლობას?!

— **შექმნის თუ არა XXI საუკუნე ისეთ ლიტერატურას — ისეთი წონისა და მნიშვნელობისას, რომელიც თქვენმა — XX საუკუნემ დაგვიტოვა?**

— ვერაფერს გეტყვი... იმიტომ, რომ მწერალს კვალში უნდა უდგე. კაი, აგერ წავიკითხე ერთი ავტორი. ახლა მეორე ნომერში უნდა წავიკითხო — რა ქნა? ისევე ისეა, თუ წოუმატა რაღაცა? მერე — მეორე, მერე — მესამე და ასე შემდეგ. მერე — წიგნშია ყველაფერი თავმოყრილი. წიგნი რომ გამოდიოდა გამომცემლობა „საქართველოში“, იქ მწერლები იჯდნენ — ჯავახაძე, ფანჯიკიძე, ჩარკვიანი, ქემერტელიძე. უცნობი ავტორის წიგნი რომ გამოდიოდა, ის სამ მწერალს უნდა წაეკითხა კიდევ. იმათ უნდა მიეცათ დასკვნა — გამოცემულიყო თუ არ გამოცემულიყო.

— **ახალგაზრდა პოლიტიკოსებს თუ ხედავთ ჰორიზონტზე?**

— ქვეყანა რო წავა ხელიდან, ის ყოველნაირად წავა. ხომ გითხარი, „პოლიტიკოსებს არ ვუშვებ სახლში...“ მაგრამ იმან იეშმაკა — ალასანიამ. ახალი ჩამოსული იყო, შედარებით წესიერი ჩანდა. მაგრამ გადმოდგა სცენაზე, ხო გახსოვს, და — ათ დღეში გადადგესო ისო, რა ჰქვია...

— სააკაშვილი.

— სააკაშვილი. მე ვთქვი, ათ დღეს რომ ამბობს, ალბათ, გათვლილი აქვს, აბა, ასე ხომ არ იტყვის, ზეპირად! თითებზე ვითვლიდი. გევიდა ათი, ოცი. სადაა?

მევიდა ჩემთან მისი გამოგზავნილი კაცი — მანქანა იქნება, ყველაფერი და ხომ არ ჩამობრძანდებითო? არა-მეთქი, მე მაქანე არ ჩამოვალ. მე რომ ჩამოვიდე, თუ შეიძლებაო? **მე ვუთხარი, შენ რომ ჩამოხვიდე, კიდეც რომ მოხვიდე, მე არც ერთ შენ სიტყვას არ ვენდობი საერთოდ და რაფერ შეიძლება ჩვენი საუბარი, როცა შენ პირგატეხილი კაცი ხარ-მეთქი?!**

გაჩუმდა.

მერე იწრიალა რაღაცა. ავსტრიაში რომ ვიყავი, ელჩი იყო იქინე ვიქტორ დოლიძე. მე იმას არ ვიცნობდი, მაგრამ გადამყვა თავზე. ოპერაციების დროსაც კი იქ იყო, კლინიკაში. იმისთანა კაცს როგორ არ ვცემ პატივს!

— იმან გთხოვათ?

— ის მოუძებნია ალასანიას. დამირეკა: როგორც პოლიტიკოსი — არა, როგორც ადამიანი, მკითხველი, თუ შეიძლება, მიიღეო.

კაი. მოვიდა. ვისაუბრეთ. რა დონეა, იცი? რო ელაპარაკები, აგებიებ... გლეხობაზე ვილაპარაკეთ, მიწის სიყვარულზე, მიწაზე, იმაზე, რაც საამაყო უნდა გვქონდეს და მაგრამ გვეთაკილება — თოხს ვურტყამ ახლა მიწას, ვბარავ იქინეო? **გალაკტიონი კი ამბობდა, ფეხშიშველი თუ არ გაიარეო... მაგრამ მაგიც არ გიშველის, თუ კოჭებამდე მიწას არ შემოიყრი, მიწას ვერ იგრძნობ-მეთქი. მაშინ შენ უნდა იყო დარგული ხესავით.**

ქარხანა ჩატანილი გაქვს ოსმალეთში ჯართად, ტექნიკას შენ რაფერ შექმნი? იაპონია არ ხარ... სხვათა შორის, ჩემთან აქ იყო იაპონიის ელჩი, ახლადდანიშნული, მეუღლესთან ერთად. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც მითხრეს, „დაჩის ზღაპრებს“ სკოლებში ვასწავლითო...

გაბრწყინდება საქართველო?

— რა ვაკეთოთ, რის საშუალებით, რა მუშახელით, რა მიწის სიყვარულით, რა შრომისმოყვარეობით? არც ერთ ამაზე პასუხი არ აქვთ.

აბა, რით და როგორ უნდა მოიპოვოს ხალხმა პური მისი არსობისა, რით უნდა იარსებოს ქვეყანამ?

— აბა, როგორ გაბრწყინდება საქართველო? თქვენ რომ ყურს გიგდებთ, ეჭვი მეპარება.

— ეს „გაბრწყინება“ რაღა უბედურებაა, რას ნიშნავს?! იგიც უნდა ითქვას — რაფერ. მე რომ მკითხო მაგი, ვერ დაგისაბუთებ. იგი ქე ტორტლავს, გოუგონია რაცხა — იმედი უნდა იქონიოო. უიმედო იმედის ქონას არქონა ჯობია, იმიტომ, რომ დოუწყებ ძებნას იმედს. შენ რომ გგონია, გაქვს, ამ დროს ხელს რომ არ ანძრევ და არაფერი არ გაქვს, ესაა ყველაზე მეტად დამღუპველი.

— „სახალხო კრების“ შესახებ რას იტყვით?

— ნონას პატივს ვცემ. ნონას საპრეზიდენტოდ კი არ უნდა. მაგრამ ამას სჭირდება მებრძოლი სული. ის თუ მებრძოლი არ არის, დოუძახე და არ მოდის, რად გინდა ასეთი კრება, თუ არავინ გაყვება?! მიმიწვიეს, როცა მაგი იქმნებოდა. ჩევედი. ვესაუბრე. ვუთხარი: სადაა ეს ოპოზიცია, მეიყვანეთ ერთი და ველაპარაკოთ, რა უნდა? აგვიხსნან, რას აპირებენ. მევიდნენ ზოგიერთები.

მე ვუთხარი: **ხომ არც ერთს არ გინდათ მიშაიე? კი, ბატონო. მაშინ მივასოთ ყველამ ამაზე ფეხი. ვიბრძოლოთ, ეს კაცი რაფერ, ყველამ ერთად როგორ მოვიშოროთ თავიდან. აი, მერე ვიკითხოთ, შენ როგორ აპირებ ქვეყნის აშენებას.** შენი ჯობია თუ ამისი, თუ იმისი? ძაღლების „ფილოსოფიას“ გასწავლით-მეთქი. მეზობლების ძაღლები ღეჭავენ ღობეს, ისე ებრძვიან ერთმანეთს, ვერ გუობენ. მაგრამ, აბა, გამოჩნდეს მგელი? იმ წუთში ყვე-

ლა მიესევა იმას. აი, დავდგეთ-მეთქი ძაღლის „ფილოსოფიაზე“ და ვილაპარაკოთ, ვინ რისი მაქნისი ვართ.

— **რა თქვეს?**

— რა უნდა ეთქვათ, როცა არც კი იციან, რა ქვეყანაში არიან, რისი გამკეთებელია ჩვენი ხალხი?

— **ალასანიამ — რაო?**

— მეორეჯერაც მოვიდა. გისმენს და აცნობიერებს. არც ერთი პოლიტიკოსი თუ პარტიები არ ზრუნავს ხალხის ცნობიერებაზე.

* * *

საუბარში ორი საათი მაინც ისე მიილია, რომ ვერც გავაცნობიერეთ. ბატონი ოტია სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა — ხან ერთი მუნდშტუკით, ხან — მეორეთი, რომელთა „ბატარეა“ გულის ჯიბეში ედო.

— **რატომ ეწევით ამდენს, ბატონო ოტია?**

— ერთადერთი, რაც მე ჯავრი მაქ და რაცხა უბედურება, ამით ვიტან და ეგიც რომ არ იყოს, რა გამაძლებინებს?

შემოქმედებაშიც საერთოდ ეგიც ძალიან გეხმარება, როცა წერ — მაშინ. ბალზაკი რომ სვამდა ორმოც ჭიქა ყავას, არ იცოდა, რომ წყენდა?! მაგრამ ვერ წერდა სხვანაირად...

გამომშვიდობებისას, რიკულებიან აივანზე რომ გამოვედით, კიბის თავზე, ბატონმა ოტიამ ერთი სევდიანი და ჭკუის სასწავლებელი ისტორია გაიხსენა — ძაღლების „ფილოსოფია“ — ადამიანებისთვის ჭკუის სასწავლებელი:

— კაცთან ვეღარ ვახერხებ მეგობრობას, იმიტომ რომე კაცი არ არის ქვეყანაზე და ძაღლებთან მაქ ძალიან დიდი ურთიერთობა.

როცა უძაღლოდ დავრჩი, კინოლოგი როა გია გიორგაძე, იმან ჩამომიყვანა ქართული ნაგაზი. კაი სამი თვის იყო. ვმეგობრობდით ძალიან — მეხმარებოდა, დამყვებოდა. სათოხარში ერთად დავდიოდით — ვთოხნიდი, გვერდით იწვა.

გადმოვედით ერთხელ იქედან, ამ სახლის ლაფაროში რომ მოვედით, დაეტაკა პატარა ფაცურას, თუ იგი დაეტაკა, არ ვიცი. ამას, პატარას, ჩემი იმედი მიეცა და ამანაც შეუტია. გადევირიე და გოუწყერი ნაგაზს: ამას უყადრი თავს? ძაღლს ოცი სიტყვა ესმის. ძალიან გავუწყერი. გავლანძღე, რომ არ ჩაედინა მეორედ.

— **სუსტი არ დაეჩაგრა?**

— კი. მკაცრად ველაპარაკე — გათახსირებული ყოფილხარ, რა მოგივიდა ასეთი, რას მაყურებინე! წამოვედი. ლაფაროში დავტოვე იქინე. საჭმელი გამოვუტანე. დოვუძახე. არ მოვიდა. ვუძახი. არ მოდის. გავედი ლაფაროში. იქვე, სადაც გავლანძღე, მკვდარი ეგდო — გულგახეთქილი. თბილი იყო ჯერ. აბა, რა იქნებოდა. გალანძღვა ვერ აიტანა!

დღეს ლანძღავ და კაცს არ ეყურება!

* * *

ესეც, ძვირფასო მკითხველო, — ამ დიდი ინტერვიუს შეგონება, ანუ მორალი.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

ოტიას საფლავი წყალტუბოში, მისსავე ეზოში

კახი კავსაძე — 80

საქართველოს სახალხო არტისტს, პოპულარულ და ყველასთვის საყვარელ მსახიობს — კახი კავსაძეს 80 წელი შეუსრულდა, და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ღვაწლმოსილი შემოქმედის იუბილე ჰარბუდის პიესის კაპანაძისეული სპექტაკლით აღნიშნა.

ერთი მხრივ, ქართული დრამატურგიის გმირები, კლასიკა — სიმონ ჩაჩავა (ბრეჰტის „კავკასიურ ცარცის წრეში“) და ლორდ კასტინგსი (შექსპირის „რიჩარდ III-ში“) და მათ შორის, 25 როლი ბრწყინვალედ განსახიერებული რუსთაველის თეატრის სცენაზე; მეორე მხარეს — ქართული და რუსული კინოხელოვნების 80 კინოგმირი (ზოგი კინოთეატრში არ ყოფილა ამდენჯერ); მათ შორის, დონ კიხოტი, აბდულა, ელიბო, მიხეილ კოროშელი — შედევრები.

ბატონი კახი ჟურნალისტების სასურველი რესპონდენტია. არც ჩვენი რედაქციაა მისთვის უცხო.

გთავაზობთ ინტერვიუს შემცირებულ ვარიანტს კახი კავსაძესთან, რომელიც მსახიობს ჩამოართვა ჟურნალისტმა არმაზ სანებლიძემ და „საქართველო და მსოფლიოში“ 2011 წელს გამოქვეყნდა.

«მაშ, ვინაა პატრიოტი?»

ინტერვიუსთვის მივედი და ერთი მსახიობის თეატრში აღმოვჩნდი. წარმოდგენაზე, რომელიც სავსე იყო ემოციითა და აზრით, იყო მაქსიმალურად გულახდილი და დიდოსტატურად შესრულებული, უნიკალური სპექტაკლი, რომლის ავტორი, რეჟისორი, მთავარი და ერთადერთი გმირი დიდი მსახიობი კახი კავსაძე ბრძანდებოდა. დღეს 27 მაისია.

გუშინ იყო ბართლომეს ღამე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მომიტინგეთა, როგორც შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე იტყვის, ხალხის ჩაძაღლების ღამე.

— ბატონო კახი, ჩვენი საუბარი პოლიტიკის გარეშე უნდა წარმართულიყო, მაგრამ წუხანდელი დარბევის შემდეგ, ეტყობა, თვალს ვერ დავხუჭავთ და სმენას ვერ დავიხშობთ.

— მე გულს, იცით, რა მიკლავს? სამოქალაქო დაპირისპირება! ქართველი ქართველს რომ დაუპირისპირდა. აი, თქვენც ბრძანეთ, ის აქეთ არის, ესენი — იქით. ესე იგი, თქვენც გაყავით საზოგადოება.

სწორედ ეს არის საშინელება!

რას ჰქვია დავყოთ, ვინ უნდა დავყოთ? ეს საიდან წამოვიდა? ააა, შენ იქითა ხარ, აქეთ — არა? მაშ, ვინა ხარ?

შენ თუ ჩემთან არა ხარ, არარაობა ხარ. ერთი ამბობს ამას.

მეორე უპასუხებს, არარაობა ხარ შენ!

როცა პირველად სამოქალაქო დაპირისპირება მოხდა, ქართველებმა რომ ესროლეს ერთმანეთს, მაშინ ვთქვი: — დავიღუპეთ-მეთქი.

გამსახურდიას დროს ვამბობ.

სამოქალაქო დაპირისპირება რომ იწყება, სამოქალაქო ომი რომ იწყება, აღარ მთავრდება! ისტორიიდან ვიცი, რომ არ მთავრდება, დაუმთავრებელი ამბავია!

ექვს თვეში დაამთავრეს ქართველებმა და მაშინ ვთქვი, — არა, ქართველი ბრძენია-მეთქი.

ინტერვიუ ჩამოვართვი უწმინდესს კინოფილმისთვის, მაშინ ვუთხარი, ქართველების სიბრძნემ განმაცვიფრა-მეთქი.

— კიო, — მიპასუხა...

თურმე შევცდი მე: სამოქალაქო დაპირისპირება არ დამთავრებულა. რაც მოხდა გუშინ, უფრო ადრე — 7 ნოემბერს და იმაზე ადრე, ეს სულ გაგრძელებაა და ეს არის უბედურება. ხოლო ვინ დაიწყო, ვინ რა გააკეთა, დეტალებია.

საშინელებაა სამოქალაქო დაპირისპირება: იმათ მიიღეს, ამათ — არა, ესენი ვაჟკაცურად მოიქცნენ, ისინი — შეშინებულები არიან...

ეს პატრიოტიაო, იციან თქმა. რა არის პატრიოტი? პატრიოტი ისაა, ვინც მაგრად ირტყამს მკერდზე მჯიღს, თუ ის, ვინც ბევრს ყვირის — წიიინ! გაუძღვება წინ და მერე, გაპონის არ იყოს, მიატოვებს ხალხს.

თუ პატრიოტი ისაა, ვინც ჩუმად ზის, თავისთვის, არ ყვირის და ქვეყნის საქმეს აკეთებს?

თუ ჩვეულებრივი ქართველი ბიჭია პატრიოტი, რომელიც იძახის ქართველი ვარო და ისე იქცე-



ვა და ისე ცხოვრობს, რომ სხვები — ქართველები და უცხოელებიც ამბობენ: — შეხედეთ, რა ბიჭია!

მას ქართველობა ტვირთად დაადევს და ძირს არ უნდა დადოს ეს ტვირთი.

ერთხელ იმის მოწმეც ვიყავი, როცა ბიძინა ივანიშვილს ისეთი ქება შეასხეს, რომ ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ: — აი, ბატონო ბიძინა, თქვენ, და როცა თქვენ... და ასე — აღმატებულად.

მართლა ძალიან არ უყვარს ბიძინას შექება, ძალიან ცუდ დღეში ვარდება. ბევრჯერ ვარ ამის მომსწრე.

— თქვენი ჭირიმე, არ თქვათო, — შეხვეწნია.

— როგორ არ ვთქვათო, — შეპასუხებიან, — როცა ამას აკეთებთ და ამაზე მეტსაცო.

— არა, ბატონო, მე შემიძლია და იმიტომ ვაკეთებო. შემიძლიაო...

— სხვას რომ შეუძლია და არ აკეთებს?!

— ეს მისი პრობლემა არისო. მან იფიქროს ამაზე. მე რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ და ამიტომ მაგარი ვარო? გმადლობთო, მაგრამ ამისთვის ნუ მაქებთ, თქვენი ჭირიმეო.

ასე თქვა ბიძინამ.

— თქვენთვის?

— მე მინდა ისეთი არტისტი ვიყო, რომ ყველას ვაჯობო. თუმცა ყველა ქართველი მსახიობი ჩემი მეგობარი და ძმაკაცია. ყველას გამარჯვება მიხარია! ამას მართლა გულით ვამბობ, იმიტომ, რომ, რაც უფრო ბევრი კარგი არტისტი იქნება, ხელოვნების, თეატრის თამასა უფრო მაღლა აიწევს და უფრო დიდ სიმაღლეებს წავეპოტინებით.

სხვა სფერო, სხვა საქმე მე არ ვიცი. არ მესმის, რა არის პოლიტიკა. მაგრამ რახან მკითხეთ, გიპასუხებთ, რომ, ჩემი აზრით, ეს არის ადამიანთა ურთიერთობა: რომელ მოღვაწეს, პოლიტიკოსს როგორ უნდა ველაპარაკო, არ ვიცი. მე ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო ჩემს კოლეგებს, კარგ რეჟისორს, როგორ დავემორჩილო მას, როგორ დაველაპარაკო ჩემს პარტნიორს ან დრამატურგს — როგორ ვთხოვო მას, ვთქვათ, რომელიმე სცენის გადაკეთება. ეს ვიცი.

ვინმეს გვერდზე დავდგე? მაშასადამე, ამით სხვისი მოწინააღმდეგე გავხდე?

ეს გინდათ?

არ გამოვა!

მე არტისტი ვარ და ყველანი ჩემი მაყურებლები არიან. მაყურებელი კი ჩემს შვილზე მაღლა დგას. უპატივცემულესი ხალხია.

მისი უდიდებულესობა მაყურებელი! იგი მოდის, რომ მნახოს. მე ამ მაყურებლის მომხრე უნდა ვიყო და იმ მაყურებლის — არა?

— როგორც ექიმისთვის ყველა ავადმყოფი პაციენტია და სხვა არაფერი.

— აბსოლუტურად! როგორც კი ვიწყებ მაყურებლის გრადაციას, შინაგანად ვირღვევი. ერთხელ დაწერეს ჩემზე — კახი ყველა სპექტაკლს თამაშობს ბოლომდეო.

სხვანაირად არ შემიძლია.

ამას თუ დამიშლი, მე შენი ვერ ვიქნები.

— თქვენი ამ მონოლოგიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არა დაპირისპირება, არა-

მედ სიყვარული და მხოლოდ სიყვარული შეიძლება იყოს ქვეყნის მამოძრავებელი ძალა. ისეთი ამაღლებული, როგორიც დონ კიხოტის სიყვარულია დულსინეა-სადმი?

— დულსინეა ტობოსელი მან შეთხზა, შექმნა თავისი ოცნების ქალი, შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვევა, გაქრება ოცნება და ვერ გაუძლებს ლამანჩელი, გული გაუსკდება. მის ოცნებას ხორცი არ შეესხა და მოკვდა კაცი.

მაინც უნდა იოცნებო!

— ამავე კატეგორიისაა ბრძოლა ქარის წისქვილებთან?

— ჰეეე! ბოლოს და ბოლოს ესეც წარმოსახვითი მტერი აღმოჩნდა და ესეც კლავს კაცსა: ეგონა მტერს ებრძოდა, ბოროტებას და თურმე ქარის წისქვილი ყოფილა!

— დონ კიხოტის როლში შესვლას, მის გათავისებას, ალბათ, დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. ფილმის დამთავრების შემდეგ მალე გამოხვედით როლიდან?

— ყოველთვის მეცინება იმ მსახიობებზე, რომლებიც ფილოსოფიური სერიოზულობითა და შესაფერი ინტონაციით აცხადებენ: „მე შევედი როლში და ძალიან მიჭირს გამოსვლა“... ჰამლეტს ითამაშებს და მომდევნო სამ დღეს თავჩაქინდრული დაიარება.

არა, ბატონო!

ერთადერთი, რაც დონ კიხოტის როლში შესასვლელად გამიჭირდა, ის იყო, რომ ძალიან უნდა გავმხდარიყავი.

ბატონმა რეზო ჩხეიძემ სინჯებზე რომ გამომიძახა, კიდევ ერთხელ გადავიკითხე სერვანტესის წიგნი. ზოგი ამბობს, „დონ კიხოტი“ ბავშვობაში მაქვს წაკითხული. ბავშვობაში, კაცო?! ეს უდიდესი წიგნი დიდი ჭკუის კაცმა უნდა წაიკითხოს, ბოლომდე რომ ჩაწვდეს მის სიღრმეებს.

დავინტერესდი, ისეთი დიდი ადამიანები, შემოქმედები, როგორებიც იყვნენ ჩარლი ჩაპლინი, თომას მანი, ფოლკნერი, აინშტაინი, ეიზენშტეინი და ა.შ., რას ამბობდნენ დონ კიხოტზე. ვერსად ვერაფერს მივაკვლიე, საერთო



აღფრთოვანების გამომხატველი პოზიციის გარდა — ეს ჩემი უსაყვარლესი წიგნია; ეს ჩემი სამაგიდო წიგნია; მის გარეშე არსად დავდივარ, ეს არის ჩემი მეგზური... მეტი არაფერი.

სრულიად შემთხვევით წავაწყდი გენიალური რუსი არტისტის, რომელმაც ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა, მიხაილ ჩეხოვის პატარა წიგნს, რომელშიც მსოფლიო ლიტერატურისა და მსოფლიო დრამატურგიის გმირებს ახასიათებს. წაიკითხავ და მიხვდები, როგორ უნდა ითამაშო, როცა ამა თუ იმ გმირის განსახიერებას გადაწყვეტ. საით უნდა წარმართო შენი შინაგანი ფსიქოძალები, ასე ვთქვათ.

იგი წერს:

Движущаяся звезда Мефистофеля, находится в зрачках. თვალებშია ამ პერსონაჟის მოქმედების ვარსკვლავი, ის, რაც მას ამოძრავებს. ერთხელ რუსებმა გადაწყვიტეს მეფისტოფელის გადაღება. მაშინ ჩეხოვი წაკითხული არ მქონდა. ვიფიქრე, იგი მწყემსად განმესახიერებინა. დიდი მათრახი მოვითხოვე, რომლითაც ეს ჯოჯოხეთის ნაშობი მწყემსავდა ხალხის ბრბოს, ფარას. მოიქნევს და ჭაახ, ურტყამს.

ჩეხოვმა სხვანაირად წარმოიდგინა: მისი აზრით, თვალთა გუგებით უთვალთვალებს კაცობრიობას მეფისტოფელი.

У Гамлета — в сердце, — განაგრძობს ჩეხოვი, ანუ იგი სამყაროს გულით აღიქვამს. გული უსკდება მისი მამის, მისი ბიძის, დედამისის ტრაგედიის მომსწრეს.

Движущаяся звезда Лира находится в уме. ასეთი ფრაზაც აქვს მეფე ლირს: „მე ტვინში დამჭრეს“... გადარია ყველაფერმა. მაგრამ თვითონ როგორ იქცევა? ვინც სიმართლე უთხრა, ის შეიძულა. ტვინშია მისი პრობლემა...

შემდეგ: Движущаяся звезда Санчо находися в ягодице. დუნდულებშიაო სანჩოს ვარსკვლავი.

Движущаяся звезда Дон Кихота находится чуть выше головы.

ეს რომ წავიკითხე, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: არც მიწაზე დგას, არც ცაშია ასული.

— ბატონო კახი, ყველა მსახიობი თავის შექსპირზე ოცნებობს, როგორც წესი, ჰამლეტის, მეფე ლირის და ა.შ. როლების შერულებაზე. თქვენი ოცნების შექსპირი როგორია?

— მე მეოცნებე კი ვარ, მაგრამ ასე „დურაკულად“ მეოცნებე მაინც არა ვარ. აი, კაცი ოტელოს თამაშობს, ჰამლეტს თამაშობს, რიჩარდს თამაშობს, აზდაკსაც თამაშობს, არადა — მაინც და მაინც ბიბლიური აარონი უნდა რომ ითამაშოს. ხდება ხოლმე, რაღაც ოცნებას აიკვიატებენ და შემდეგ ამ ოცნებას მიაკვდებიან. მე ვცდილობ, როლზე არ ვიოცნებო. რატომ? ახლავე გეტყვით. შენ გხედავს რეჟისორი. მან თურმე შენზე უკეთ იცის, რა შეგიძლია. უბედური პროფესია გვაქვს... ერთადერთი, რაზეც მიოცნებია, ჩემთვის მიოცნებია, გოგოლის „შეშლილის წერილები“ იყო. ერთხელ ვნახე, ვასაძე რომ თამაშობდა, და გავგიჟდი.

როგორ იწყება?

„Сегодняшний день есть день величайщего торжества! В Испании есть король. Он отыскался. Этот король я“.

ბედნიერი დღეაო, მეფე ვარო,

და ამას მოჰყვება შეშლილის წერილები.

— ცხოვრებაშიც ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ესპანეთის მეფეები არიან? მეფეები თუ არა, მთავარი ვეზირები მაინც.

— რა უნდა უთხრას ამ დროს ფსიქიატრმა გიჟს? კი, გენაცვალე, მეფე ხარ. ჩემი მეგობრის სიდედრი ლილი ნაკაშიძე იყო გენიალური ქალბატონი და არაჩვეულებრივი ფსიქიატრი, სულ გენაცვალეთი ელაპარაკებოდა სულით ავადმყოფებს, ეთანხმებოდა ყველაფერში... იყოს რა, გაკლდება ამით რამე?

ერთი უცნაური თვისება მჭირს, როცა კინოში როლს შევასრულებ, გავახმოვანებ და მეტყვიან, მორჩა ყველაფერიო, აღარ მაინტერესებს იმისი ბედი. აღარ ვნახულობ. რომ გითხრათ, „ღვინის ქურდები“ არ მინახიაო, დამიჯერებთ?

— არა, რადგან მე ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ, აღარც კი ვიცი, მერამდენედ.

— ძალიან მიჭირს ჩემი თავის ყურება. ერთადერთხელ იყო, როცა გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“ თვალი მოვკარი მომენტს, როცა რაღაცას ვჭამდი (ჭამის განსახიერება ეკრანზე ძალიან ძნელია. სცადეთ და დამეთანხმებით), ბოლომდე ვუცქირე, ვთქვი, ვა, რა სწორად ვჭამ! ავდექი და წავედი.

ერთხელაც რომელიღაც ფილმში დავინახე, რომ დავრბივარ. ვაააა, რა ჯანმრთელად დავრბივარ! დანარჩენით არ დავინტერესებულვარ.

ახლა ჯანმრთელობის მხრივ რაღაც პრობლემები მაქვს და ჩემი თავი დავიჭირე, რომ მინდა რაღაცები მოვასწრო.

ამასწინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ქართველები, ჩვენი სპექტაკლის — „მოხუცი ჯამბაზების“ ნახვა მოისურვეს. თქვეს, რომ კახი ავად არის, გვინდა, მოვასწროთ, თურმე ძალიან სერიოზულად არის საქმეო. საქმე მართლაც სერიოზულადაა... მოვიდნენ, მიყურეს და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთს უთქვამს: — ეგ თუ ავად არის, მე მკვდარი ვყოფილვარო.

— ისევეა, როგორც „შენ თუ ამას დალევ... შენ თუ ამას დალევ“...

— *(გულიანად იცინის).* სოფიკო ამბობდა კოტეზე, გრძნობდა, კარგად რომ ვერ იყო და რაღაცა უნდოდა მოესწროო...

მეც ჩემი თავი დავიჭირე ამ სურვილზე — რაღაცა უნდა მოვასწრო.

— ეს იქნება საზოგადოებრივი საქმე?

— არა! თუ საზოგადოებრივ მუშაობაში გადავყავი თავი, მე დავივიწყებ ჩემს საქმეს. მგონია, რომ ჩემი პროფესია ბოლომდე არ ვიცი. ყოველთვის ისეთ შინაგან რაღაცას აღმოაჩენ, რომ, ვაი, დედა, როგორ ვბედავდი ამ როლის თამაშს...

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ფოლკლორული ცენტრი არის ასეთი, რომელსაც გიორგი უშიკიშვილი ხელმძღვანელობს. მთხოვეს, კავსაძეების საღამო გავაკეთოთო, მამაჩემის — დათაშკა კავსაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით. მამამ ქართველი ტყვეების მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და 1943 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართა კონცერტი.

— იქ?!

— იქ, აბა?! ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში რომ ბრუნდებოდა, სოჭში დააპატიმრეს. 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ მოკლეს, არ ვიცით.

ჰოდა, გამართეს მამაჩემისადმი მიძღვნილი საღამო ფოლკლორულ ცენტრში მომუშავე კარგმა ადამიანებმა. ამ საღამოს დაესწრო ჩემი ქალიშვილის მეგობარი, რეჟისორი ნანა ჯანელიძე და გაგიჟდა, ისე მოეწონა. ნანასთან ერთად რამდენიმე ფილმზე გვიმუშავია.

— მე უნდა კინო გადავიღოო, — გადაწყვიტა. ახლა ეს ფილმი უკვე დამთავრებულია *(30 მაისს გაიმართა პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“. — ა.ს.).* „ნეტავი, იქ თეატრი არის?“ — ასე ჰქვია ამ ფილმს.

P.S. ნეტავი! სანეტარო დროის დადგომისთვის ზოგი ხმალამოღებული იბრძვის, ზოგი — პოლიტიკური, „მშვიდობიანი“ ხერხებითა და მეთოდებით.

კახი კავსაძის სანეტარო დრო ერთიანი, გაუხლეჩავი, დაუპირისპირებელი საზოგადოებაა ერთიან და მთლიან საქართველოში.

მას თავისი გზა აქვს არჩეული, სხვას — სხვა.

ასე იქნება თუ ისე, უნდა დადგეს ეს დრო, რადგან ასეთია კაცობრიობის განვითარების ლოგიკა.

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

ილია ჭავჭავაძე:

კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება.

იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის — მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. **ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და, როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.**

ვერა, წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას. რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.

ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქნება თუ პატარა.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის პატრონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაიტონეებს შეჰხვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო, უშოვნია ფაეტონი. იქაც მახლობლად მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი, ერთს მათგანს უბრძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო, მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივძლივობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბრძანებია, ურჩი მოსამსახუ-

რე სადმე გამაცალეო.

ამისთანა ძალმომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალმომრეობას, მარტო დიდპატარაობისა და მაღალ-დაბალობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ საწუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შერჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილულის წყალს დალევს. ჩვენ კი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

კანონის **მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის.** ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქმაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულწყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს.

ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამისთანა ამბებს აწ არსებულნი კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

ილიას გამონათქვამები

*** „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“.**

*** „ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია“.**

*** „მართალია, დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს, თავისი თავი გაითვალისწინოს და თავისთავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ, რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა.“**

*** „დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფულძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთიანობაშია, საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა, საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას.“**

*** „უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, — სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, — საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“.**

*** „ჭეშმარიტი განთლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის, და ჩვენის ფიქრით, ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწვრთნელი, ამიტომაც დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი — სრულიად სხვა“.**

*** „ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის“.**

*** „დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს ჭკვა-გონების გარდა გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა“.**

*** „გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა, თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებელი, ვიდრე ნიშნმოგებული, გაწიწმატებული და გაბოროტებული ავყიობითა და წიწლაკიანობითა“.**

*** „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს, — თუ გულმხურვალეობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა.“**

წყალი — ეროვნული სიმდიდრე

საქართველოს ბიოლოგიურად აქტიური მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარებაზე საქართველოს საინჟინრო აკადემიის მეცნიერებმა, აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, შეიმუშავეს საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარების კონცეფცია-პროგრამა. კონცეფცია-პროგრამის საფუძველზე შემუშავებულია ლოჯისტიკურ-ინოვაციური პროექტი „წყალი — ეროვნული სიმდიდრე", რომელიც 2005 წლიდან სერტიფიცირებულია „საქპატენტის" მიერ. ამ პროექტის მიხედვით ქვეყნის მუნიციპალიტეტებში გათვალისწინებულია მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოების შექმნა და პარტნიორ-ინვესტორის დახმარებით მზა პროდუქციის გატანა საერთაშორისო ბაზარზე.

გვესაუბრება აკადემიკოსი პაატა გიორგაძე:

— საქართველოს, მიუხედავად მდიდარი ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა მარაგებისა, არ გააჩნია მსოფლიო დონის ისეთი საბადოები, როგორც ბუნებრივი მაღალხარისხოვანი მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგებია. სწორედ ამით გამოირჩევა ქართული, „ბიოლოგიურად აქტიური" ბუნებრივი მიწისქვეშა სასმელი წყალი მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული და ბრენდის „ხელოვნურად გამდიდრებული" (სასმელი წყლის სტანდარტამდე მიყვანილი) არსებული წყლებისგან.

საქართველოს ეკონომიკაში ამ რესურსის პრიორიტეტულობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფაქტორებით: ბუნებრივობა, ბიოლოგიური აქტივობა, სტაბილურობა, მუდმივგანახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი, კონკურენტუნარიანობა, ასევე, მსოფლიო ბაზარზე სასმელ წყალზე (მწვავე მსოფლიო დეფიციტის ფონზე) მზარდი მოთხოვნილება და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი.

ჩვენი პროექტის მიხედვით, ქვეყნის მუნიციპალიტეტებში გათვალისწინებულია მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოების შექმნა და სტრატეგიულ პარტნიორ-ინვესტორის დახმარებით მზა პროდუქციის გატანა საერთაშორისო ბაზარზე. ამ გზით მიღებული პროდუქციის კომერციალიზაციით ქვეყნის წლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტში მობილიზებული იქნება 3 მლრდ აშშ დოლარი. ხაზგასასმელია, რომ ბუნებრივი სასმელი წყლის საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგებიდან — 301 $მ^3$/წმ-დან გამოყენებული იქნება მისი მხოლოდ 0,75%. ამასთან, **სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების, კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება მოგვცემს გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოზიდვის რეალურ საშუალებას, რაც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტაბილური გარანტია იქნება.**

გაეროს მონაცემებით, 4,5 მლრდ ადამიანზე მეტი განიცდის სასმელი წყლის კატასტროფულ უკმარისობას. **საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.**

საქართველო კი მაღალხარისხოვანი ბუნებრივი სასმელი წყლის რესურსებით მთელ კონტინენტზე ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. წყლის ძირითადი წყაროა მუდმივგანახლებადი მიწისქვეშა დაბალმინერალიზებული ბუნებრივი სასმელი წყლები, რომლებიც მაღალი ხარისხითა და უხვი დებეტით გამოირჩევა.

ჩვენს ქვეყანაში აღრიცხულია

26 ათასზე მეტი მდინარე, რომელთა სიგრძე 59 ათასი კილომეტრია, ჯამური მდინარეული ჩამონადენი — 65 800 კუბური მეტრი.

მტკნარი წყლების ბუნებრივი მარაგები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული, აქედან 67% დასავლეთ საქართველოზე მოდის, 33 — აღმოსავლეთ საქართველოზე.

მყინვარები თავმოყრილია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთის ცენტრალურ ნაწილში. მათი რაოდენობა 734-ია. იქ აკუმულირებულია 30 100 კუბური მეტრი მტკნარი წყალი. აქედან ყოველწლიურ წყალბრუნვაში მონაწილეობს მხოლოდ 5%, დანარჩენი საუკუნო მარაგებია.

ტბების რაოდენობა 850-ს აღწევს. აქედან 97,3% მტკნარია. ტბებით ყველაზე მდიდარია სამხრეთ საქართველო;

საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაშია 44 წყალსაცავი, რომლებშიც დარეგულირებულია 3,32 კუბური კმ ჩამონადენი, რომელიც, ძირითადად, ირიგაციასა და ენერგეტიკაში გამოიყენება.

საქართველოს შეუძლია, თავისი მაღალხარისხოვანი ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგებიდან გარკვეული წვლილი შეიტანოს დედამიწის მოსახლეობის დაფასოებული სასმელი წყლით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში (აღსანიშნავია, რომ წყალი შედის ჰუმანური დახმარების პროგრამის აუცილებელ რაციონში), ისე, რომ ქვეყანას ზიანი არ მიადგეს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში.

ცნობილია, რომ ადამიანის ფიზიოლოგიური ნორმის დასაკმაყოფილებლად დღე-ღამეში 2,5 ლიტრი წყლია საჭირო, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება არანაკლებ 18,4 მილიარდი ლიტრი სასმელი წყალი. საქართველოს შეუძლია ამ დეფიციტის დაფარვა ისე, რომ ზიანი არ მიადგება ქვეყნის სასიცოცხლო მნიშ-

ვნელობის რესურსებს — დღე-ღამეში დაგვრჩება არანაკლებ 7,6 მილიარდი ლიტრის ოდენობის წყალი.

კაცობრიობის ერთი მესამედი ცხოვრობს წყლის საშუალო და მაღალი დეფიციტის მქონე რეგიონებში. 2025 წლისთვის კი ანალოგიურ პირობები შეექმნება მოსახლეობის ორ მესამედს.

წყლის კრიზისის პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს არა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, არამედ წყლის მოხმარების სქემის მართვის ცვლილებებში. ამისათვის საჭიროა „წყლის პოლიტიკის“ დადგენა და განხორციელება;

ამგვარი ტოტალური პრობლემის ფონზე, „საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარების „კონცეფცია-პროგრამის“ საფუძველზე შედგენილი წყლის პროექტის ,,წყალი — ეროვნული სიმდიდრე“ შემქმნელმა მეცნიერ-ავტორთა და დამფუძნებელთა ჯგუფმა მიზნად დაისახა ლოჯისტიკურ-ინოვაციური პროექტის შესაბამისად საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ნაწილის გამოყენება კომერციული რეალიზაციის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხნების, შავ ზღვაზე საკუთარი ტერმინალის მშენებლობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ა.შ.

მოკლედ – ეკონომიკური შედეგის შესახებ

1. ინვესტიციები სრულად აისახება შემოსავლების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში, პროექტის სარეალიზაციო სამუშაოებში ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა;

2. კონცეფცია-პროგრამის განხორციელებით (ორ წელიწადში) ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით;

3. შეიქმნება მრავალათასიანი სამუშაო ადგილი საშუალო ხელფასით 1500 აშშ დოლარი;

4. მოიხსნება სიღარიბის პრობლემები;

5. შეჩერდება მიგრაციული პროცესები;

6. შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული არაბული ქვეყნების მსგავსი უპრეცედენტო მოდელი, იმ უპირატესობით, რომ სასმელი წყლის რესურსი არამილევადი მუდმივგანახლებადი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტია;

7. სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის მოდელის მოქმედება (საერთაშორისო საფონდო ბაზრებზე მისი მატერიალიზება ფასიანი ქაღალდების სახით) იძლევა სრულ გარანტიას ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის ამაღლების თვალსაზრისით;

8. განხორციელდება სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინაპირობაა.

1 ივნისი წმ.ნინოს ხსენების დღეა

ლევან სანიკიძე

ნინო განმანათლებელი

მესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა ერთიანობას. ნამდვილად კი იგი ორი ნაწილისაგან — აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებისაგან შედგებოდა. მალე თვით რომს, „მსოფლიოს ცენტრსა და მარადიულ ქალაქს“, აღმოსავლეთში ახალი სატახტო დაუპირისპირდა. იგი ააგო იმპერატორმა კონსტანტინემ ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის შესაყარში, ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის ადგილზე. დამაარსებლის სახელის მიხედვით, ქალაქს ეწოდა „კონსტანტინოპოლის“ („კონსტანტინეს ქალაქი“), რომლის კურთხევა და ახალ სატახტოდ გამოცხადება, დიდი ზორვითა და ზარზეიმით მოხდა 330 წლის 11 მაისს. აქედანვე დაედო საფუძველი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას“, მეორენაირად — „ბიზანტიის იმპერიას“.



ლევან სანიკიძე

ეს ის დროა, როცა მთელ რომის იმპერიაში, ატლანტის ოკეანედან მესოპოტამიამდე, სრულად გავრცელებულიყო ქრისტიანობა, რომელიც აქამდე მთელი სამი საუკუნის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია.

და, რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე აღმოჩნდა პირველი, რომელმაც გონივრულად შეაფასა ძალა და სარგებლიანობა ქრისტიანობისა უწინარესად მისი უზენაესი ხელისუფლების განმტკიცებისათვის: მძლავრი კრიზისებით შერყეულ იმპერიას სწორედ ერთიანი, მონოთეისტური რელიგიურ-იდეოლოგიური საძირკველი ესაჭიროებოდა, ხოლო ასეთ ერთიან იდეოლოგიად, მანამდელი მრავალღმერთიანული, ლოკალური რელიგიებისაგან განსხვავებით, სწორედ ქრისტიანობა უნდა გამომდგარიყო. ამიტომ კონსტანტინემ მის წინამორბედ იმპერატორთა ანტიქრისტიანული პოლიტიკა დაგმო და ქრისტიანობა მთელს იმპერიაში ნებადართულ მოძღვრებად გამოაცხადა. მისივე ნებით, 325 წელს, ქალაქ ნიკეაში, მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.

როგორც ეტყობა, კონსტანტინეს ხელმწიფობის ჟამს, ქრისტიანობა ფართოდ და მტკიცედ ყოფილა გავრცელებული საქართველოშიც. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ამბავი, რომ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო ყრილობის მონაწილე 318 ეპისკოპოსიდან 111-ე ნომრით მოხსენიებულია **ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე**. ამდენად, დასავლეთ საქართველოში, უკვე **IV საუკუნის პირველ მეოთხედში, ქრისტიანობა ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებულიყო, რომ აქ საეპისკოპოსო ეპარქიებიც კი არსებულა!..**

330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში — იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა მირიან მესამე.

ქართლში ახალი მოძღვრების გამოცხადებისა და ქართველი ხალხის მონათვლის („მოქცევის“) მთავარი გმირი შეიქნა ახალგაზრდა ქალი, სახელად — ნინო.

მისი სამშობლო იყო კაპადოკია — ქვეყანა, დასაბამითვე დასახლებული ქართველური ტომებით.

ჰყავდა წარჩინებული მშობლები: მამა — ზაბილონ, დედა — სუსანა.

ზაბილონ კაპადოკიელს ჭაბუკობითვე სახელი გაეთქვა ნიჭით, სიმამაცით, სიქველით და მიუღწევია რომის იმპერიის მხედართუფროსობისთვის. მალე იგი ქრისტეს სჯულზე მოქცეულა და სხვაც მრავალი მოუქცევია. მერე იერუსალიმს წასულა ქრისტეს წმიდა ადგილთა მოსახილველად და სათაყვანოდ, თან მთელი თავისი ქონება წაუღია და ქვრივობოლთა და უპოვართათვის დაურიგებია. მოსწონებია და ცოლად შეურთავს ქრისტიანი ქალი სუსანა — იერუსალიმის პატრიარქის დაი. აქვე, იერუსალიმში დაორკეცებულა სუსანა. ცოლქმარი კაპადოკიაში დაბრუნებულა, ზაბილონის მშობლიურ ქალაქში, კალასტროში.

აქ დაიბადა ნინო.

როცა თერთმეტი წლისა გახდა, მშობლებმა ყველაფერი მიჰყიდმოჰყიდეს, ისევ იერუსალიმს ჩავიდნენ და ფული მთლიანად მათხოვრებს, საპყართ და ქვრივობლებს დაურიგეს. აქვე დასახლდნენ და შეუდგნენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას.

ნინომ ბიძასთან, იერუსალიმის

პატრიარქთან ისწავლა ქრისტეს მოძღვრება და საქრისტიანო მსახურება. კარგად რომ ისწავლა და შეისისხლხორცა, ბიძას ლოცვა-კურთხევა გამოსწირა, მშობლებს დაემშვიდობა და წარმართ ადამიანთა ქრისტეს სჯულზე მოქცევას შეუდგა.

ასე, ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, ნინომ მიაღწია „სამეფოს ჰრომს“.

აქ იგი დაუახლოვდა ორ ქალს — რიფსიმესა და გაიანეს. ორივე გააქრისტიანა. მალე მათ გარდა ნინომ კიდევ ორმოცდაათამდე წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

ამასობაში რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოიქცნენ და დიდის გაჭირვებით მოაღწიეს სომხეთს.

რიფსიმე და გაიანე სომხეთში დარჩნენ, სომეხთა მოსაქცევად.

ხოლო, ნინო, „ეგარდმო მინიშნებით“, წამოემართა საქართველოსკენ.

მოდიოდა იგი, ქალწული უმშვენიერესი, სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით.

მეოთხე თვეს, ივნისში, ჯავახეთს შემოდგა ფეხი.

ქალი შეაძრწუნა მთებმა, რომელთაც ზაფხულშიაც არ მოეხადათ თეთრი ნაბდები.

დადგა თავფარავნის ტბასთან და იქვე დაივანა ორი დღე-ღამე.

თვალსა და გულს აჩვევდა ქართულ მიდამოს, გასაოცარ მიწას და ზეცას. ინახად მჯდარი გემოს უსინჯავდა თავფარავნულ თევზს. იხიბლებოდა აქაურ მწყემსთა თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით.

აქვე პირველად მოისმინა „არმაზ“ და „ზადენ“, რომელთაც მასპინძელი მწყემსები მოუხმობდნენ, მათ მიმართ ლოცვას აღავლენდნენ და ზორვას უმართავდნენ.

აქვე ამ უცნაური კერპების თაყვანისმცემლებს პირველად უხილავთ უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოცვა-ვედრება და ქრისტესათვის ცრემლის თხევა.

აქვე ნინომ შეიტყო, რომ ეს გულკეთილი ადამიანები ყოფილან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

და ნინოც წამოვიდა ამა „დიდისა ქალაქისაკენ“.

კიდევ დიდხანს იარა ხამლით და უხამლოდ.

გზაზე მგზავრებს აჰყვა, მტკვარი გადმოიარა და მოვიდა ურბნისს.

ერთი თვე აქ დადგა და ისწავლა აქაური ხალხი, მათი ცხოვრება, ზნე და ჩვევა.

მერე დადგა დღე, როცა ხალხი დაიძრა „დიდად ქალაქად, სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“.

და ნინოც გაჰყვა ხალხის მდინარებას.

მივიდა მცხეთას და იხილა ქალაქი საარაკო მშვენიერებით.

ორი მდინარის შესაყარში გაშლილიყო სამეუფო ქალაქი ქართლოსიანებისა. მჭიდროდ და მრავლად დასახლებული, სახლები ტანსრული ხუროთმოძღვრული ანაგებით, წითელი კრამიტის სახურავებით, შუაგულში სამეფო სრა-სასახლით და ქალაქის თავ-

ზე უმტკიცესი აკროპოლისით. მდინარეთა მხრიდან მაფალი მთები დასცქეროდნენ მცხეთას.

ქალაქი ხალხს ვეღარ იტევდა „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი“.

ატყდა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზინზილაკთა.

სასახლიდან გამობრძანდა დედოფალი ნანა, და მის კვალდაკვალ — მეფე მირიან.

„და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“.

მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ხალხს. პროცესია მთისკენ, არმაზ-ციხისკენ მიემართებოდა.

ნინოც მიჰყვებოდა.

„იგი ხედვიდა საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა“.

არმაზის მთაზე იდგა კერპი, თვითონ არმაზი, სპილენძის ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჯაჭვ-საჭურვლით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვიადი და მრისხანე, კუშტად შეკრულ წარბთა ქვეშე — ერთი თვალი ზურმუხტის ედგა, ხოლო მეორე — ბივრილიონის.

არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო ქანდაკნი ედგა: მარჯვნივ — ოქროსი, სახელად გაც, ხოლო მარცხნივ — ვერცხლისა, სახელად გაიმ.

ხალხი შეუდგა ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე...

დღე იყო შავღრუბლიანი და უნათლო.

შუადღე გადავიდა.

საკერპო მისტერია ჯერ არ დასრულებულიყო, ზეცად ატყდა ჭექა-ქუხილი და წვიმაც დაუშვა კოკისპირულად. ელვას და ჭექას მალე საშინელი სეტყვაც მოჰყვა.

ხალხი მთიდან მოწყდა და დაბლობისაკენ დაეშვა.

მოსაღამოვდა. წვიმა ქარიშხლად იქცა. მთელი ღამე გრიგალი, ღვარნაფშვენი, ლეშხი, სეტყვის ხრიალი და ჭექა-გრუხუნი არყევდა ცასა და მიწას. როგორც იქნა, გათენებისას ჩადგა ქარიშხალი. ქვეყანა დაწყნარდა. ცამ პირი გადაიწმინდა.

ხალხი აღტაცებით შეხვდა მზის გამოჩენას.

მაგრამ მათი სათაყვანო კერპები უკვე აღარ იმზირებოდნენ არმაზის მთიდან. საშინელ ქარბორბალას, ნიაღვარსა და „ლიტრის სწორ“ სეტყვას კერპები დაელეწნა, შეემუსრნა და ნამუსრევნი მათნი „შთაებნივნა კლდეთა ნაპრალთა“.

„გამოვიდა მირიანმეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს, რომლისათვის დაეცა მათ შიში და ძრწოლა“.

ატყდა მითქმა-მოთქმა; ზოგი მართლა ძრწოლით და შიშით, ზოგიც გაბოროტებით — გაიძახდნენ, რომ ეს, სალოცავ-სათაყვანო კერპთა მსხვრევა დიდი ღვთის წყრომა და განუზომელი უბედურების მომტანი უნდა ყოფილიყო. ვინ რას გაიძახოდა ამ ღვთის წყრომის წყაროდ! ზოგი არმაზის დამანგრევლად ქალდეველთა ღმერთს, ითრუჯანს ასახელებდა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მცხეთის კერპთა შემმუსვრელ ძალად იესო ქრისტეს ასახელებდნენ — ნაზარეველ ღვთაებრივ გმირს, თვით სასწაულმოქმედ ღვთაებას, კაცობრიობის ცოდვებისთვის ჯვარცმით ვნებულს და სისხლდათხეულს და მერე მკვდრეთით აღმდგარს და ზეცად ამაღლებულს.

ეტყობოდა, მცხეთაში ბევრი უკვე კარგად იცნობდა ქრისტეს მოძღვრებას და შეფარვით კიდეც აღიარებდა მას.

მეზობელი სომხეთიდანაც მოდიოდა ნაირნაირად ნათქვამი. მათ შორის ერთ ასეთ სასწაულს ამბობდნენ: თურმე სომეხთა მეფე თრდატი „ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილიყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულიყო“. ახლა კი მცხეთაში ბევრი იძახდა: ჩვენი კერპები სწორედ იმ ღმერთმა შემუსრა, რომელმაც კაცი ჯერ ღორად, მერე კი ის ღორი ისევ კაცად აქციაო.

ხოლო, სულ მალე დადგება დღე, როცა ხალხში ხმა გავარდება, დარწმუნებით და დაბეჯითებით: მცხეთა-არმაზის კერპთა შესამუსრავად ქრისტეს მოუხმო სწორედ ნინომ, კაპადოკიიდან მოვლენილმა უცხო ქალწულმა!..

იმ დღეს ნინო არმაზის მთაზე ავიდა და კერპთა ნამუსრევნი გულდასმით მოიხილა. მერე მთის ბოლოსკენ წავიდა და მივიდა იქ, სადაც აღმართული იყო მეფეთა საჩრდილობელი — ასწლოვანი აკაკის ჯიშის ხე, „შუენიერი, მაღალი და რტომრავალი“.

იმ ხეს მიადგა ნინო. დიდხანს ეწვალა და ზედ ნიში ამოჭრა ქრისტეს ჯვარცმის გამოხატულებით.

ექვსი დღე დადიოდა და ლოცულობდა მისგანვე ნაკვეთი ქმნილების წინაშე.

უკანასკნელ დღეს აქ მას, მუხლმოყრილსა და მხურვალედ მლოცველს, მოუსწრო სამეფო სახლეულთაგან რომელიღაც ქალმა, სახელად შროშანამ.

სეფექალმა ვინაობა ჰკითხა ნინოს.

ნინომ არ გაუმხილა თავისი წარმომავლობა და უბრალოდ უთხრა: მე ერთი უთვისტომო ტყვე ქალი ვარო. შროშანას შეებრალა და შეუჩნდა — სასახლეში წამომყევიო. ნინო უარზე დადგა.

კიდევ სამი დღე დარჩა ქრისტიანი ქალწული არმაზის ჯვარცმის წინაშე. მერე მთიდან დაეშვა, ხიდი გადმოიარა და სამეფო სასახლეს მიადგა.

აქ გაშლილიყო მშვენიერი წალკოტი, მრავალფერი ყვავილნარებით, ბუჩქნარებით, ხეებზე ახლართული ვაზებით.

წალკოტის განაკიდურზე მებაღის მცირე სახლაკი იდგა.

ნინო იმ სახლაკს მიადგა.

სახლიდან ქალი გამოვიდა, მებაღის ცოლი, სახელად — ანასტო.

ანასტო დაატყვევა უცნობი ქალწულის საოცარმა სიმშვენიერემ და კდემამოსილებამ.

უძეო ცოლ-ქმარს უცხო ქალწული ღვიძლი შვილივით შეუყვარდა და შვილადვე შეიკედლა.

ცხრა თვე იცხოვრა ნინომ მათთან.

ნინო ანასტოსთან ერთად ბაღში დადიოდა, ყვავილებსა და ბა-

ლახებს კრეფდა, ხარშავდა, რაღაც წამლებს ამზადებდა.

ანასტოსაც უსვამს ნინოს ნახარში წამალი და სასწაულსაც აღარ დაუყოვნებია: მებაღის ცოლს, მანამდე უძეოს, შვილი შეეძინა.

ცადაფრენილი ცოლ-ქმარი ნინომ დაარწმუნა, რომ უძეობისგან განკურნება და ყრმის დაბადება ქრისტეს ნებით მოხდა. მებაღესა და მის ცოლს ისღა დარჩენოდათ სრული სიწრფოებით მიეღოთ ქრისტიანობა — „აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს ფარულად“.

მალე ამის შემდეგ ნინო მახლობელ ბორცვზე ავიდა.

ბორცვი მაყვლის ეკალბარდს მოეცვა.

და იმ დღესვე ნინომ ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გამართა, საკუთარი დალალიდან აკვეცილი თმით შეკრა და ყველაზე მაღალი მაყვლის ბუჩქის ქვეშ აღმართა.

ყოველ დღე-ღამე მოდიოდნენ აქ ნინო და მებაღე ცოლ-ქმარი.

მოდიოდნენ და ლოცულობდნენ, ლიტანიობდნენ ამ პირველი ვაზის ჯვრის წინაშე.

ხალხი მოდიოდა, შორიახლო დგებოდა და გაშტერებით უცქერდა უცხო რიტუალს.

დრო ვიდოდა. ნინო დაუცხრომლად იღვწოდა, ავადმყოფთ მკურნალობდა და განკურნებას ქრისტეს ძალად და მადლად აცხადებდა, და ასე — „ჰყოფდა კურნებათა და საკვირველებათა ძალითა ქრისტესითა: მრავალნი განრღვეულნი განკურნა რეცა მიზეზითა წამლისათა“.

ბევრი დაიმოწაფა და გააქრისტიანა.

მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცელდებოდა.

მესამე წელი მიდიოდა ნინოს მოსვლიდან.

მეფე მირიანი აქამდე მორჭმით განაგებდა ქვეყანას. ჩრდილოეთიდან ჟამჟამად მოვარდნილ ხაზართა და ალანთა ნიაღვარს ძლევამოსილად უკუაქცევდა. დიდი ფარნავაზის საფლავს ძვირფასი შესამკობლებით ამკობდა და მის დიდ მამულიშვილურ საქმეებს წარმატებით განასრულებდა.

ქართველ მეფეს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი, — ძველი ქართულ-პონტოური მიწების შემოერთებაზე ოცნებობდა. პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა, მეორე ცოლად შეირთო პონტოელი მმართველის ასული, სახელად ნანა.

პონტოურ მემკვიდრეობაზე ხელის დადება რომის ხელისუფლების გადამტერებას მოასწავებდა, მაგრამ ამას იბერია-ქართლის მეფე არც ერიდებოდა. იგი წინა აზიაში პირველობას სპარსელ მბრძანებლებთან ერთად ინაწილებდა.

მაგრამ მირიანის მეფობის შუა ხანებში ერთბაშად მსოფლიო წონასწორობის სასწორი ავისმაუწყებლად შექანდა. რომის საიმპერიო ტახტზე დიდი ხელმწიფე დაბრძანდა. ეს იყო სწორედ კონსტანტინე. მის გახელმწიფებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთში ეს უცნაური ამბავი მოიჭრა: 312 წლის 28 ოქტომბერს მდინარე ტიბრზე, მულვიუსის ხიდთან, კონსტანტინე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება საომარი ძალებით ოთხჯერ უძლიერეს მეტოქეს, მაქსენსიუსს. და, ბრძოლის წინ ღამეს კონსტანტინეს ჯვარი გამოეცხადა, ზედწარწერით: „ამით გაიმარჯვებ“ (ბერძნ. „ტუტო ნიკა“); მეორე დღეს ბრძოლად „ჯვაროსანი დროშით“ გავიდა და მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გამოდის, კონსტანტინე ქრისტემ აიყვანა ტახტზე!.. კონსტანტინეს დედა, დედოფალი ელენე ხომ დიდი ხანია ქრისტიანად ყოფილა მოქცეული, ქრისტიანთა თავგამოდებული მფარველი და ეკლესიათა დაუცხრომელი მაშენებელი.

მალე კონსტანტინემ, როგორც ითქვა, ახალი სატახტოც დააარსა და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

კონსტანტინე აღმოსავლური პოლიტიკის თვალსაწიერიდან ერთის წუთითაც არ უშვებდა ამაყ ქართველთა ქვეყანას. იცოდა, იქაურ ხელმწიფეს თვალი ქრისტიანთა მოსისხლე სპარსეთისაკენ ეჭირა. ბოლოს და ბოლოს, მირიანმა უარი ვეღარ შეეჰბედა პირველი ქრისტიანი ხელმწიფის მოთხოვნას და კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნა თავისი ძე — ბაქარი.

ქრისტე და ქრისტიანობა!

მაშ, სამასი წელიწადი გაისმის ცისქვეშეთში ეს ღვთაებრივი იდუმალებით აღსავსე სახელები. რომის იმპერიის გარეთაც გაიდგა ფესვები ღვთაებრივი გმირის თავგადასავალმა. კავკასიის სანახებსაც დასაბამითვე შესდგომია ევანგელური საგალობელნი. თვით მირიანის სამშობლოში სამასი წელიწადი დადის ხმა შესახებ იმისა, რომ ქრისტეს კვართი მაინც და მაინც მცხეცის მიწაში განისვენებს...

მაშ, უკვე სამასი წელიწადი გასულიყო ნინოს გამოცხადებიდან. და დაბეჯითებით ამბობდნენ მცხეთაში: ზეცით ფრინველნი მოფრინავენ, მტკვარში ჩაეშვებიან, განიბანენ, განსპეტაკდებიან, მერე სამეფო წალკოტში აფრინდებიან, ვაზებს შეეფინებიან, ყურძენს მოესთვლებიან, კვლავ ძირს დაეშვებიან, ყვავილებს დაჰკორტნიან და... სტვენა-გალობით ნინოს შემოესევიან, კალთასა და უბეში ჩაუფრინდებიან...

ბევრი მიმდევარი გასჩენოდა ქრისტიანობის მქადაგებელ ქალს.

მირიანიც, რაკი უკვე მასაც „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა, არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“.

სამაგიეროდ, დედოფალი ნანა გმობდა თურმე გულფიცხელად ახალ მოძღვრებას და მის მოძღვარ ქალს.

მერე კიდევ ერთი სასწაულის ამბავი გავარდა მცხეთაში: ერთი ვინმე ქვრივი ქალი ყოფილა, რომელიც უშვერად აგინებდა ნინოსაც და მისსათაყვანო ქრისტესაც. ამ ქალს ერთადერთი ვაჟი ჰყოლია, ჯერ უწვერული ყმაწვილი, რომელიც რაღაც მძიმე სენს შეუპყრია და სიკვდილის პირას მიუგდია. ზარდაცემული დედა გრძნობადაკარგულ შვილს ქალაქში კარდაკარ დაატარებდა და ყველას, სააქიმო საქმის მცოდნეს

და არმცოდნეს, შველას ევედრებოდა. ბოლოს, როცა ხსნა აღარსაიდან აღარ გამოჩნდა, სასოწარკვეთილი ქალი თავისი მომაკვდავი შვილით ნინოსთან მივიდა, მის წინ მუხლებზე დაეცა და სიკვდილისგან შვილის გამოხსნა სთხოვა.

ნინომ ავადმყოფი გასინჯა და თქვა — ამას ღმერთი ჩემი, ქრისტე განკურნავსო, და ყმაწვილი რაღაც ბეწვიან საგებელზე დააწვინა, — საგებელზე, რომელზეც თვითონ ლოცულობდა და ავადმყოფებს კურნავდა. მერე მისდგა, უწამლა, ილოცა, შეულოცა და... „მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა“. ხოლო, სიხარულით შეშლილმა დედამ მაშინვე შესძახა:

„არა არს სხუა ღმერთი თვინიერ ქრისტესა, რომელსაც ქადაგებს ნინო“.

თქვა, ნინოს დაემოწაფა და ისიც ქრისტეს სჯუს შეუდგა.

და, ბოლოს, სასწაული, რომელიც დაუკავშირდა უშუალოდ სამეფო სასახლეს: ლოგინად ჩავარდა დედოფალი ნანა. სენი აღმოჩნდა რაღაც უცნაური და უმძიმესი, „რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო, რამეთუ ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკვეთილ“.

რაკი სხვა რაიმე საშველი აღარ აღმოჩნდა, დედოფალს მოახსენეს „იმ ტყვე-ქალის“ შესახებ, რომელსაც თვითონ დედოფალი აგინებდა და დასცინოდა. ნინომ ხომ ყველა განკურნა თავისი სასწაულმოქმედი ლოცვა-კურთხევით და შენც დაგიბრუნებს ტანის სიმრთელესო, არწმუნებდნენ დედოფალს. ბოლოს ნანაც დათანხმდა და მსახურნი წარგზავნა ნინოს მოსაყვანად.

ნინო ისევ იმ მაყვლის ბუჩქთან იპოვნეს, ვაზის ჯვრის წინაშე მლოცველი და მუხლმოყრილი. კარისკაცებმა დედოფლის ავადმყოფობის ამბავი აცნობეს და დედოფლისავე ბრძანებით სასახლეში გამოცხადება მოსთხოვეს.

ნინომ მშვიდად უპასუხა: ბრძანებით ჩემი აქედან გასვლა არ შეიძლებაო და თვითონ დედოფალი მოვიდესო აქ, „საყოფელსა ამას ჩემსა“.

ნანა დედოფალსაც ისღა დარჩენოდა, ტყვე-ქალის ნება შეესრულებინა. და ტახტრევანზე მწოლარე დედოფალი, უფლისწულ რევისა და დიდძალი ამალის თანხლებით, ეახლა ნინოს იმ ჯვარსასვენებელ მაღლობზე.

ნინომ დედოფალი ნანა იმ „საკურნებელ საგებელზე“ დააწვინა, დიდხანს ულოცა, მერე ჯვარი აიღო და ავადმყოფს ჯვარსახედ გარდასახა: „შეახო თავსა, ფერხთა და მხართა ჯუარის სახედ“.

და ისევ მოხდა სასწაული: დედოფალი ნანა „მეყსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული“.

და ახლა ქართლის დედოფალმა ბრძანა სიტყვა დიდძალოვანი:

„არა არს სხუა ღმერთი, თვინიერ ქრისტესა, რომელსაც ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი“.

თქვა და თვითონაც მაშინვე მიიღო ქრისტიანობა, დაემოწაფა ნინოს და სხვებსაც მოუწოდა, შესდგომოდნენ სასწაულმოქმედი ღვთაების გზას.

მეფე მირიანი კი დიდის გულმოდგინებით გამოჰკითხავდა მეუღლე-დედოფალსა და მის მხლებლებს ქრისტეს ამ ახალი სასწაულის ამბავს. იგი უკვე „დაეპყრო“ ქრისტიანულ მოძღვრებას. კითხულობდა ძველთაძველ სჯულ-კანონებს, ძველაღმოსავლურ და იუდაისტურ საღვთისმეტყველო წიგნებს, გულმოდგინედ უსმენდა, სწავლობდა, ჩხრეკდა და სინჯავდა ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყოველ თქმულებას და გადმოცემას. და ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ — მეფესაც „შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“.

ამას დაერთო კიდევ ნინოსგან, ასევე „ქრისტეს ნებით“, განკურნება მეფის უახლოესი ნათესავისა და თავგამოდებული კერპთაყვანისმცემელი მოგვისა.

ბოლოს, პირველი ქრისტიანული დრამის უკანასკნელი აქტიც გათამამდა.

ერთ შაბათ დღეს, შუა ივლისში, მეფე მირიანი ახლო ნათესავთა და კარისკაცთა თანხლებით სანადიროდ წაბრძანდა მუხრანის ველზე. იგი ფრიად ჩაფიქრებული იჯდა ცხენზე. მისი გონება რაღაც მძიმე საზრუნავსა და საჭმუნავს დაეტვირთა. ერთგან მეფემ ცხენი შეაყენა და ამალას მდუმარედ მიუბრუნდა. მერე იმათგან ოთხი უახლოესი და უერთგულესი კარისკაცი გაიხმო და მათთან ერთად განაპირდა. და უთხრა მეფემ იმ ერთგულ ოთხეულს: დიდი შეცდომა და შეცოდება ჩავიდინეთ, რომ გრძნეულ და მაცდურ ქრისტიანებს ჩვენს ქვეყანაში ლაგამი ავჰყარეთ და მათს ნებაზე საპარპაშოდ მივუშვით; ახიც იქნება, ამისთვის ჩვენმა ღმერთებმა დაგვსაჯონ; ახლა მე გადავწყვიტე, ყველა ქრისტიანი და ქრისტეს ჯვრის მიმდევარი ამოვწყვიტო და ისევ ქართლის ძველ-მპყრობელ ღმერთებს შევუდგეთო; მე ამას ჩემს მეუღლესა და თანამეცხედრეს, დედოფალ ნანასაც ვუბრძანებ და მოვთხოვ, დაუტეოს და განიშოროს ქრისტიანობა, ხოლო უკეთუ არ შეისმენს, სხვებთან ერთად იმასაც სიკვდილს შევყრიო.

ეს თქვა მეფემ და ოთხივე კარისკაცს ფიცი ჩამოართვა ამ დიდ განზრახვაში თანადგომა-თანაბრძოლისათვის.

მერე გზა განაგრძეს და ნადირობად მოედვნენ მთასა და ბარს.

მუხნარის სანახები მოილიეს და თხოთის მთაზე ავიდნენ. იქიდან მეფემ კარგა ხანს ათვალიერა კასპისა და უფლისციხის მიმოსახედნი.

სამხრობის დრო რომ დადგა, უცებჩამობნელდა. მზე თითქოს ჩაქრა, დღე გაიცრიცა, წყვდიადი ჩამოდგა.

მეფე შეძრწუნდა. მთიდან დაეშვა. ციცაბოებსა და უსიერ ტყემაღნარებში გზას ძლივს იგნებდა ზარდაცემული და გაოგნებული. მოდიოდა და საშველად მოუწოდებდა ქართლის ძველ ღმერთებს — არმაზს და ზადენს, გაცსა და

გაიმს. მაგრამ საშველი მაინც არა და არ ჩანდა. ასე, რომ ძველმა ღმერთებმა სულ დაჰკარგეს მეფის თვალში ყოველგვარი პატივისცემა და აღიარება.

„მშობლიურ ღმერთთაგან“ მიტოვებულ მირიან მეფეს ისღა დარჩენოდა, შევედრებოდა ნინოს სათაყვანო ღმერთს, მის ჯვარსა და ჯვარცმას. ოღონდ შენ მიხსენ, ნინოს ღმერთო, ეს ბნელი გამინათე, გზა-კვალი მაჩვენე და სამაგიეროდ შენს სახელსაც ვაღიარებ, ჯვარსაც აღვმართავ, თაყვანსაც ვცემ, ჩემთვის საქრისტიანო სალოცავ სახლსაც ავიშენებ და მუდამ ნინოს სჯულის მორჩილი და მოთაყვანე ვიქნებიო — იძახდა მეფე.

და აი, წყვდიადს ნელ-ნელა შეუდგა ნათელიერი; ცამ ისევ გადიწმინდა, მზე ისევ გამობრწყინდა და კვლავ დღის სულმა დაიპყრო ქვეყანა. და მირიანსაც უტყუარი მტკიცება მიეცა ქრისტეს სასწაულისა — აკი სწორედ მაშინ გაირღვა ბნელი და იქმნა ნათელი, როცა იგი ქრისტეს ევედრებოდა!..

მეფე ცხენიდან გარდახდა, ხელები აღმოსავლეთისკენ აირთხა და შეჰღაღადა:

„შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი რომელსა ნინო იტყვის; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ მიხსენ მე ჭირისაგან და გამინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლისა იდიდებოდის სახელი შენი და იხსენიებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე“.

და მოინიშნა მეფემ ის ადგილი, მოინიშნა და წამოვიდა. დაბნეულმა და გაფანტულმა ამალამაც მოიყარა თავი მეფესთან. მირიანი ახლა მათ მიუბრუნდა და უბრძანა:

„მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე“.

საღამო ჟამს ღართის კართან ნანა დედოფალი და სრულიად მცხეთის მოსახლეობა შემოეგება მეფეს.

მხოლოდ ერთი არ მოსულა მის შესახვედრად.

და ეს ერთადერთი ისევ იყო ნინო, რომელიც იმჟამად მწუხრის ლოცვას აღავლენდა მაყვლოვანში აღმართული ვაზის ჯვრის წინაშე.

მირიანმა ხალხს თვალი მოავლო და შესძახა:

„სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი — მხსნელი ჩემი?!“

„მაყულოვანსა არს და ილოცავს“, — იყო პასუხი.

მაშინ მირიანმა მცხეთა სასწრაფოდ გაიარა და მთელი სამეფო სახლეულით, ხალხით და ლაშქრით, ნინოს ეახლა. მისვლისთანავე დაქვეითდა, მლოცველი ქალწულის წინაშე მონიწებით წარსდგა და თვალცრემლიანმა შეჰღაღადა:

„აწ ღირს ვარ სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა“.

შემოეგება ნინო მეფეს, აღმოსავლეთისაკენ პირი აქნევინა, მუხლებზე დააჩოქა, ჯვრით ჯვარი გარდასახა და აღსარებას შეუყენა.

ხელმწიფის მოქცევას სამარისებური მდუმარებით უცქერდა ხალხი.

ტიროდა მეფე, ტიროდა დედოფალი, ტიროდა ერი.

ეს იყო ტირილი რელიგიური აღტკინებისა და სარწმუნოებრივი გარდასახვისა.

ის ღამეც გასრულდა და დილის დადგომისთანავე მირიან მეფემ მოციქულები აფრინა კონსტანტინოპოლს. იგი იმპერატორ კონსტანტინეს სწერდა ქართლში მომხდარ ქრისტესმიერ სასწაულთა ამბებს და სასწრაფოდ მღვდლებს სთხოვდა სრულიად ქართლის მოსანათლავად. მავეს სწერდა ნანა დედოფალი კონსტანტინეს დედას, ელენე დედოფალს.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიანმა ნინო მოიხმო და უთხრა, ძალიან მეჩქარება ქრისტეს სახლი ავაშენო და მითხარი, სად ავაშენოო. ნინომაც მაშინვე უპასუხა:

„სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს“.

ამაზე მირიანმა თქვა: მე ის მაყვლიანი შემიყვარდა, სადაც შენი ვაზის ჯვარი დგას და ქრისტეს სახლსაც იქ ავაშენებდი, მაგრამ ახლა ასე გადამიწყვეტია, არ მოვერიდო არცა ჩემს სამეფო წალკოტს, არცა მის ნაძვთა სიმაღლეს, არცა ვაზთა ნაყოფიერებას, თუ ყვავილთა სურნელებას და ქრისტეს ტაძარი სწორედ ამ წალკოტში უნდა ავაშენო, რადგან ის ციური ფრინველნი, მტკვარში განწმენდა-განსპეტაკების შემდეგ, სწორედ ამ წალკოტში მოფრინავენ და გალობით შენს კალთაში სხდებიანო.

თქვა და სასწრაფოდ შეუდგა ტაძრის მშენებლობას. საშენ მასალად სამეფო ბაღის ხე-ტყეც კმაროდა. უკვე კედლებიც ამოიყვანეს და იქვე მოჭრილ ნაძვთაგან სვეტებიც გამოაკოპიტეს. სულ

მირიანმა უბრძანა: «მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე»

შვიდი სვეტის დამზადება იყო ათვლილი. ექვსი კიდეც აღმართეს და მეშვიდეს, მთავარ დედასვეტს, ვერაფერი ვერ მოუხერხეს — მთელი დღე აწვალეს, ვერ აღმართეს და ვერ დააფუძნეს დანიშნულ ადგილზე. დაღამდა, გათენდა და აი, ხალხმა ისევ იხილა ახალი სასწაული: ეკლესიის მთავარი სვეტი უკვე იდგა თავის საფუძნებელზე. მაშინვე ხმაც გავრცელდა, რომ ეს საქმეც ნინოს მთელი ღამის ლოცვა-ვედრებამ, ჯვარსახვამ, ლიტანიამ და ცრემლთა თხევამ განასრულა, — რომ სწორედ ნინოს მოწოდებაზე ღამით მოიჭრა ვინმე ჭაბუკი, „ყოვლად ნათლითა შემოკბილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა“, რომელმაც ხელი ჰყო და აღმართა მთავარი სვეტი ეკლესიისა.

იმ დღიდან ნინომ ამ „ღვთაებრივ სვეტთან“ ახალ-ახალი სასწაულები მოახდინა. აქ, ამ „სუეტი — ცხოველის“ შეხებითა და ხილვით, მრავალი სნეული და სხეულგანრღვეული განკურნა და გაამთელა...

იმპერატორი კონსტანტინე და დედოფალი ელენე დიდი სიხარულით შეხვდნენ ქართველთა მოქცევას. ელენე უფრო იმით აღტაცებულა, რომ ქრისტეს სჯული ახალ დიდ ქვეყანას მოეფინებოდა, ხოლო კონსტანტინე იმის გამო იხარებდა, რომ იბერია ამიერიდან შეიქმნებოდა მოკავშირე ბიზანტიისა და მტერი სპერსეთისა.

და კონსტანტინოპოლიდან მცხეთაში ჩამოვიდა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდლისა და სამი დიაკონის თანხლებით. ჩამოვიდნენ და თან ჩამოიტანეს ლოცვა-კურთხევის, ძმობისა და დობის წერილები იმპერატორისგან და მისი დედისგან. ძღვნად ჩამოიტანეს მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის დიდებული ჯვარი და ხატი იესო მაცხოვრისა, და კიდევ — სამსჭვალნი, რომლითაც იყო ჯვარზე გალურსმული თვითონ იესო.

მირიან მეფემ დიდის სიხარულით მიიღო სტუმრები. მას უკან სასწრაფოდ მოიწვია ერისთავნი და სპასალარნი მცხეთას.

და დაიწყო „მოქცევაი ქართლისაი“.

მირიან მეფე მონათლა ნინომ.

მეფის სახლეული — დედოფალი ნანა და უფლისწულნი — მონათლეს კონსტანტინეპოლელმა ეპისკოპოსმა და მღვდლებმა.

აკურთხეს მტკვარი.

იოანე ეპისკოპოსმა ქართველი მთავარნი და წარჩინებულნი მონათლა საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, მოგვეთის ხიდის კართან, სადაც მონიშნული იყო ელიოზ მცხეთელის საცხოვრისი. და ამიერიდან ამ ადგილს დაერქვა მთავართა სანათლო. ხოლო, ცოტა ქვემოთ, მტკვრის პირას, ორ ალაგას, ინათლებოდა ხალხი.

მაშ, მცხეთა მოინათლა.

ქართლის შიდა დასახლებანიც მოინათლა.

გაჩაღდა ეკლესია და ტაძართა მშენებლობა.

მაგრამ ბევრი ქართველთაგანი მტრულად შეხვედრია ახალი მოძღვრების შემოტანას. ნათლიღებაზე უარი უთქვამს მირიანის სიძეს, ფეროზს, რანის ერისთავს. არც მისი საერისთაო აპირებდა ქრისტეს აღიარებას.

ქრისტიანობაზე უარი სთქვეს მთიელმა ქართველებმა.

მეფემ ნინო და იოანე იხმო და უთხრა: გადავწყვიტე მახვილის ძალით ვათაყვანო ქრისტეს მთიულეთი და ჩემი სიძე ფეროზიო. ამაზე ნინომ და იოანემ უპასუხეს:

„არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი“.

მეფე დათანხმდა და მთიულეთისკენ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა“ დაიძრნენ წმიდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი.

მაგრამ მირიანს მღვდელთა, ბერთა და მონაზონთა ლაშქრისთვის სამხედრო ლაშქარიც გაუყოლებია ერისთავის სარდლობით.

მივიდნენ მთიულეთს. დაიწყეს ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა და მოუწოდეს ხალხს ნათლისღებად. მაგრამ აქაური ქართველობა კვლავ უარზე დადგა. აგრე არ უნდაო და „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“.

ნინოს „გამოცხადებიდან“ იდგა მეთოთხმეტე წელიწადი მთიულეთში ნათლობა და მლოცველობა დასრულებულიყო. ნინო თავისი ქრისტიანული ამალით რანისაკენ მიეშურებოდა, რანთა და მათი ერისთავის, მირიანის სიძის მოსანათლავად.

კუხეთის გავლით მიდიოდნენ.

გზაზე, ბოდბეში, მოულოდნელად ნინო ავად გახდა.

მის სანახავად უჯარმიდან სასწრაფოდ მოვიდნენ უფლისწული რევი და მისი ცოლი სალომე.

სასწრაფოდ აცნობეს მცხეთას.

მირიანმა აფრინა ეპისკოპოსი იოანე.

და ევედრა იოანე ნინოს მეფედედოფლის სახელით, დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა მცხეთაში.

ნინო უარზე დადგა.

მაშინ მცხეთიდან ეახლნენ თვითონ მეფე-დედოფალი, მირიანი და ნანა.

ნინომ კვლავ მტკიცე უარი თქვა იქიდან წასვლაზე და რაიმე მკურნალობის მიღებაზე.

„რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი ხორხად ჩემდა და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ“.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

მისივე უკანასკნელი, ურყევი ნებით, დაკრძალეს იქვე, ბოდბეში — ადგილსა უჩინოსა და „შეურაცხსა“.

ასე აღესრულა წმიდა ნინო, განგებით მოვლენილი ქალწული, ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი.

საქართველო ახალი საისტორიო სამანიდან იწყებდა ცხოვრებას — ახალი, ზნემაღალი სარწმუნოებითა და კულტურით.

ამიერიდან კიდევ უფრო განემტკიცა „ერთარსება ქართულობისა“:

ერთიანი რწმენა, ერთიანი ენა, ერთიანი მამული.

ანთიმოზ ივერიელი

სამშობლოდან მწარე და ბოროტი ბედისწერის წყალობით გადაკარგული, უცხო ხალხის ეროვნული ისტორიის მჭედელი, განმანათლებელი, სულიერი და სარწმუნოებრივი მოძღვარი, რეფორმატორი, ვახტანგ მეექვსის საყვარელი ადამიანი, „თანამესტამბე“, სვეგამწარებული სამშობლოს სულიერი აღზევებისათვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი — ეს იყო ანთიმოზ ივერიელი.



დაიბადა დასავლეთ საქართველოში, 1650 წელს. ყრმობის სახელი — ანდრია. მამა — ივანე (ან იონა). დედა — მარიამი. გვარი — დღემდე არავინ იცის.

საბედისწერო გამოდგა მისთვის 1716 წელი. თექვსმეტი წლის ბიჭი თურქებმა მოიტაცეს. ჰყიდნენ სტამბოლში, მონათა ბაზარზე. ბიჭი იყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა.

იერუსალიმის საპატრიარქო მაშინ სტამბოლში იყო და ოცდასამი წელიწადი აქვე დარჩა ანდრია.

ალბათ, იმჟამად დაერქვა ახალი სახელი — ანთიმოზ. იგი უთარგმნიდა საქართველოს კათალიკოსის წერილებს იერუსალიმის პატრიარქს და უდგენდა საპასუხო ეპისტოლეებს ქართულ ენაზე, საქართველოში გამოსაგზავნად.

საოცარი ნიჭიერება და მისწრაფება გამოაჩნდა სწავლა-განათლებისადმი, ბრწყინვალედ შეისწავლა საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიტორიკა და ხელოვნების დარგები. სრულად დაეუფლა ბერძნულ, არაბულ და თურქულ ენებს. იშვიათი უნარი ჰქონდა ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთელობისა, ოქრომჭედლობისა, მხატვრობისა, კალიგრაფიისა, ხუროთმოძღვრებისა, სასტამბო ხელოვნებისა.

1690 წელს ვალახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ, რუმინეთის დიდმა კულტურულმა რეფორმატორმა, წაიყვანა ანთიმოზი სტამბოლიდან ბუქარესტში. წაიყვანა, რამეთუ მისი ხალხისა და ქვეყნისათვის მოეხმარა ამ საოცარი ქართველი კაცის მრავალმხრივი განათლება და ოსტატობა.

ვალახეთში ანთიმოზი მალე დაეუფლა რუმინულ და საეკლესიო სლავურ ენებს.

1691 წელს ანთიმოზ ივერიელმა ბუქარესტში დააარსა სტამბა და იმავე წელსვე დაბეჭდა პირველი წიგნი, გადმოთარგმნილი ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე — „შეგონებანი ბასილი მაკედონელისა თავისი ძის ლეონისადმი“. ამას მოჰყვა „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია“ და „ფსალმუნი“. ყოველი წიგნი გაწყობილი იყო დიდი ოსტატობით, მაღალი გემოვნების სამკაულებით, გრავიურებით, თვითონ ანთიმოზის ნახელავებით.

1694 წელს ანთიმოზი გადავიდა სნაგოვს, ბუქარესტიდან ოცდახუთმეტ კილომეტრზე. აქ ტბაზე და კუნძულზე ნახევრად დანგრეული და დავიწყებული მონასტერი იყო. ანთიმმა (ასე ეძახდნენ მას რუმინეთში) მონასტერი აღადგინა და იქვე დააარსა ახალი სტამბა.

სულ მალე სნაგოვი ქვეყნის დიდი კულტურული შუაგული შეიქნა. აქ იბეჭდებოდა წიგნები ბერძნულ, რუმინულ და არაბულ ენებზე. სტამბის გვერდით **ანთიმოზმა ტოპოგრაფიული სკოლაც გახსნა.** სასულიერო სამსახურიც მას ებარა, ვითარცა სნაგოვის მონასტრის იღუმენს.

მაგრამ ანთიმოზსაც მალე აედევნა მარადიული მტერი მაღალგონიერი კაცისა და მოღვაწისა — შური!.. არავინ იცის, როგორ და რანაირად, მაგრამ მოახერხეს კი მის მიმართ მეუფის გულისწყრომის გამოწვევა და ანთიმოზი იძულებული გახდა, სნაგოვი დაეტოვებინა. იგი ასეთ წერილს სწერს კონსტანტინე ბრინკოვიანუს: **„...სნაგოვის მონასტერიც ძალით არ ჩამიგდია მე ხელში. ეს შვიდი წელიწადი, როცა მე იქ ვმუშაობდი, ბევრი რამ სასიკეთო გამიკეთებია ჩვენს სავანეთა საკეთილდღეოდ (გამიკეთებია არა სახლის რაიმე შემოსავლებით, არამედ ჩემი სახიდანვე ჩამოქცეული ოფლით. ჩემს შესახებ ჩემი საქმენი მეტყველებენ). და თუმცა თქვენს უდიდებულესობას არ სურდა იქიდან ჩემი წამოსვლა, მაგრამ დარჩენაც არასგზით აღარ შემეძლო, ხოლო ვისაც ეს სურდა, დაე, ღმერთის წინაშე აგოს პასუხი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე იქიდან წამოველ სუფთა პატიოსნებით, თუმცა არავის მადლობა არ უთქვამს ყოველივე იმისათვის, რაიც მე გავაკეთე და დავამატე ჩვენი სავანის დიდებამოსილებისათვის. მე არაფერი არ გამიფუჭებია და, ღმერთი ჰხედავს, არც ვალები არ დამიტოვებია“.**

ბრინკოვიანუ მალე მიხვდა, რომ ანთიმოზ ივერიელისადმი მისი გულისწყრომა უსაფუძვლო იყო.

1705 წელს ანთიმოზი განაწესეს რიმნიკის ეპისკოპოსად.

ჩასვლისთანავე რიმნიკში სტამბა გახსნა ივერიელმა.

მანამდე რუმინეთში საეკლესიო სამსახური ან სლავურ ენაზე წარმოებდა, ან ბერძნულ ენაზე. და აი, ანთიმოზ ქართველი გახლდათ პირველი, რომელმაც გადაწყვიტა წირვა-ლოცვა და სასულიერო თუ საერო წიგნის კითხვა ხალხისთვის მშობლიურ რუმინულ ენაზე შემოეღო. ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო წიგნებით თარგმნა და ბეჭდვა რუმინულ ენაზე. და ყველაფერი ეს გააკეთა ისევ ანთიმოზ ივერიელმა: შექმნა სტამბა რუმინულ ენაზე, თარგმნა და ბეჭდა რუმინულ ენაზე, დაიწყო სასულიერო-საეკლესიო სამსახური რუმინულ ენაზე.

ეს სწორედ რომ დიდი კულტურულ-ეროვნული რეფორმა იყო.

1708 წელს ანთიმოზ ივერიელი შეიქნა სრულიად ვლახეთ-რუმინეთის ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობელი — მიტროპოლიტი.

მიტროპოლიტად კურთხევის დღეს ანთიმოზ ივერიელმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა რუმინულ ენაზე.

ანთიმოზი ნამდვილი სასულიერო მამა შეიქნა რუმინელი ხალხისა.

ყველაზე მძაფრად თურქული მბრძანებლობის სიმწარეს განიცდიდა თურქთაგან მოტაცებული და თურქთაგან გაყიდული კაცი. ორივე სამშობლო — საქართველოც და რუმინეთიც — ერთნაირი უღლის ქვეშ ეგულებოდა დიდ მამულიშვილს, ამიტომ რუმინეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლის წყურვილს ურწყულებდა საქართველოდან გადაკარგულ კაცს.

პატარა რუმინეთს დიდ თურქეთთან ბრძოლა ძალიან უნდა გასჭირვებოდა. ამიტომ ანთიმოზ ივერიელი „ერთმორწმუნე რუსეთთან“ და მის ხელმწიფე პეტრე პირველთან კავშირს მოუწოდებდა რუმინეთის სახელმწიფო მესვეურებს.

1711 წელს, თურქეთსა და რუსეთს შორის ატეხილ ომში, პრუტზე გამართული ბრძოლის დროს, ანთიმოზ ივერიელმა აიძულა რუმინელი სარდალი თომა კუზინო, თავისი ჯარით რუსთა მხარეზე გადასულიყო.

ამან განარისხა კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომელსაც ამ ომში თურქთა მხარე ეჭირა. ისევ ისარგებლეს მოშურნე ლაყეთავიანებმა და შეუჩნდნენ ბრინკოვიანუს, მოიშორე თავიდან „ეგ უცხოელიო“.

1712 წელს ანთიმოზს ბრინკოვიანუმ კაცი გაუგზავნა და მიტროპოლიტობიდან თავისი ნებით გადადგომა ურჩია. ყველაზე მძიმე ბრალდებად ანთიმოზს წაყენებული ჰქონდა „მთავრის ინტერესთა ღალატი“ და „უცხოური წარმომავლობა“.

ანთიმოზმა ორჯერ გაუგზავნა წერილი ბრინკოვიანუს. პირველი ბრალდების უსაფუძვლობა ადვილად დაასაბუთა, მეორეს კი რას მოუხერხებდა — აკი მართლა უცხოელი იყო!

და თვითონვე ითხოვა მიტროპოლიტობიდან გადადგომა.

კონსტანტინე ბრინკოვიანუ ისევ მიხვდა თავის უსამართლო განჩინებას და ისევ აიღო ხელი ივერიელის „დევნაზე“.

თურქებმა ზედიზედ სიკვდილით დასაჯეს კონსტანტინე ბრინკოვიანუ და სტეფან კანტაკუზინო და მათ ნაცვლად მთავრად დანიშნეს მავროკორდატი, თურქთა ყურმოჭრილი მონა და რუსეთის დიდი მოძულე.

ეს დიდი უბედურება უნდა ყოფილიყო, უპირველესად ყოვლისა, ანთიმოზ ივერიელისათვის.

მას ჟამსვე ატყდა ომი თურქეთსა და ავსტრიას შორის. რუმინეთის მიტროპოლიტი, ანთიმ ივერიელი, თურქეთის მტრად დარჩა. მავროკორდატი უწყალოდ გაუსწორდა ანტითურქული მოძრაობის მეთაურებს. მისი ბრძანებით ანთიმ ივერიელი, ვითარცა „რევოლუციონერი და მოაჯანყე“, გადაყენებული იქნა მიტროპოლიტის ტახტიდან და მიესაჯა სამუდამო გადასახლება სინას ნახევარკუნძულზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში.

მიტროპოლიტის მიტრა მოჰხადეს და მისთვის ყველაზე საძულველი თავსარქმელი — თურქული წითელი ფესი დააკოსეს. ბორკილები დაადეს, საბარგულზე დააგდეს და იანიჩარებით გარშემორტყმული სამხრეთისაკენ გაუყენეს.

მაგრამ გადასახლების ადგილამდე მიყვანით არ შეუწუხებიათ თავი. ანდრიაპოლს რომ მიუახლოვდნენ, ანდრია ქართველი (მას უკვე აღარ ეძახდნენ ანთიმოზს) თურქმა იანიჩარებმა ხმლებით დაჩეხეს და მდინარე დაუჩიაში ჩაყარეს.

ეს მოხდა 1716 წლის 12 სექტემბერს.

რუმინელ ხალხს უყვარს ანთიმოზი. პატივისცემით იხსენიებს მას და მის სახელზე არა მარტო ქუჩა, ტაძარი და მუზეუმია, სახელმწიფო მუზეუმშიც აქვს ცალკე კუთხე, ანთიმოზის სურათი გამოაქვთ დემოსტრაციებზე თავიანთი ბელადების სურათებთან ერთად. განსაკუთრებით დიდია ჩვენთვის ანთიმოზ ივერიელის დახმარება თბილისში ქართული სტამბის მოწყობის საქმეში. ქართველთა მეფემ ვახტანგ VI დახმარება სთხოვა იერუსალიმის პატრიარქს სტამბის მოწყობისათვის. იერუსალიმის პატრიარქმა ქრიზანტ ნატარასმა ქართველთა მეფის თხოვნა გადაუგზავნა რუმინეთში ანთიმოზ ივერიელს. ანთიმოზმა რუმინეთის მმართველის — კონსტანტინე ბრანკოვიანუსგან მიიღო რა ნებართვა, რომ დახმარებოდა ვახტანგ VI-ს, მაშინვე გამოგზავნა თბილისში თავისი საუკეთესო მესტამბე მიხაი იშტვანოვიჩი. 1708 წელს დაიწყეს მუშაობა თბილისში. 1709 წლის 20 იანვარს დაბეჭდეს I ქართული წიგნი „სახარება“. ორი ცალი „სახარებისა“ გაგზავნეს რუმინეთში ანთიმოზ ივერიელთან. ამ ეგზემპლარებს დართული ჰქონდათ ქების ლექსი 13 სტროფი, 16-მარცვლიანი შაირით დაწერილი, სადაც მოთხრობილია თბილისის სტამბის მოწყობის შესახებ, რა დახმარება გაუწია ვახტანგ VI-ს რუმინეთის მთავარმა კონსტან-

ტინე ბრანკოვიანუმ და პატრიარქმა ქრიზანტ ნატარასმა.

ანთიმოზ ივერიელმა თბილისიდან მიღებული „სახარება“ ჩასვა ლამაზ ყდაში, გაუკეთა წარწერა და გაუგზავნა კ. ბრანკოვიანუს. ანთიმოზი წერდა მთავარს, რომ მისი დახმარებით ისე როგორც არაბეთში, ელადაში, უნგროვლახეთში და ა.შ. როგორც სამოთხიდან მომდინარეობს მდინარეები: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრატი, ასევე თქვენი დახმარებით ამ ოთხ ქვეყანაში აყვავდა სტამბური სიტყვა, რომელსაც მოჰქონდა სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის და ამიტომაც თქვენი სახელი იცოცხლებს საუკუნეებშიო. უაღრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ანთიმ მიტროპოლიტი უნგროვლახეთისა.

1709 წელს თბილისში დაიბეჭდა „სახარება“, „სამოციქულო“ და „დავითნი“; 1712 წელს კი — „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რედაქტორი იყო ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი.

შესაძლოა, სწორედ ეს მიქაელი უნდა იყოს იმ ქების ლექსის ავტორი, რომელიც რუმინეთში გაგზავნილ „სახარების“ ცალზე იყო დაბეჭდილი. თბილისში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს ბოლოს დართული აქვთ ანდერძები ვახტანგ მეექვსისა, მიხაი იშტვანოვიჩისა და რედაქტორის — ნიკოლოზ ორბელიანისა. თბილისში დაბეჭდილი წიგნების მიხედვით, მიქაელის გარდა სტამბის მომუშავედ მოჩანან ვინმე გიორგი მხატვარი, გარსევან — ყოფილი მღვდელი გაბრიელი, რომელიც რედაქტორადაც მუშაობდა, აბრამა სალუყაზანაშვილი (დიაკვანი, სტამბაში ვებარეო). ვახტანგის სტამბამ იარსება 1709-1712 წ.წ. და 1719-1722 წ.წ., 1712-დან 1719 წლამდე ვახტანგი სპარსეთში იყო გაწვეული. 1722 წელს კი სტამბა თურქებმა დაარბიეს. 1750 წელს ერეკლე მეფემ განაახლა სტამბა კონსტანტინეპოლიდან მოწვეული ოსტატის დახმარებით, რაზეც 20.000 მანეთი დახარჯა. ერეკლეს სტამბამ იარსება 1800 წლამდე და მასში 29 სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა. 1803 წელს წიგნების ბეჭდვა ქუთაისში დაიწყეს.

დიანა კახიძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში 26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა და „ანთიმოზობა“ იმართება.

„ანთიმოზობა“ პირველად 2005 წელს, რუმინეთის საელჩოს ინიციატივით, გაიმართა. სწორედ რუმინეთში, უკანასკნელ ხანს მოძიებული მასალებით დადგინდა, რომ ანთიმოზ ივერიელი მესხეთის, კერძოდ სოფელ უდეს, მკვიდრი იყო.

ვერსია, რომ ანთიმოზ ივერიელი წარმოშობით სოფელ უდედანაა, უდეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის წინამძღვარს დეკანოზ ტიმოთეს (ჩილაშვილი) ეკუთვნის. მისი თქმით, მის მრევლში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცნობა, რომ ანთიმოზ ივერიელი წარმოშობით სოფელ უდედან იყო. გვარად ხურციძე ყოფილა, ანუ მესხ თავადთა საგვარეულოს მიეკუთვნებოდა და, სავარაუდოდ, თურქთა ერთ-ერთი შემოსევის დროს გაუტაცნიათ.

საკუთარი თავის გაქურდვა

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი გაბრიელ ქიქოძე უაზრო, უშინაარსო დროის გატარების მოყვარულთ შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ეს რა საცოდავი, სასაცილო და უხამსი დროსტარებაა! როგორ? შენ დროის მოკვლა გინდა, სულელო? ნუთუ შენ არ გესმის, რომ დრო განძია, დრო სიცოცხლის საშუალებაა, მაგრამ რას ვამბობ, დრო თვით შენი სიცოცხლეა, ამიტომ დროის მოკვლით ხშირად შენ საკუთარ ყოფას კლავ, თითქმის თვითმკვლელობას სჩადიხარ“.

ანზორ თოთაძე

საუკუნის წინ ნათქვამი ეს სიტყვები შეიძლება უცვლელად გავიმეოროთ იმათ მიმართ, ვინც უამრავ დროს ხარჯავს ტელევიზორის ეკრანთან. ვისაც ტელევიზორი კერპად გაუხდია, ეკრანის მონა გამხდარა და საკუთარ თავს ქურდავს. ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მასობრივი კომუნიკაციებისა და, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიის მეშვეობით თანამედროვე ადამიანი ინფორმაციის უდიდეს რაოდენობას იღებს, რაც აქტიურობას უკარგავს და მოვლენების უაღრესად პასიურ აღმქმელად აქცევს მას. იგივე შეიძლება ითქვას კომპიუტერზეც. ადამიანის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება მხოლოდ თავისუფალ დროშია შესაძლებელი. ეს დრო კი თითქმის მთლიანად ტელევიზიას, უკანასკნელ ხანს კიდევ კომპიუტერს ეთმობა, რაც ეროვნული სიმდიდრის წყაროს გადაკეტვის ტოლფასია. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ახალგაზრდობა დიდ როლს უთმობს ტელეგადაცემების ყურებას. გამოჩენილი ქართველი მწერლის — ლევან გოთუას მოხდენილი თქმით, „ახალგაზრდობა, ბოლოს და ბოლოს, დროებითი უპირატესობაა და მისი არმად გაშვება ეროვნული ენერგიის საძაგელ გაფლანგვას უდრის“. ჩვენი ახალგაზრდები კი ამ უპირატესობას ნაკლებად იყენებენ. **სოციოლოგიურმა გამოკვლევამ სავალალო შედეგები მოგვცა. სტუდენტი ვაჟები დღეში საშუალოდ (შაბათ-კვირის ჩათვლით) ტელევიზორს 2 საათსა და 20 წუთს, ხოლო გოგონები 2 საათსა და 13 წუთს უყურებენ, ვიდეოფილმებს კი შესაბამისად 2 საათსა და 37 წუთსა და 2 საათსა და 30 წუთს. 2003 წელს სტუდენტები ტელეგადაცემათა ნახვას გაცილებით მეტ დროს უთმობდნენ. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მაშინ მობილური ტელეფონები და კომპიუტერები ნაკლებად იყო გავრცელებული.** უკანასკნელ ხანს ახალგაზრდობა უაზროდ კიდევ უფრო მეტ დროს ხარჯავს მობილურითა და კომპიუტერით ინტერნეტით თამაშებსა და მეგობრებთან ურთიერთობაზე. კერძოდ, ინტერნეტით თამაშებზე სტუდენტი ვაჟები საშუალოდ დღეში 2 საათსა და 48 წუთს ხარჯავენ, ხოლო გოგონები — 2 საათსა და 9 წუთს, მეგობრებთან ურთიერთობაზე კი შესაბამისად 2 საათსა და 43 წუთს და 3 საათსა და 3 წუთს. საბოლოო ჯამში უამრავი დრო უაზროდ იფლანგება. სულ საშუალოდ დღეში (შაბათ-კვირის ჩათვლით) ტელეგადაცემათა და ვიდეოფილმების ნახვაზე, მობილურითა და კომპიუტერებით ინტერნეტით თამაშებსა და მეგობრებთან ურთიერთობაზე კოლოსალურ დრო — ვაჟებს 10 საათი და 28 წუთი, ხოლო ქალებს 9 საათი და 45 წუთი ეხარჯებათ. რა თქმა უნდა, ეს ხდება იმის ხარჯზე, რომ სტუდენტები აცდენენ ლექცია-სემინარებს, ნაკლებ დროს უთმობენ სახლსა და ბიბლიოთეკაში სასწავლო საგნების მომზადებას, ნაკლები ძინავთ.საგანგაშოა ისეთი მდგომარეობა, როდესაც სტუდენტთა ნახევარზე ბევრად მეტი — 65,6 პროცენტი — ღამის 1 საათსა და შემდეგ (ვაჟები — 60,2 პროცენტი, ქალები — 68,0 პროცენტი), ხოლო ყოველი მეხუთე ვაჟი (22,4 პროცენტი) და მეათე ქალი (11,9 პროცენტი) კიდევ ღამის 3 საათის შემდეგ იძინებს. თუ ამ პროცესს დინამიკაში განვიხილავთ, ვითარება კიდევ უფრო დამამძიმებელი ხდება. მაგალითად, 2003 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, ღამის 3 საათზე ან უფრო გვიან იძინებდა რესპონდენტთა მხოლოდ 1,9 პროცენტი, ამჟამად ეს მაჩვენებელი 15,3 პროცენტს უდრის, ანუ 8-ჯერ მეტს. ახალგაზრდები ნაკლებად ნახულობენ თეატრალურ სპექტაკლებს (თეატრში საერთოდ არ დადის ყოველი მეოთხე — 24,2 პროცენტი — ახალგაზრდა რესპონდენტი, ეს მაჩვენებელი 2003 წლის 18,8 პროცენტს უდრიდა), ნაკლებად დადიან კინოთეატრებში (გამოკითხულ რესპონდენტთა (15,6 პროცენტი საერთოდ არ დადის კინოთეატრებში), „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად წაკითხული არა აქვს გამოკითხული ახალგაზრდების 16,9 პროცენტს, შექსპირის არც ერთი ნაწარმოები — 35,9 პროცენტს, ხოლო გოეთესი —

66,0 პროცენტს.

ტელეგადაცემებსა და კომპიუტერზე დროის დიდი დანახარჯები ძირითადად განაპირობებს იმ მეტად არასასურველ ვითარებას, რომ ახალგაზრდები არ ათვალიერებენ მუზეუმებს, ნაკლებად იცნობენ ქართულ კლასიკურ მუსიკას. ეს იმის შედეგიც არის, რომ **ტელევიზიაში იაფფასიანი და წამბაძველობითი საესტრადო მუსიკის საშინელმა მოძალებამ ეროვნული მუსიკალური კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვია, რაც ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას იწვევს.** საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ არ უნახავს გამოკითხული ახალგაზრდების 64,4 პროცენტს; ხოლო „დაისი“ გაცილებით მეტს — 77,3 პროცენტს.

ფაქტია, რომ ტელევიზია ჩვენი ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრი გახდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ, **როდესაც საოჯახო ეკრანს ეთმობა თითქმის მთელი თავისუფალი დრო, ეს არა მარტო პიროვნების განვითარებას ზღუდავს, დაბლა წევს მის კულტურას, არამედ ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზეც.** ტელევიზორის გამუდმებით ცქერა იწვევს მხედველობისა და საერთო დაღლილობას, ნერვულ დაძაბულობას, ადამიანი ცოტას მოძრაობს, ცოტა ხანს არის სუფთა ჰაერზე, ნაკლებ დროს უთმობს ფიზიკურ ვარჯიშს. ეს ფაქტორები კი ხელს უწყობს მრავალი დაავადების, განსაკუთრებით კი გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარებას. განა დასაფიქრებელი და გასაანალიზებელი არ არის ის ფაქტი, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 26,7 პროცენტი ღამის პირველ საათზე იძინებს, 24,0 პროცენტი — ღამის ორ საათზე, ხოლო 15,0 პროცენტი — ღამის სამ საათზე ან უფრო გვიან. საერთოდ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა (91,7 პროცენტი) ღამის 12 საათის შემდეგ იძინებს და მეორე დღეს უმაღლეს სასწავლებელში დაღლილი და გამოუძინებელი მიდის, რის გამოც სასწავლო საგნების შეთვისების უნარი მნიშვნელოვნად ქვეითდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში შობადობის უაღრესად შემცირებისა და მოსახლეობის რაოდენობის კლების პირობებში, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის, ჩვენი ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების უმთავრესი პირობა ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, ყოველმხრივ განათლებული ახალგაზრდების აღზრდაა. როგორც ჩანს, ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომ ისინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მოზარდ თაობას, მათ განათლებაში ხედავდნენ ქვეყნისა და ერის ძლიერებას.

ქართველი ახალგაზრდობა ყოველთვის იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, ავითარებდა „ქართველი ერის უდიდესი სიკეთით აღვსილი მონოლითურობის დიდებულ ტრადიციას“ და პატივს სცემდა მამების ნაამაგარსა და ნაღვაწს. აკი მეოცე საუკუნის დამდეგსაც აკაკი წერეთელი სამართლიანად შენიშნავდა: „იმდენი ჰაუ! ჰაუ! იძახეს ჩვენმა ყმაწვილებმა, რომ ხალხი გამოაღვიძესო“. ამჯერად, ქართველი ახალგაზრდობა ებრძვის ზნეობრივ დაქვეითებას, ყოველმხრივ ცდილობს გლობალიზაციის რთულ პირობებში ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებასა და განვითარებას.

დღეს, როდესაც „ნაციონალების“ შემდეგ, ბევრად მეტი საშუალებაა ეროვნული გრძნობის ამაღლების, ეროვნული სიამაყის დაბრუნებისათვის, ტელევიზია, იმის მაგივრად, რომ დაეხმაროს ახალგაზრდობას, ისევ განაგრძობს უშინაარსო, მხატვრული და შემეცნებითი ღირებულებამოკლებული ფილმების ჩვენებას და ამით ნებსით თუ უნებლიეთ, ქართული სულიერების, ტრადიციების, ეროვნული ნიშან-თვისებების წაშლას ემსახურება. ამ ფილმებში წინა პლანზეა წამოწეული აღვირახსნილი და გაუკუღმართებული სექსი, უაზრო მკვლელობები და სხვა საშინელება. თითქმის ყველა ფილმი გადაღებულია ტყუპისცალივით მსგავს სიუჟეტზე. ეს ფილმები საზოგადოებაში აგრესიისა და უზნეობის დამკვიდრებას ემსახურება.

სექსუალური სცენები მაღალი მხატვრული დონის ფილმებშიც გვხვდება. ალბათ, უმრავლესობას ახსოვს შესანიშნავი ფილმი „მამაკაცი და ქალი“, სადაც სექსუალური მომენტების შემოტანა ფილმში სიუჟეტის საჭიროებამ განაპირობა და მათ მხატვრულიმ დატვირთვაც აქვთ. ფილმში სექსუალური ურთიერთობები საოცრად ფაქიზად არის წარმოდგენილი და ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ ადამიანის გაკეთილშობილებას, სულიერ ამაღლებას ემსახურება. ჩვენი აღფრთოვანება ამერიკული ვიდეოფილმების გამო, თვით ამ ფილმების სამშობლოში პროვინციალ უკულტურობად აღიქმება. ცნობილი ამერიკელი სცენარისტი პითერ ქონი, რომელსაც ვიდეო-ფილმების სცენარები მაკულატურად მიაჩნია (თვითონ წერს, მაკულატურაში მიხდიან ფულსო), აღნიშნავს, რომ ამერიკული ფილმები საფრთხეს უქმნის მსოფლიოს. მისი აზრით, ჰოლივუდში მხოლოდ იმისათვის იღებენ ფილმს, რომ მსოფ-

ტელევიზიაში იაფფასიანი და წამბაძველობითი საესტრადო მუსიკის საშინელმა მოძალებამ ეროვნული მუსიკალური კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვია, რაც ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას იწვევს.

ლიოს მასობრივ მომხმარებელს მიჰყიდონ. ჰოლივუდურ სცენარს კი ნებისმიერი კაცი დაწერსო: საამისოდ ერთი დადებითი გმირია საჭირო, ერთი უარყოფითი და ერთიც ვნების აღმძვრელი ქალიო.

ვფიქრობთ, დროა (თუ უკვე დაგვიანებული არ არის) საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ტელევიზიის ეკრანიდან ასე მოძალებული სექსისა და დამახინჯებული სქესობრივი ურთიერთობის, გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტის ამსახველი ფილმების ჩვენების პრობლემას, რომელიც ანგრევს და ამახინჯებს ადამიანის და განსაკუთრებით ახალგაზრდის ფსიქიკას. ამან შეიძლება ახალგაზრდობა მიიყვანოს სიცარიელემდე, პრიმიტიულ აზროვნებამდე, იმ მდგომარეობამდე, როცა მას აღარ აინტერესებს ეროვნული ღირებულებები, ოჯახი და ხდება რაღაც ამღვრეული სულიერების მატარებელი, ზნეობრივად გაღარიბებულ სამყაროში მცხოვრები პიროვნება, ყოველგვარი ადამიანური ფასეულობებისაგან დაცლილი კოსმოპოლიტი. ეს მით უფრო საშიშია, რადგან ახალგაზრდებში დასრულდა მე-20 საუკუნის გამოცანა — „აქსელერაციის პროცესი“ და დაიწყო 21-ე საუკუნის ახალი გამოცანა — ინფანტილიზმი, რომელიც ყველაფრისადმი გულგრილ, უინტერესო დამოკიდებულებას გულისხმობს.

ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, შეიძლება „მთა მთას შეხვდეს და მზეც მთის იქით მოხვდეს“, მაგრამ ყველაფერზე ყურადღების გამახვილება, მით უმეტეს ერის სულიერების საზიანოდ, ნამდვილად არ შეიძლება. ერთხელ, ცნობილი რუსი ადვოკატი პლევაკო იცავდა კაცს, რომელმაც დედა გააუპატიურა. სასამართლო სხდომაზე მან მიმართა მოსამართლეს: ხომ შეიძლებოდა ბრალდებულს უარესიც გაეკეთებინაო. კითხვაზე, რა შეიძლებოდა ბრალდებულს ამაზე უარესი საქმე ჩაედინა, პლევაკომ უპასუხა: მამა გაეუპატიურებინაო. რა ვქნათ ახლა ბატონებო, ვიღოთ ფილმები ასეთ სიუჟეტებზე თუ უმჯობესია ავადმყოფს ვუმკურნალოთ, ან რატომ ჰგონიათ, რომ „ახლა უფრო ფატმანების დროა?“

ასეთი ფილმების შექმნის ეთიკური მხარე ამით როდი ამოიწურება. ამ ფილმებში მსახიობები ათასგვარ სექსუალურ უზნეობას სჩადიან, მათ უხდებათ ცხოველურ ინსტინქტამდე დასული ცხოვრება, პარტნიორების წამდაუწუმ გამოცვლა, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი და მანიაკი რეჟისორების ვინ მოთვლის კიდევ რა სექსუალური ფანტაზიისა თუ ჩანაფიქრის შესრულება. ბუნებრივია, ამ ათასობით მსახიობს ჰყავს მშობლები, შვილები, მეუღლეები, ნათესავები, მეგობრები, ან უბრალოდ ნაცნობები, მაგრამ მათ ოდნავადაც არ აწუხებთ სირცხვილის გრძნობა თავიანთი ახლობლების წინაშე. უფრო მეტიც, ყვითელი პრესა მათ წარმოაჩენს უნიჭიერეს მსახიობებად. ამ დროს, მართლაც ნიჭიერი მსახიობი, რომელიც თავისი თავის მაყურებელიც არის, ასეთ ფილმებში გადაღებაზე არასოდეს დათანხმდება. დიდი ფრანგი მსახიობი ლინო ვენტურა ფილმებში კოცნასაც კი ერიდებოდა, რადგან, თვითონაც აცხადებდა, მას ოჯახი — ცოლი და შვილები ჰყავდა. ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟან გაბენმა კი უარი განაცხადა საყვარლის როლის თამაშზე და ჩაშალა ფილმი, რადგან იგი არ პასუხობდა მსახიობის მორალურ პრინციპებს. ჟან გაბენმა, აგრეთვე, უარი განაცხადა ეთამაშა იმ მამაკაცის როლი, რომელმაც ამოხოცა მთელი თავისი ოჯახი. გადაწყვეტილება მან მხოლოდ მას შემდეგ შეცვალა, როცა შეიტყო ის მიზეზები, რამაც ეს ადამიანი ასეთ სისასტიკემდე მიიყვანა.

უცხოურ ფილმებში სიყვარულის ამაღლებული გრძნობა, ბუნებით ნაბოძები ეს უდიდესი ნიჭი, გასრესილი და მიწასთან გასწორებულია. ამ ფილმების მიხედვით სიყვარული კი არ ამაღლებს, არამედ ამდაბლებს ადამიანს. წუთიერი სიამოვნება ფარავს ყველას და ყველაფერს. ზუსტად ისეა, როგორც აკაკი წერეთელმა ერთ გადარჯულებულ ქართველ ქალბატონს, რომელსაც ქართულად ლაპარაკი ეთაკილებოდა და სიტყვა „ლიუბლიუ“ ქართულ „მიყვარხარზე“ მეტად მოსწონდა, უთხრა: ეგ სიტყვა „ლიუბლიუ“ ხომ „მარტო ტუჩების ცმაცუნით გამოითქმის და მიტომაც ტუჩებს იქით ვეღარ მიდის თქვენი გრძნობაო“.

მაშ, რატომ ეტანება ჩვენი მაყურებელი ასეთ ფილმებს? საქმე ის გახლავთ, რომ ტელევიზიამ საკმაოდ მოხერხებული და ნაცადი გზა აირჩია — ნელ-ნელა გაუხედნა მაყურებელს გონება და სმენა აკრძალული ხილით, ისინი შესანიშნავად უწევენ თავს რეკლამას. ამასთან, მძაფრმა, მაგრამ არაფრისმთქმელმა სიუჟეტებმა, მდიდრულმა აქსესუარებმა, გადაღების მაღალმა ტექნიკამ, ჩვენმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ თავისი გაიტანა და ჩვენი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ტელევიზიას მიაჯაჭვა.

ამერიკული ფილმები, რომლებსაც მხოლოდ კომერციული მიზნით კონვეირული წესით აცხობენ, სულიერ და ზნეობრივ გაღარიბებას იწვევს, საზოგადოებაში ძალადობასა და აგრესიას ამკვიდრებს. ასეთ შეფასებას თვით ამერიკელი მეცნიერები იძლევიან. ამიტომ, მიკერძოებაში რომ არ ჩაგვითვალონ, ჩვენც მათ შეფასებას დავეყრდნობით, უპირველეს ყოვლისა კი, ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის დ. მაიერსის ნაშრომს „სოციალური ფსიქოლოგია“.

1994 წლიდან ტელეგადაცემებში ძალადობის სცენების შემსწავლელი სახელმწიფო პროგრამის მიხედვით გაანალიზდა ძირითადი არხებისა და საკაბელო ტელევიზიის, დაახლოებით, 10000 გადაცემა. აღმოჩნდა, რომ სამი პროგრამიდან ორი შეიცავდა ძალადობის სიუჟეტებს. მოზარდს უკვე ტელევიზიით ნანახი აქვს ძალადობის 100000 და მკვლელობის, დაახლოებით, 20000 სცენა. სხვადასხვა გამოკვლევით დადგენილია, რომ რაც უფრო მეტია ძალადობა ტელეგადაცემებში, მით უფრო აგრესიულია ბავშვი.

ყველგან და ყოველთვის ტელევიზიის გამოჩენასთან ერთად იზრდება მკვლელობათა რაოდენობა. კანადასა და შეერთებულ შტატებში 1957-1974 წლებში, ტელევიზიის გავრცელებასთან ერთად, ორჯერ მეტი მკვლელობა მოხდა. სამხრეთ აფრიკაში, სადაც ტელევიზია 1975 წლამდე არ იყო, მკვლელობათა რაოდენობა გაორმაგზა სწორედ ამ წლიდან. შორს არ წავიდეთ, საქართველოში უცნაური სახელი ტარზანი 94 ადამიანს ჰქვია და იგი ჩვენში გავრცელდა ცნობილი კინოფილმის „ტარზანის" გავლენით. მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ 8 წლის ასაკში ყმაწვილების მიერ ტელეგადაცემებში დაძალობის სცენების რეგულარულად ყურების ფაქტი გახდა სერიოგზული სისხლის სამართლის დანაშაულის წინაპირობა, რომელიც მათ 30 წლის ასაკში ჩაიდინეს.

ხშირად მოზარდები ახდენენ ტელეგადაცემებში ნანახი სცენების იმიტაციას. ლიტერატურაში ამის მრავალი ფაქტია ცნობილი. მაგალითად, 1994 წელს ნორვეგიაში 5 წლის გოგონა ცემეს ფეხებით, დაყარეს ქვები და მიატოვეს თოვლში გასაყინად მასთან ერთად მოთამაშე მეგობრებმა, რომლებმაც სატელევიზიო შოუში ნანახის მსგავსი მოქმედების იმიტაცია მოახდინეს, რაც ამ შოუს აკრძალვის საფუძველი გახდა სკანდინავიის სამ ქვეყანაში. „ჩვენ არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, — აღნიშნა 1993 წელს ახალგაზრდებს შორის ძალადობის ამერიკის ფსიქოლოგიურმა კომისიამ, — რომ ძალადობის სცენების ყურება ზრდის ძალადობის საერთო დონეს". უმრავლეს შემთხვევაში ტელევიზია არარეალური სამყაროს მოდელირებას ახდენს. ტელეგადაცემებში პოლიციელები იარაღიდან ისვრიან თითქმის ყველა ეპიზოდში, ნამდვილი პოლიციელი კი ჩიკაგოში თავისი იარაღიდან საშუალოდ 27 წელიწადში ერთხელ ისვრის. საინტერესოა იმის აღნიშვნაც რომ 1974 წელს იამაიკაზე განხორციელდა დანაშაულებასთან ბრძოლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ცენზურის დაწესებას — აიკრძალა იარაღის გამოყენების სცენების ჩვენება სატელევიზიო გადაცემებში. მომდევნო წელს ქურდობათა რაოდენობა 25 პროცენტით შემცირდა, ხოლო იარაღიდან გასროლათა რაოდენობა, რომელსაც არ მოჰყოლია სიკვდილი — 37 პროცენტით.

ეროტიკული და აგრესიულ-ეროტიკული ფილმები იწვევს ქალების მიმართ მამაკაცების აგრესიულ ქცევას. მთელ მსოფლიოში პორნოგრაფიის ფართოდ გავრცელების შედეგად, 1960-1970 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა გაუპატიურებათა რაოდენობა, იმ ქვეყნებისა და რეგიონების გარდა, სადაც პორნოგრაფიაზე კონტროლი იყო დაწესებული. ალიასკამ დაიკავა პირველი ადგილი როგორც სექსუალური ჟურნალების გაყიდვის, ისე გაუპატიურების მიხედვითაც. ამერიკის ფედერალური საგამომძიებლო ბიუროს მონაცემებით, სერიული მკვლელობები ხდება პორნოგრაფიის აქტიური მომხმარებლების მიერ.

როგორც დემოგრაფმა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ტელევიზიით ნაჩვენები ფილმების უმრავლესობა აუარესებს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქვეყანაში ისედაც რთულ დემოგრაფიულ ვითარებას, ნერგავს არაჯანსაღი ცხოვრების წესს, იწვევს ახალგაზრდობის სექსუალურ გაღიზიანებას, რამაც ადეკვატური დაუკმაყოფილებლობის გამო, შეიძლება გამოიწვიოს გაუკუღმართებული სექსუალური მოთხოვნილებების განვითარება — ონანიზმი, ჰომოსექსუალიზმი. ამასთან, საქსუალური გაღიზიანებაც ისპობა და შეიძლება პიროვნება იმპოტენტი გახდეს. ამ ფილმებში მხოლოდ ლამაზი შესახედაობის, გარეგნულად მომხიბვლელი მსახიობები თამაშობენ და უაღრესად გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან. ასეთ შემთხვევაში ადამიანებმა შეიძლება დაკარგონ სექსუალური ინტერესი ერთმანეთის მიმართ. ამის შესახებ ამერიკელ ფსიქოლოგს დ. მაიერსს მოჰყავს სხვადასხვა გამოკვლევის შედეგები და აღნიშნავს, რომ ტელევიზიით სექსუალურად მიმზიდველი ქალების ხშირი ჩვენებით ახალგაზრდები მეგობარ ქალებს ან მეუღლეებს ნაკლებ მიმზიდველად მიიჩნევენ. სექსუალური ფილმების გამუდმებული ჩვენების გამო ადამიანებს აღარ აკმაყოფილებთ, აღარ იზიდავთ საკუთარი სქესობრივი პარტნიორები.

ასე, რომ ტელევიზიას საკმაოდ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა დაუგროვდა. საზოგადოებამაც უნდა იცოდეს პროგრამის შერჩევა და ტელევიზორის არა მარტო ჩართვა, არამედ მისი გამორთვაც. იგივე შეიძლება ითქვას უკვე კომპიუტერზეც.

ანზორ თოთაძე

ვფიქრობთ, დრო (თუ უკვე დაგვიანებული არ არის) საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ტელევიზიის ეკრანიდან ასე მოძალებული სექსისა და დამახინჯებული სქესობრივი ურთიერთობის, გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტის ამსახველი ფილმების ჩვენების პრობლემას, რომელიც ანგრევს და ამახინჯებს ადამიანის და განსაკუთრებით ახალგაზრდის ფსიქიკას.

იოსებ გრიშაშვილი

ძველი თბილისის ბიბლიოთეკა

მარტო ყარაგიოზას თეატრი, ნაღლი, ყავახანები და სხვ., აშკარაა, სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა ხალხის გონებრივ მოთხოვნილებას. ხალხში გაიღვიძა „წიგნის ცოდნის“ სურვილმა. თფილისის ძველი თაობა მხოლოდ ხელთნაწერებს კითხულობდა და ხელთნაწერებს უსმენდა. „მნათობი“ სწერდა: „თქვენ შეხვდებით მედუქნეებს, რომელნიც გულ-მოდგინეთ კითხულობენ ბეჟანიანს, ქალვაჟიანს, ბარამიანს და გადაწერაში ერთი ორად ფასს აძლევენ.

იოსებ გრიშაშვილი

ეხლა კი მათი მომდევნო თაობა გადაწერაზე „ფულს აღარ ჰხარჯავდა“ და ბეჭვდითი სიტყვით სარგებლობდა. გაჩნდნენ იაფფასიანი წიგნების გამომცემელნი: წოვინარაშვილი, ახპატელოვი, მდივანოვი, ჭიჭინაძე, ჩარექოვი, ედიგაროვი, კობალაძე, ლაზარევი (ყაზაროვი), ფამბაკელოვი, ზარგაროვი, ლიზა მარჯანოვი, შემდეგ — იოსებ და ბაგრატ არნაუტოვები, ვანო ესაღოვი, ალ. შახბარათოვი (შიბრია), მიხ. ზარიძე და სხვ., ესენი ბეჭდავდნენ, როგორც აღმოსავლეთის ფანტასტიურ ზღაპრულ მოთხრობებს, ისე იმდროინდელი პოეტების სახალხო ლექსებს.

ამ ხალხურ სიტყვიერებას ჩვეულებრივად მფარველობდა და რედაქტორობდა ჩუმი და დაუვიწყარი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი. აი, რასა სწერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში: „1875-1877 წლებში სხვათა სხვათაგან გამოცემით და ძველი ხელთნაწერების ტექსტით ჩემი რედაქტორობით დაიბეჭდა: ბეჟანიანი, ალექსიანი, ქალვაჟიანი და თეიმურაზ-მეფის ვარდ-ბულბულიანი, ამ წვრილ მოთხრობათა და ლექსთა ბეჭდვა მრავალი იყო და არც კი ვიცი, რამდენს ბეჭდავენ და ვინ ბეჭდავს“.

პეტრე უმიკაშვილი მართალია. თბილისის დაბალი მოსახლეობა ხარბად ეტანებოდა ამგვარ გამოცემებს. ზოგი წიგნი მეოცე და მეორმოცე გამოცემადაც გამოდიოდა და ათი-ათასობით ვრცელდებოდა მდაბიო ხალხში. „მართალია, ამ წიგნაკების უმრავლესობას შინაარსის მხრით დიდი ნაკლულევანება ახლავს, მაგრამ მათი ხალხში გავრცელება მაინც არ იყო უსარგებლო და უმნიშვნელო... ვინ იცის არსენას ლექსმა, მაგალითად, ან ქალვაჟიანმა რამდენი წერაკითხვის არ მცოდნე დააინტერესა და ქართული წიგნის სწავლის წყურვილი აღუძრა!“ ნაკლულევანება ამ წიგნებისა კარგად ვიცოდიო, — წერს იგივე პ. უმიკაშვილი, — მაგრამ ჩემი საკუთარი საყვედური და სხვების საყვედური იმით გამიქარვებია, რომ ეს პირველი ნაკადული იყო, რომელიც დაიძრა და, თუ ამ ნაკადულს ჭუჭყი მოჰყვა, ამას დრო წაჰრეცხს და წაიღებსო“.

ასეთ წიგნებს ერთ დროს ზ. ჭიჭინაძეც ბეჭდავდა, თუმცა წიგნის წინასიტყვაობაში ხშირად თავს ასე იმართლებდა: „ჩემთვის დიდათ სამწუხაროა, რომ ამ წიგნსა ვბეჭდავ, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა ეს წიგნი ხალხში ძლიერ არის გავრცელებულიო“.

სურვილგაღვიძებული ხალხი ეტანებოდა იმ წიგნებს, რომლებიც მისთვის მისაწვდომი იყო და რომლებსაც მას აწვდიდნენ.

ძველი მკითხველის გონება ამ ზღაპრული წიგნებით საზრდოობდა და ისიც დიდის ხალისით ელოდა რომელიმე ახალი, გამომცემლების მიერ დაპირებული, ზღაპრის დაბეჭდვას.

მაგრამ არ იქნება მართალი, თუ ამ „ძველი მწერლობისადმი“ სიყვარულს მხოლოდ თბილისის მოქალაქეებს მივაკუთვნებთ. ალექსანდრე ორბელიანი თავის ერთ წერილში სხვა მაღალ თხზულებათა შორის, ამ „შაურიან წიგნაკებსაც“‘ეხება: „ჩვენი წინაპრები, — სწერს ორბელიანი, — თუ ერთი ხელით იბრძოდნენ, მეორეთი სწერდნენ ისეთი სიტყვიერების წერილებს, როგორებიც არიან: არჩილიანი, ვარდბულბულიანი, ქაცვია-მწყემსი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი, ბარამიანი, მირიანიანი, გულიჯანიანი“‘და სხვ.

ჩვენ მიერ მოხსენებულ გამომცემლებს, რომელნიც მდაბიო ხალხს აწვდიდნენ ამ ზღაპრული პოემების პროზაულ ვერსიებს, ჰქონდათ ერუდიცია? გემოვნება? თუ მხოლოდ მოგების მიზნით ხელმძღვანელობდნენ?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ, ორიოდე წიგნაკის გარდა, („ბარამიანი“ და ნაწილობრივად „ყარამანიანი“) მათი გამოცემანი კრიტიკის გარეშე იდგა. ტექსტი — შეუსწავლელი, გამოცემა — ღატაკი, კორექტურა — ბარბაროსული, ილუსტრაციები — პრიმიტიული. ზოგმა გამომცემელმა არამც თუ წიგნის წაკითხვა, თავისი სახელის და გვარის მოწერაც

არ იცოდა (მაგ. ალ. შახბარათოვმა), ზოგ გამომცემელს თვითონ შეჰქონდა ტექსტში შესწორებანი. იყო შემთხვევები, როცა გამომცემელნი ავტორებს ერთმანეთში რევდნენ. მაგ., გამომცემელმა მ. ზარიძემ 1908 წ. გადაბეჭდა პოემა „სარიდონიანი“‘(პირველი გამოცემა ეკუთვნის ქაიხოსრო ჩარექოვს 1879 წ.) და ავტორად სულ ახალგაზრდა გლეხი მიხ. ჯაჭვაძე გამოაცხადა. ამაზე დ. გივიშვილმაც შენიშნა:

„ერთ წიგნს იღებ და არქმევ
შენ მეორის სახელსა
და ხალხს მაგით ატყუებ,
თვალებს უბამ მნახველსა“.

ცნობილია, რომ სასიმღერო ლექსების ავტორები თავიანთ გვარს თუ ფსევდონიმს შიგ ტექსტშივე რითმავდნენ. მაგ.,

„მესამე ვსვათ, ღირს-ვარგა,
ყური დამიგდეთ კარგი —
ღმერთმა, დიდხანს
გვიცოცხლოს
სკანდარნოვა გიორგა“.

ამ ლექსს ალ. შახბარათოვის მიერ გამოცემულ წიგნში ასეთი დაბოლოვებით ვკითხულობთ:

„მესამე ვსვათ, ღირს-ვარგა,
ყური დამიგდეთ კარგი —
ღმერთმა, დიდხანს
გვიცოცხლოს
შიბრია შახბარათოვი“.

განმარტება ზედმეტია! გარდა იმისა, რომ გამომცემელმა ლექსის რითმა დაარღვია, სხვისი შრომა თავისად გამოაცხადა და ამით მკითხველი შეცდომაში შეიყვანა.

ამგვარი კურიოზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს ორი ბეჭდური ნიმუშიც მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ წარმოვიდგინოთ, თუ მკითხველი აუდიტორია რამდენად არ იყო გათვითცნობიერებული, როგორ ენდობოდა გამომცემლებს და ერთ ავტორს მეორისგან ვერ არჩევდა.

რა იყო სულიერი საზრდო მაშინდელი აუდიტორიისა? რას წარმოადგენდა ეს ლიტერატურა? რითი იკვებებოდნენ ის სახალხო პოეტები, რომელთა შესახებაც ქვემოდ უნდა გვქონდეს ლაპარაკი?

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეს იყო ერთის მხრით, აშუღების ზეპირი სიტყვები და მეორეს მხრით, ის უთვალავი ზღაპრები, რომლებიც იაფ-ფასიან წიგნაკებად იბეჭდებოდა: „ყარამანიანი“, „ბარამიანი“, „ახრასიანი“, „ეთერიანი“, „ქოროღლიანი“, „ვარშაყიანი“, „ალექსანდრ-ლუდვიკიანი“, „კარხმალაჯიანი“, „როსტომ-ზურაბიანი“, „ბეჟანიანი“, „დავრიშიანი“, „მარიანიანი“, „შუშანიკიანი“, „ალდუზიანი“, „სარიდონიანი“, „ალექსიანი“, „ქალვაჟიანი“, „შვიდ-ვეზირიანი“ („თიმსარიანი“) და სხვ. ამ ზღაპრულ მოთხრობათა შორის ყველაზე პოპულიარული იყო „ქალვაჟიანი“, „ყარამნიანი“, და „შვიდვეზირიანი“. თუ „შვიდვეზირიანი“. ეს შესანიშნავი კონსტრუქციით დაწერილი რომანი, ნაღეჭი ენით იყო ნათარგმნი, სამაგიეროდ „ყარამნიანის ენა თუმცა შეიძლება გრამატიკულის მხრით გვეჩვენოს უსწორმასწოროდ, მაგრამ მდიდარია თავისი ფორმებით, სხვა-დასხვა ტექნიკურ სიტყვებით და პლასტიკითაც“.

ერთის მხრით, მშვენიერი ქართული „ყარამნიანისა“‘და, მეორეს მხრით, მისი ფანტასტიკური შინაარსი, ბევრს მკითხველს თუ მსმენელს იზიდავდა, „მსმენელსაც“‘იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად „ყარამნიანი“ ხმამაღლა იკითხებოდა და ოჯახის დანარჩენი წევრები კი ირგვლივ უსხდნენ და სულგანაბული უსმენდნენ, ფერიებმა პაპის საძიებლად როგორ წაიყვანეს „ჰაიართ-უხუცესი“, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ჰაერში ფრენის დროს ბალთასა და ისე იკვებებოდა.

ხალხი დიდის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ წიგნის გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს, ხარობდა მათი სიხარულით, იტანჯებოდა მათი ტანჯვით და ყოველივე წვრილმანს ისე განიცდიდა, თითქოს მომსწრე ან დამსწრე ყოფილიყოს ამ ზღაპრული ეპოპეისა: „მაშინ გარდანქეშანმა ზორაბ-შაჰს უბრძანა: ეს წყეულნი როგორც მიკრულნი არიან, ისრევე გუდებათ დახადეთ, რადგანაც ამათ ჩემ დატყვევებას ანბირ და ზანგ დევებს უთვლიდნენ, მაგრამ მე ჩემმა ღმერთმა მიხსნა მაგათის ხელიდან; ეხლა მყრალმა რაჯიბმა ეგენი დაიხსნას... თითონ ხელმწიფები და ბანოვანნი ადგნენ და სასახლეში წამოვიდნენ. მაშინ საჰმანმა, გარდანქეშანმა და ზორაბ დევმა საჩქაროდ დევები მოიშველიეს და სამნივენი დაატყვევეს, შემდეგ გუდით ამოიღეს და ბზით გატენეს, მერე ქუჩუკის ბრძანებით ერთ ალაგას დაჰკიდეს“... ან კიდევ: „ჰეი ყარამან, — შესძახა მდევმა, — სიკვდილისთვის რომ აქ არ მოსულიყავი, ნუთუ შენს ქვეყანაში სიკვდილი აღარ იყო?.. ყარამანმა მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდს შემოივლო, მარცხენა — მარჯვენას და ისეთი საზარელი ხმით შესძახა, რომ მსმენელნი უსულოდ იქმნენ, ცხენნი, მარტოქანი და სპილონი დაფრთხნენ. დაწყვიტეს საბამნი და მინდორს გარბოდნენ, ლაშქარნი ისე შეშინდნენ და შეიშალნენ, რომ მეორედ მოსვლა ეგონათ“...

საკმარისი იყო, სულგანაბულ მსმენელებს გაეგონათ „ყარამნიანის“ მეტაფორა: „სეილან-ჯადო და ქალან-ჯადო ვეშაპებზე შესხდნენ და გველები მათრახებად დაიჭირეს“, ანდა მოესმინათ: ყარამანმა, ამ ას ოთხმოცდა ცხრა-

მეტი წყრთის სიმაღლის კაცმა, როგორ დაიკივლა, როგორ ასწია „ყაფის მთა“‘და სამი დღის განმავლობაში როგორ ეჭირა ხელში ასე აწეული, რათა თავისი ლაშქარი ქვეშ გაეტარებინა, რომ მსმენელები ბავშვურ აღტაცებაში მოსულიყვნენ და საერთი ყიჟინა აეტეხათ.

ანტონ ფურცელაძე, ულოღიკოს ფსევდონიმით, „ყარამანიანის“‘შინაარსს „დანჯღრეულ და გალაღებულ ოცნების სიზმარს ადარებს“.

მაგრამ, ჩემის აზრით, ეს სასტიკი განაჩენი შეუფერებელი უნდა იყოს ისეთი ნაწარმოებისთვის, რომელიც თავისი შესანიშნავი მეტაფორებით და რაინდული შინაარსით, ერთის მხრით ესთეტიკურ გემოვნებას ულვიძებდა და მეორე მხრით, ადამიანური გრძნობებს უსათუთებდა იმ დროინდელ დაწვრილმანებულ ცხოვრების წუმპეში ჩაფლულ მოსახლეობას.

სამართლიანად აღნიშნავს ე. თაყაიშვილი, რომ ქართულ ენაზე არ არი არც ერთი წიგნი, რომელიც მდაბიო ხალხში ისე იყოს გავრცელებული, როგორც „ყარამნიანი“.

„ყარამნიანი“ ნათარგმნია ირაკლი მეორის დროს, სახლთუხუცესის და სარდლის დავით ორბელიანის მიერ.

ცალკე წიგნებად გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის სახალხო პოეტს — დავით ლაზარევს.

ხოლო **ლადო აღნიაშვილმა „ყარამნიანი“ პიესად გადააკეთა (3 მოქ. და 11 სურათად), რომელიც ჩვენს სცენაზე რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი.**

ძველად ყველა ქართულ ოჯახში „ვეფხვისტყაოსანთან“‘ერთად „ყარამნიანის“‘უზარმაზარი ხელთნაწერიც ინახებოდა (2500 გვერდიანი!). „მზითვის სიები“ ხომ უყარამნიანოდ იშვიათი მოვლენა იყო! ამ წიგნს ერთნაირის ხალისით ეტანებოდა, როგორც დაბალი ხალხი ისე მაღალი საზოგადოება.

ნ. ბერძნიშვილი ურჩევდა „ცისკრის“ რედაქტორს, ივ. კერესელიძეს, თარგმნების ნაცვლად, „ყარამნიანი“ და სხვა ჩვენი ძველი მწერლობის ნიმუშები რომ დაბეჭდო, ჟურნალი უფრო მოგებული იქნებაო. 1857 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა ლუდოვიკო XV-ის დროის ფრანგი მწერლის მარმონტელის „მეუდაბნოენი“, რომლის თარგმანიც ეკუთვნოდა იმდროინდელ თვალსაჩინო მოღვაწეს სარდიონ ალექსი-მესხიშვილს. ნ. ბერძნიშვილმა „ცისკრის“ კრიტიკულად განხილვის დროს დაიწუნა ეს მოთხრობა და, სხვათა შორის, დასწერა: „ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი ავლადიდება, რომელიც მოითხოვს ფაქიზ განვითარებას და ღრმა შესწავლას, გვყავს პოეტები, პროზაიკოსები და რომანტიკოსებიც და მე ვამბობ, რომ ჩვენი ხალხი ნაწყვეტებს: ვისრამიანიდან, ყარამნიანიდან და ბეჟანიანიდან უფრო სიამოვნებით წაიკითხავს, ვიდრე რომელიმე დრომოჭმული ფრანგულ მოთხრობას“.

ლადო აღნიაშვილმა „ყარამნიანი“ პიესად გადააკეთა (3 მოქ. და 11 სურათად), რომელიც ჩვენს სცენაზე რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი

ამ მოთხრობებს თავისი აღწერილობის სიმძაფრით, სიუჟეტის მთლიანობით, შედარებათა ნაირფერობით და სიტყვის პლასტიური დაწყობით კარგახანს ჰყავდა დატყვევებული ქართველი ხალხის ლიტერატურული გემოვნება.

ხალხი ინსტიქტით გრძნობდა კარგად დაწერილ წიგნს და ნიჭიერ ავტორს.

მართლაც ნ. ბერძნიშვილისა არ იყოს, რატომ არ უნდა „წაეკითხათ სიამოვნებით“ „ვისრამიანი“?

მაგრამ დაუბრუნდეთ „ყარამნიანს“. „ყარამნიანის“ ომის აღწერილობა სულ სხვა ხასიათისაა და სრულებით განსხვავდება სხვა აღმოსავლურ ზღაპრებისგან. საინტერესოა ამ საგმირო ეპოპეიდან ერთი ბძოლის სურათის გახსენება:

სპარსეთის მბრძანებელი წავიდა ინდოეთის დასაპყრობად. ინდოეთის მეფემ გაიგო იმის წინააღმდეგ ამხედრება და თვითონაც, საბრძოლველად გამზადებული, მტერს წინ შეეგება. ძველად, როგორც მიღებული იყო, მთელი ჯარი კი არ იბრძოდა, არამედ რჩეული ფალავნები. ამ შეკვეთებაში ორივე მხრიდან ბევრი თვალსაჩინო ალავანი დაიხოცა, „მოლაშქრეთა თავები მიწაზე ხეთა ფურცელივით სცვიოდნენ“. ბოლოს სპარსეთის ლაშქრიდან გამოვიდა „თორმეტი სახელოვანი ფალავანი“, რომელთა შორის იყვნენ, ბარამჯიბილი, გარდანქეშანი და ყათრანი (ყარამანის ბიძაშვილი). ამათ ინდოეთის ლაშქრიდან გამოსული ფალავნები დაამარცხეს. სპარშეთის ლაშქრის წინააღმდეგ გამოვიდა ინდოეთის მეფის ასული „კეკლუცთა დედოფალი“ — სარვი-ხურამან. სარვი-ხურმანი კაცურად იყო ჩაჩქანგადაცმული. იმის ვაჟობაში არავის არ შესდიოდა ეჭვი, გუმანი ვერავინ აიღო. სარვი-ხურმანმა სპარსეთის რამდენიმე გულადი ფალავანი ერთი ლახტის მოქნევით დასჯაბნა, სპარსეთის ლაშქრის სახელის აღსადგენად სარვი-

ხურმანთან შესაბრძოლებლად თვით ყარამანი თავის ექვსფეხა რაშით. ორივე ლაშქარში ატყდა ხმიანობა: „ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ“. მთელი დღე გაგრძელდა „ომი ფიცხელი“, ომი სასტიკი და უმაგალითო; ვერცერთი მებრძოლი ვერა სჯობნიდა და ორივენი „ირკინებოდნენ“. როცა მებრძოლთა გასაშველებლად „მწუხრის ჟამს გასაყარს ნაღარს შეჰბერეს“, მოწინააღმდეგენი გაშველდნენ. ორ ლაშქართ შორის თითქმის დამყარდა მშვიდობა. მაგრამ ყარამანი და სარვი-ხურმანი ისე იყვნენ ბრძოლის ჟინით ატეხილნი და ერთმანეთის წინაღმდეგობით გაღიზიანებულნი, რომ ღამით, ჩუმად გაიპარნენ ლაშქრიდან და „შორეულ ადგილას, მთის ძირში“ განაგრძეს დაუზოგავი ბრძოლა. აქ ერთმანეთა შეამტვრიეს და შეალეწეს ლახტი და აბჯარი, შუბი და ხმალი, გურზი და ბეგთარი, ერთი სიტყვით, „ჯაჭვსა და ჯავშანსა ერთმანეთა ზეწარსავით ახევდნენ“. საბრძოლველად რომ იარაღი აღარ დარჩათ, მაშინ ეს ორი რაინდი — ყარმანი და სარვინ-ხურმანი — ძალდაძალ ეტაკნენ ერთმანეთს და გაიმართა ხელჩართული ჭიდაობა... ბოლოს, როგორც იყო, ყარამანმა მოიკრიფა თავისი უკანასკნელი ძალ-ღონე, სარვი-ხურმანი დაბოჭა წელში, ასწია მაღლა და გამეტებით დაანარცხა მიწაზე. სარვი-ხურმანს გული წაუვიდა, აქ მას თავისთა უნებურად მოსძვრა მუზარადი და ძირს გადმოეყარა „სუმბულის მზგავსი კავზილფნი“. ყარმანმა დაინახა რომ მისი იშვიათი მეტოქე ქალი იყო, ინდოეთის მეფის ასული; მოასულიერა და ისევ თავის ლაშქარში გაუშვა.

აი, აქ ინასკვება მათი სასიყვარულო რომანის გორგალი, რომელიც მოთხრობის რამდენიმე კარში იშლება. ამათი დახმარებით შერიგდება ის ორი უდიდესი სახელმწიფო, რომელიც ერთდროს სამტროდ იყვნენ ატეხილნი.

„ყარმანიანი“ იყო განცვიფრების და მოულოდნელობის წიგნი.

ამით აიხსნება მისი პოპულიარობა და ის დაუბერებელი სილაზათე, რომელიც ხშირად თანამედროვე მკითხველსაც იზიდავს.

* * *

არა ნაკლებ უყვარდა ხალხს „რუსუდანიანი“, რომელიც ხელთნაწერად ვრცელდებოდა დაბალ ხალხში; ასლის და ქიარიმას თავგადასავალი; ყარაბოღლის ამბავი; „შვიდვეზირიანი“ და სხვ. ყველა ეს თხზულებანი მხატვრული ენით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და გონება-მახვილობის ნიმუშებით არის აფერადებული.

მაგალითად:

„რუსუდანიანი“. მეფის ძე ნადირობის დროს ირემს მოჰკლავს, დაჭრილი ირემი, რომელსაც აღმოაჩნდება: „რქა — ოქროსი, ჩლიქები — შავი, მკერდი — თეთრი და წითელი ზურგი“, მეფის ძეს ეუბნება: „მე ამად მოვალ, რომ მსურდა იაგუნდის ქალაქში წამეყვანე, იქაური ხელმწიფის ობოლ-ქალზე საქორწილოდ. მე ვკვდები... ჩემი მარჯვენა კოჭი ამოიღე, — ჯარი ნუ გინდა, თორემ ვერ მიხვალ გამოქვაბულში, — ეს ჩემი კოჭი ააგდე და სითაც შაქს დაჯდეს, იქით იარე და სადაც ის ქალია, იქ მიხვალო“.

ასლი და ქიარიმას ლირიულ სცენებში ერთი მშვენიერი ადგილია: შეყვარებული ქიარიმა საზს უკრავს და თავის სატრფოს სიმღერით კაბის ღილებს უხსნის; ღილები ასეა მოწყობილი, რომ, როცა სიმღერა უკანასკნელ ღილამდე მიაღწევს, მთელი კაბა ისევ ხელახლა იკვრება.

ჩვენს აუდიტორიას იზიდავდა არა მარტო ისეთი სასიყვარულო რომანტიკა, არამედ თვით ყაჩაღ „ქოროღლის“ ცხოვრებაც თავისი „შავი ბედით“, რაინდული თავგადასავალით და სევდიანი სიმღერებით.

ქოროღლის ცხენის აღწერა ყველამ ზეპირად იცოდა:

„შეხე, ხანო, ამ ცხენის ნესტოებს — ხან განივრად იღება, თითქოს ცეცხლის ალი გადმოჰქშენავსო, ხან ერთის თვალის დახამხამებაში ნესტოები უცბად ეკუმშება; ამის ბარკლები ქორფა ჯეირნის წმინდა ბარკლებსა ჰგავს, თითქოს ისარივით გასაფრენად გამზადებულაო; ამისი ტუჩები ნორჩი აქლემის ტუჩსა ჰგავს — იგი მაშინათვე გრძნობს სადავის ოდნავ შერხევას; როცა ქერის მარცვლებს სჭამს, ამის პირი წისქვილის ქვასავით შრიალებს; ხერხემალი კურდღლის ზურგს ჩამოჰგავს; სწორი და გასიპული კუდი აბრეშუმივით ელვარებს და გველივით იკლაკნება; ამისი ყელი ფარშევანგის ყელს არ ჩამოუვარდება; ამისი თავი პატარაა და ზომიერი; თვალები ორ ვაშლს უგავს და კბილები — ალმასს. როცა ეს საჯინიბოდან გამოჰყავთ, ჰაერს ეთამაშება და ონავარი ბავშვივით ჩლიქებით მიწასა სთხრის. ამისთანა ცხენის პატრონმა კარგად იცის თავისი რაშის ყადრი. შენ კი ამ ცხენისათვის მამაჩემს გახურებული შანთით თვალები ამოუწვი. მე რუშანი მქვიან, ბრმის შვილი — ქოროღლი; მე და ჩემი ცხენი, უგლიმო და საზიზღარო ხანო, თავისუფალნი ვართ. მობრძანდით და დამიჭირეთ“.

ყარაბოღლის ამბებშიც არის გაბედული შედარებანი: „დევებმა უთხრეს ყარაბოღლის, სანთლის ცულით რკინის კუნძი უნდა დასჩეხოვო. ყარაბოღლი დაღონდა და სთხოვა, ცოტა მადროვეთო; რძალთან შევიდა და შესჩივლა. რძალმა უთხრა, მაგაზედ რად დაღონდი; გამოიღე ჩემი თმა, სანთლის ცულს ისე დაახვიე, რომ დევებმა ვერ შენიშნონ, დაჰკარ რკინის კუნძს და მაშინვე ლუკმა-ლუკმა იქცევაო. ყარაბოღლიც ესე მოიქცა. დევებს გაუკვირდათ: ეს რა ყოფილაო! შემდეგ დევებმა უთხრეს: აი, ეს სავსე თასი ამ ალვის ხეზე ისე უნდა აიტანო, რომ ცვარი არ გადმოაგდოვო. ყარაბოღლიმ უპასუხა, კარგი ცოტა მადროვეთო; შევიდა რძალთან და შესჩივლა. რძალმა უპასუხა: მაგან როგორ დაგაღონა! წაიძრო თითიდან ბეჭედი და გადასცა: ეს ბეჭედი ჩააგდე იმ თასში და ისე აიტან და ჩამოიტან, რომ ერთი ცვარიც არ გადმოვარდებაო. ყა-

რაბოღლიც ასე მოიქცა, დევები დამარცხდნენ. ყარაბოღლიმ გაიმარჯვა“ და სხვა...

„შვიდ-ვეზირიანი“? მართალია, „შვიდ-ვეზირიანის“ ენა არ არის ისეთი მცვრიანი, როგორც „ვისრამიანისა“, ისეთი დარბაისული, როგორც „სიბრძნე-სიცრუისა“, მაგრამ მთელი ეს წიგნი სავსეა მშვენიერი მოთხრობებით, რომლებშიაც ქალთა ვერაგობა საუცხოვო სიუჟეტებად არის დახვეწილი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთი მოთხრობის შინაარსს: იყვნენ ცოლ-ქმარნი, რომლითაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ ქმარი ხუმრობით დანას ათამაშებდა, დანა უცბად ცოლს მოხვდა, და ხელი გაეკაწრა. ქმარი შეწუხდა, როგორ მომივიდა, რომ ჩემს საყვარელს ხელი გავუკაწრეო, იდარდა, იავადა და ამ დარდს თან გადაჰყვა. ცოლი აღარ შორდებოდა ქმრის საფლავს, დღენიადაგ საფლავზე იყო და ცრემლებით მოსთქვამდა თავისი ქმრის დაღუპულ სიყვარულს. ბოლოს ამ ქალის ნათესავებმა აუშენეს სასაფლაოზე პატარა ქოხი: რადგან სულ სასაფლაოზე ხარ, ბარემ მანდ იცხოვრეო. დარჩა ქალი თავისი ქმრის საფლავზე და მთელ დღეებს ჰგოდებდა. იმ ქალაქში ჩვეულება იყო: ქურდს ავაზაკს ჩამოაღრჩობდნენ, ჩამოკიდებულს დასტოვებდნენ და ყარაულს დაუყენებდნენ. მკვდარი რომ ვისმე მოეპარა, ყარაული სიცოცხლით აგებდა პასუხს: ჩამოხრჩობილის მაგივრად ყარაული უნდა ჩამოკიდებულიყო ძელზე. ერთხელ სწორედ ამ სასაფლაოს მახლობლად ჩამოჰკიდეს ერთი ავაზაკი და მკვდარს ყარაული დაუყენეს, რომ ნათესავებს არ მოეპარათ, იმ ღამეს ამოტყდა საშინელი ქარაშოტი და ყინვა. ყარაულმა სიცივეს ვეღარ გაუძლო. სასაფლაოსთან შენიშნა რაღაც ქოხი, რომელშიაც ცეცხლი ენთო. მივიდა და პატრონს სთხოვა, გავიყინე, ნება მომეცი, შემოვიდე, ცოტას შევთბები და ისევ მალე წავალო; ბევრი მუდარის შემდეგ ქვრივმა შეუშვა თავისთან. ყარაული შეთბა ცეცხლზე, მადლობა გადაუხადა და თავის სადარაჯოზე დაბრუნდა, მაგრამ რას ხედავს? მკვდარი აღარ არის! რა ჰქნას? გათენდება და ყარაული უნდა ჩამოეკიდოს მის მაგივრად. იფიქრა, იფიქრა და, რომ ვერაფერი მოახერხა, ისევ იმ ქვრივთან დაბრუნდა რჩევისათვის. ქვრივმა მოისმინა ყოველივე და ბოლოს ასე უთხრა ყარაულს: მე შენ მომეწონე და, თუ პირობას მომცემ, რომ ჩემი იქნები, გამოსავალს გიჩვენებო. ყარაული დაეთანხმა. ქალმა უთხრა: ამოთხარე ჩემი ქმრის საფლავი და ის დაჰკიდე მოპარული გვამის სანაცვლოდ — მკვდარი მკვდარია და ვერავინ ვერაფერს შეიტყობსო. ყარაულმა საჩქაროდ ამოთხარა იმ ქალის ახლად გარდაცვლილი ქმრის საფლავი, რომ განთიადისთვის ყველაფერი მოესწრო. მაგრამ როცა ამოღებულ გვამს დააცქერდა, ყარაული შეკრთა. ქვრივი შეესიტყვა: „რა მოხდა?“ ყარაულმა უპასუხა: „ვაი ჩემს თავს, იმ კაცს რომელიც მოიპარეს, კბილები სულ არა ჰქონდა, ამას კი საღი კბილები აქვსო“. „მერე რა მოხდა, — უთხრა ქვრივმა, — აიღე ქვა, ჩაარტყი და არც მაგას ექნება კბილებიო“. ყარაულმა ვერ შეძლო ამის ასრულება. მაშინ ქვრივმა თვით აიღო ქვა და თავის მკვდარ ქმარს კბილები ჩაუმტვრია. ყარაული კიდევ ყოყმანობდა. ქვრივი კვლავ შეესიტყვა: „რა მოხდა?“ ყარაულმა უპასუხა: „იმ კაცს სასირცხო არა ჰქონდა, ამას კი აქვს და ვაი თუ შეიტყონო“. ქალმა უთხრა: „მერე რაღას უყურებ? აიღე ხმალი და წარკვეთეო“. ყარაულმა კვლავ ვერ შესძლო ამის ასრულება. მაშინ ქალმა ყარაულს წააძრო ხანჯალი და მეუღლეს სასირცხო მოჰკვეთა. ყარაულმა წაიღო ამ დიაცის ქმრის გვამი, დაჰკიდა მოპარულ ავაზაკის გვამის მაგივრად და ამგვარად გადარჩა სიკვდილს. როცა ქვრივმა ყარაულს პირობის შესრულება მოსთხოვა, ყარაულმა უპასუხა: „შორს, ვერაგო დედაკაცო, შენს მკვდარს ქმარს რომ ეს საქმე დამართე, მე ცოცხალს რაღას მიზამო!...“

„ბარამიანი“?

„ბეჟანიანი“?

„დავრიშიანი“?

მაგრამ კმარა! ეს ორიოდე ნიმუშიც საკმარისად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ძველი მწერლობა სავსეა სარომანო სიუჟეტებით, ხლართით, ინტრიგით, მოულოდნელობით, — და რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მდიდარი ლიტერატურული მასალა ზოგჯერ მაინც გადაეთვალიერებინათ იმათ, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით მხატვრულ შემოქმედებასთან არიან დაკავშირებულნი!

ჩვენი ძველი მწერლობა სავსეა სარომანო სიუჟეტებით, ხლართით, ინტრიგით, მოულოდნელობით, — და რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მდიდარი ლიტერატურული მასალა ზოგჯერ მაინც გადაეთვალიერებინათ იმათ, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით მხატვრულ შემოქმედებასთან არიან დაკავშირებულნი!

აი, ასეთი იყო ჩვენი ძველი თბილისის ბიბლიოთეკა!

აი, ეს „ბაზრული მწერლობა“ იყო ჩვენი სახალხო პოეტების შემოქმედების დვრიტა.

როინ მეტრეველი

საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები

დავით აღმაშენებლის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს, ამიტომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათთან ურთიერთობა ინტენსიურად წარიმართა. ჩრდილო კავკასიის ხალხებში დავითი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სათავე უხსოვარ დროშია ჩაკარგული. ამ ორი ძველი ხალხის ნაცნობობა, სულ ცოტა, ათ საუკუნეს მაინც მოითვლის. X-XI საუკუნეების რუსეთი აღმოსავლეთ ევროპის მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ IX საუკუნის შუა ხანებიდან ადრეფეოდალური კიევის რუსეთი აღმ. ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენათა ორბიტაში მოექცა. ბიზანტიის იმპერია ყოველმხრივ ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ახალი, წინ მიმავალი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, თანაც მის თვალსაწიერში განსაკუთრებით არაბებისაგან შევიწროების შემდეგ განსაკუთრებული ფასი დაედო შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწებს.

აღმოსავლური წყაროები თვალსაჩინოდ მიუთითებენ, რომ რუსეთის სახელმწიფო თავის მხრივ ისწრაფვოდა დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის სამდინარო თუ საზღვაო გზების ხელში ჩასაგდებად.

რაც შეეხება საქართველოს ფეოდალურ მონარქიას, როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან აღმავლობის გზაზე იყო და საჭირო შემთხვევაში გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან.

ამ ურთიერთობას უმეტესწილად პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა და კიევის რუსეთთან ურთიერთობასაც ამგვარი მიზანი უნდა ჰქონოდა.

ქართული ნატურალური წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XII ს-ს განეკუთვნება. საგულისხმოა, რომ რუს-ქართველთა შეხვედრის ერთ ფაქტს აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონაცი. ზემოხსენებული ცნობები IX საუკუნისაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქართველთათვის ცნება რუსი ისე როგორც რუსი ხალხი ადრეც არ ყოფილა უცნობი, თუნდაც ის ფაქტი, რომ სუმბატ დავითის ძე რუსს ყოველგვარი კომენტარის გარეშე იხსენიებს, დასტურია იმისა, რომ ეს ცნება XI საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართველთათვის.

რუსის ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა და საბუთებში მოხსენიებული **ვარანგი** და **სკვითი**. ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ სკლავსაც (სლავი). ეს ტერმინი, ზოგ შემთხვევაში, ბოლღართან (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული „მატიანე ქართლისაიში“. თხზულებაში იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ, აღნიშნულია, რომ მათ ბრძოლაში მონაწილეობდა 3 000 ვარანგანი (ვარიაგები).

ისტორიკოსებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ ლიპარიტის მხარეს, მეორენი თვლიან, რომ ვარანგნი ბაგრატ IV-სთან იყვნენ. ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ჩვენი დაკვირვებით, **ისინი სწორედ საქართველოს მეფეს უმაგრებდნენ მხარს. ასე ესმოდა ეს ფაქტი ვახუშტისაც, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ბაგრატს მოერთნენ 3 000 ვარანგნი, მოიყვანა მეფემან 700 მათგანი და შიდა ქართველნი“.**

ნიშანდობლივია, რომ ვარანგები შავი ზღვითა და მდინარე რიონით მოვიდნენ ბაშამდე, როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რიონის სანაოსნო მაგისტრალზე, რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა.

ამგვარად, **მატიანე ქართლისაი**

ნათელს ყოფს, რომ XI საუკუნის შუა წლებში ქართველებსა და ვარანგებს არა მხოლოდ შორეული ნაცნობობა არამედ ახლო ურთიერთობა ჰქონიათ.

რუსი ბერძნულიდან ქართულად გადმოღებულ არაერთ ნაწარმოებში გვხვდება. ცხოვრება ანდრია სალოსისა გვამცნობს: „მე ვიტყოდი, რომ ნათესავნი მწიოურთა მოვალს, რომელსა ჰქვიან რუსნი“.

გ. მთაწმინდელის მიერ ბერძნულად თარგმნილ თხზულებაში „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედა მოსვლისაგან“ მოთხრობილია 62 წელს სკვითებისა და ავარების მიერ კონსტანტინეპოლის გარემოცვის ამბავი. აღნიშნულია, რომ ჰერაკლე კეისარი იყო შემუსრული მრავალგზის სპარსთა მიერ და სკვითთა ე. ი. რუსთა, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკვითის განმარტებას.

XII ს. დასაწყისიდან დავითის მეფობის დროს რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. გვინდა, ყურადღება მივაქციოთ XVII ს ერთ ცნობას, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის — პავლე ალეპოელის თხზულებაში, რუსეთის (სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ მაკარიოსი და პავლე) სამეფო ადმინისტრაციის დავალებით, პავლე ალეპოელს შეუსრულებია საქართველოს აღწერილობა და საიდუმლო საგანმგიოსათვის მიუწოდებია. აღწერილობაში არა მხოლოდ XVII ს საქართველოზეა ლაპარაკი, არამედ მისი წარსულიცაა მოცემული.

ვფიქრობთ, მართებულია მოსაზრება, რომ ამ ცნობაში შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეული აღნუსხვა და დაკავშირებული იყოს საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებასთან.

წყაროს მიხედვით, დავითი რუსეთში ჩასულა დახმარების სათხოვნელად. პავლე ალეპოელის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ემყარებოდა რაიმე გადმოცემას ან ჩვენამდე მოუღწეველ რომელიმე წერილობით წყაროს. არ არის გამორიცხული, რომ ყივჩაღეთიდან დავით მეფის სარწმუნო კაცებს მეფის დავალებით გზა რუსული სამთავროსაკენ გაეგრძელებინათ, ყივჩაღთა მიწა ხომ უშუალოდ ემიჯნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს.

დავითის სარწმუნო კაცთა მისვლა კიევის მთავართან ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობის მიწოდების მიზნით, ალბათ, აუცილებელიც იყო. პ. ალეპოელის ცნობა ავტორის დროის გარსშია გახვეული, კერძოდ, ისეა დახატული ვითარება, როგორც XVII ს საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, როცა საქართველოს მეფეები რუსეთის სამეფო კარისაგან მართლაც ითხოვდნენ დახმარებას.

ალეპოელის ცნობით, დავითისათვის დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებითაც მტერი უნდა გაედევნათ, ამ ძალაში ყივჩაღები უნდა იგულისხმებოდეს. მესხიამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ რუსი მემატიანეები ვლადიმერ მონომახს მიაწერენ ყივჩაღების განდევნას რკინის კარებს იქით საქართველოში და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება უშუალოდ გაატარა.

რუსი მემატიანის კატეგორიულ ცნობაში ჩვენ უნდა დავინახოთ ის ფაქტი, რომ კიევის დიდმა მთავარმა, ალბათ, მიიღო მონაწილეობა ყივჩაღთა გადმოსახლებაში, ეს მონაწილეობა, თავის მხრივ, დავითსა და ვლადიმერ მონომახს შორის მოლაპარაკებას უნდა გულისხმობდეს. ნიშანდობლივია, რომ რუსეთშიც სცოდნიათ დავითის მიერ უწმინდურთა განდევნის შესახებ.

დავითის გამარჯვებებმა და წინსვლამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი რუსეთთან, გაძლიერებულ საქართველოსთან კავშირი, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო.

ირანის ხელნაწერთა ფონდებში მაგალი თოდუამ მიაკვლია და გამოაქვეყნა XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან.

ამ მიმოწერაში საყურადღებოა ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი ზოგიერთი მათგანი: აფხაზის პატრონად სახელდებულ მეფე დავითისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ „ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა, ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა, აფხაზის, შაქის,ალანისა და რუსის მეფეთ მეფისა და ა. შ.

იმავე ადრესატისადმი სხვა წერილში ვკითხულობთ „აფხაზთა მეფეთა მეფისრუმისა და რუსის მარზპანის, ქრისტეს სარწმუნოების შემწის“ ან კიდევ „ქვეყანათა მფარველი გურჯის, აფხაზის,

ალეპოელის ცნობით, დავითისათვის დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებითაც მტერი უნდა გაედევნათ, ამ ძალაში ყივჩაღები უნდა იგულისხმებოდეს.

ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე“.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ პირველ ორ შემთხვევაში აფხაზი ნიშნავს სრულიად საქართველოს, ეს აღმოსავლეთის სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს, მაგ ხაყანი შარვანი გვამცნობს, რომ „აფხაზ მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო“.

მესამე წერილში აფხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები, ე. ი. აფხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით, სავარაუდებელია, იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს.

არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ წერილების ადრესატი დავით აღმაშენებელია. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის რუსის მეფედ მეფის ან რუსის მარზპანად ან კიდევ ხაზარის მეფედ მეფედ მოხსენიება, რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ ხაზარი ჩანს რუსის ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება, ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის I ისტორიკოსის მიერ რუსეთად არის მიჩნეული.

ქართლის ცხოვრების სხვადასხვა ნუსხებში დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვა, იქ, სადაც ხაზარებზეა ლაპარაკი, არშიაზე წერია „ხაზარეთი რუსეთიაო“, ისიც ნიშანდობლივია, რომ თოდუას მიერ გამოქვეყნებულ წერილებში თუ ხაზარი და ყივჩაღია დასახელებული, რუსი ნახსენები აღარ არის ან პირიქით.

სხვადასხვა ისტორიკოსთა მოსაზრებების გათვალისწინებით და მუსლიმანურ წყაროებზე დაყრდნობით, მართებული ჩანს თოდუას დასკვნები, რომ რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც, რუსთა ერთ გარკვეულ შტოს აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში.

ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულა XII საუკუნეში, რაც, თავის მხრივ, ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულა.

დავითს ემორჩილებოდა ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაღეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი.

აქ მოხსენებული ფრანგეთის რაობა არ არის საბოლოოდ გარკვეული, იქნებ სწორი იყო მელიქსეთბეგი, რომელიც ფრანგეთის ნაცვლად ვრანგეთს კითხულობდა, მისი სამეფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუდემდე და ოვსეთითგან სოვარათ და არეგაწამდე.

დავითის შვილიშვილს — გიორგი III-საც „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანეს მოვიდიან, ეგრევე შარვანის სახლი თამარსაც მორჩილებენ ოვსნი და ყივჩაღნი“.

მართებულადაა მინიშნებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ **გაძლიერებულ საქართველოს სამეფოსთან კავშირს რუსეთი თვითონ ესწრაფვოდა, მით უფრო, რომ დავითის დროს ყივჩაღები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაღთა თავდასხმების თავიდან აცილება და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.**

დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან და ყივჩაღებთან, ურთიერთობას.

ოსები გამოირჩეოდნენ სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით.

ალანთა სამეფოს მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. ოსეთისა და საქართველოს ურთიერთობა ინტენსიური ხდება XI საუკუნიდან, როცა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში ამ პოლიტიკურმა ერთეულმა გარკვეული მნიშვნელობა შეიძინა. ამით არსებითად განისაზღვრა ფეოდალური საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობის კეთილმეზობლური ხასიათი.

გიორგი I-მა და ბაგრატ IV-მ ოსებთან დამოყვრებით კიდევ უფრო განამტკიცეს მათთან ურთიერთობა.

დავითის დროს, როცა ყივჩაღთა ჩამოსახლების საკითხი დაისვა, რუსეთთან ურთიერთობაც ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. საქმე ისაა, რომ ყივჩაღებს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებთან და საქართველოს მეფეს ქმედითი ღონისძიების გატარება დასჭირდებოდა ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსაყვანად, რადგან ყივჩაღეთს და საქართველომდე ოსეთი იყო გასავლელი.

საქართველოს მეფემ დროულად იზრუნა ამ საკითხზე, საგულისხმოა, რომ თამარის I ისტორიკოსის ცნობით, დავითის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში ყოფილა გათხოვილი.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ, თუ საკუთრივ დავითის ასული არა, სამეფო სახლის რომელიღაც წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი.

ოსეთთან ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თვით დავითი და მისი ვაზირი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობარ-თუხუცესი წარემართა ოსეთს. მართებულადაა შენიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომ დავითის ოსეთში გადასვლა მხოლოდ ყივჩაღთათვის გზის უზრუნველყოფა არ ყოფილა.

არსებითი იყო ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო

გზების დაკავება. იმხანად დარიალსა და სხვა უღელტეხილებზე კონტროლს ოსები ახორციელებდნენ. ძლიერი ფეოდალური საქართველოსათვის აუცილებელი შეიქმნა აღნიშნული გადასასვლელების დაუფლება და დავითის მისიაც ამას ისახავდა მიზნად.

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში შესულ დავითს „მოეგებნეს მეფენი ოსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“. აქ საგულისხმო მომენტია, რომ დავითმა მძევლები ჩამოართვა როგორც ოსებს, ისე ყივჩაღებს და „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორივე ნათესავნი“. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ დავითს თან ახლდა გარკვეული სამხედრო ძალაც.

შემდეგი ეტაპი დავითის მოქმედებისა ის არის, რომ მან აიღო და დაიკავა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი.

უდავოა, რომ კავკასიის უღელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო, ამასთან, ამ პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა, ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებიდან ოსები გამოირჩეოდნენ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობით, ისინი კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც სხვებზე მაღლა იდგნენ, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ.

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. ოსთა გაქრისტიანებას უკავშირდება კონსტანტინეპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსს და აფხაზთა მეფე გიორგის.

ოსთა გაქრისტიანების აქტიდან აშკარად ჩანს ოსეთის და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მისწრაფება საქართველოსაკენ, რომელიც კავკასიასა და წინა აზიაში წამყვანი ქვეყანა იყო.

ქრისტიანობის საშუალებით საქართველო მთის მოსახლეობას თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას უმორჩილებდა. ზოგჯერ ამგვარ მცდელობას ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებიდან გარკვეული რეაქციაც მოჰყვებოდა, ასე იყო თამარის დროს დიდოელებისა და ფხოველების გამოსვლა, რომელიც თავისი არსით იყო ფეოდალიზმისათვის რეოლუციური ოპოზიციის ერთგვარი გამოვლინება.

უშუალო მწარმოებელი მასის მძლავრი რეაქცია გაბატონებული კლასის ცდაზე, გაეძლიერებინათ ექსპლუატაცია ფეოდალურ ურთიერთობაში მთის მოსახლეობის ჩაბმით და გაევრცელებინათ ქრისტიანობა.

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავითს თან ახლდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობარ-თუხუცესი. ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვა მოჩანს.

ფაქტია, რომ **დავითმა თავისი ენერგიული მოქმედებით ხელში ჩაიგდო კავკასიის გადასასვლელები, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ოსეთი მტკიცედ შემოიყვანა თავისი მორჩილების ქვეშ ყმადნაფიცობის პირობაზე. ამიერიდან სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან ერთად დავითის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოსეთისა“.**

დავითის დროის საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროებით დურძუკები კავკასიონი), დაღესტნის ხალხებთან ადიღელთა, ჯიქნი, ქაშაგნი (ამ უკანასკნელთან დამაკავშირებელ რგოლს აფხაზეთი წარმოადგენდა).

საქართველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა, არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში, გავრცელდა ქართული დამწერლობა, ხშირია ქართული წარწერები (დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული), შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.

დავითის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო დარუბანდის საკითხი. გეოგრაფიულმა გარემომ, ეთნიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის ბაზა რომელზეც ჩამოყალიბდა დარუბანდის ქალაქი-სახელმწიფო. დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზის მიმართ არ იყვნენ ქართველები გულგრილნი. დავითი დიდად აფასებდა კასპიის კარის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველგვარად ცდილობდა თავის გავლენის გავრცელებას.

1124 წლის აპრილში დავითის მოლაშქრეები დაესხნეს შაბურანს (დარუბანდელსა) და „მოსრნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანი და ხოზონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა», შემდგომში როგორც ჩანს, დავითს დარუბანდიც ხელთ უგდია.

ერთი სიტყვით, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები და ხალხები ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერდნენ.

დავითი ანდერძში აცხადებს, რომ მმარვთელი ჩრდილოეთი კავკასია მას ემორჩილებოდა. ამასთან, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დავითი ჩრდილოეთის ქვეყნებთან მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფაზე ფიქრობდა, არ ჩანს მთლად სწორი. გარკვეულ შემთხვევაში, საქართველოს სამეფო კარი შეტევით ოპერაციებსაც ატარებდა და ამ გზითაც მშვიდობიან, მოლაპარაკების დიპლომატიასთან ერთად ეუფლებოდა ჩრდილოეთით მიმდებარე ქვეყნებს.

ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა ქრისტიანიზაცია-ფეოდალიზაციაც მხოლოდ მშვიდობიანი გზით არ ხდებოდა და აქაც ძალა გამოიყენებოდა, ეს შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

დავით გოგიშვილი:

ერეკლე მეფეზე უკეთესი ნაბიჯი ქვეყნის გადასარჩენად არავის გადაუდგამს

ერეკლე მეორეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისტორიკოსი დავით გოგიშვილი გვესაუბრება:

— ვიდრე ერეკლე მეფის მოღვაწეობაზე დავიწყებდეთ საუბარს, მინდა, მთავარი ვთქვა: ქართველმა საზოგადოებამ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლები გავხდით, ტერმინები — „ერის მოღალატე“ და „სამშობლოს გამყიდველი“ ლირიკისა და ფოლკლორის ნაწილად აქცია, რაც ყოვლად დაუშვებელია. ერის მოღალატე არის უმძიმესი ბრალდება და ყველა ნორმალურ ქვეყანაში ამ სტატუსს ანიჭებენ ადამიანს, რომელსაც ბრალდებას სასამართლო პროცესით უმტკიცებენ. ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტებმა ტერმინი „სამშობლის მოღალატე“ უაპელაციოდ დაამკვიდრეს და, ვისაც მოისურვებენ, იმას უწოდებენ, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყოვლად დაუშვებელია.

ერეკლე მეორეს მოღვაწეობის პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მძიმე პერიოდია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ერეკლე მეორე არის მეფე, რომელმაც 80 წლამდე ისე იცოცხლა, რომ ბრძოლა არ წაუგია. ის გახლდათ უძლიერესი მთავარსარდალი, დაუმარცხებელი, ამიტომ, მას რომ მოღალატე უწოდო, დანაშაულია. თანაც, ხომ გააჩნია, ამას ვინ ამბობს? — ადამიანები, რომლებსაც ერთი ხე არ დაურგავთ და ქვეყნის სასიკეთოდ ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მათი ეს საქციელი ამორალურია.**

მეფე ერეკლე 1762 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა და რამდენიმე მწვავე პრობლემის წინაშე დადგა, რომელთა მოგვარებაც მხოლოდ რუსეთის იმპერიას შეეძლო, სწორედ ამიტომ 1783 წელს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ტრაქტატს მოეწერა ხელი.

1784 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატიდან ერთი წლის თავზე, გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი და სამეფო კარზე არეულობა დაიწყო. ერეკლე მეფეს შეეძლო, ამ არეულობით ესარგებლა და დასავლეთ საქართველო შემოეერთებინა. იმერელ თავადთა დელეგაცია ეწვია მეფე ერეკლეს და შესთავაზა, გადაეხედა გეორგიევსკის ტრაქტატისათვის, რომლის საფუძველზეც შეეძლო, აჭარის გარდა, ყველა რეგიონის შემოერთება, მაგრამ მეფემ ეს არ გააკეთა.

იმხანად საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად იყო შემცირებული. სხვადასხვა ციფრი სახელდება: ზოგი ამბობს 800 ათასს, ზოგი — 700 ათასს. ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: იმ პერიოდის აღმოსავლეთი საქართველო ეკონომიკურად ძალიან დასუსტებული იყო — პრაქტიკულად მიწასთან გასწორებული. სწორედ აქედან გამომდინარე, ვერავინ შეედავება ერეკლე მეფეს გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერის გამო. ეს უნდა მომხდარიყო. მეფე ერეკლემ შეცდომები გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ დაუშვა.

ამ საკითხამდე რადგან მივედით, ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. ქართველები დიდ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც სომეხ ხალხს მკვეთრად გამოხატული პრორუსული ორიენტაციის გამო ვაკრიტიკებთ. მართალია, აქვს სომეხ ხალხს ცალკეული არაკორექტული გამოხდომები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხეთის პრორუსულობას აქვს ობიექტური საფუძვლები. სომხეთი გარშემორტყმულია მისდამი არაკეთილგანწყობილი სახელმწიფოებით და ბუნებრივი და ლოგიკურია ის, რომ გამუდმებით ეძებს საიმედო სტრატეგიულ პარტნიორს.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: საგარეო პოლიტიკაში რა დოზითაც მოვახდენთ სომხეთის ფაქტორის იგნორირებას, იმ დოზით იქნება ჩართული სომხეთი ანტიქართულ შეთქმულებაში. ასე მოხდა ერეკლე მეფის პერიოდშიც. **ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერეკლე მეფის კარზე მრჩევლების სტატუსით მოღვაწე იოსებ ბებუთოვი და არტემ არარატელი „თვალი და ყური“ იყვნენ ეკატერინე მეორისა.**

მეფე ერეკლემ ეკონომიკურად გაჩანაგებულ ქართლ-კახეთში, მისი შემდგომი ათვისების მიზნით, სომხური მოსახლეობის ჩა-

მოსახლება დაიწყო. ამ საქციელში იყო ლოგიკა. ქართლ-კახეთის სამეფო ეკონომიკურად მიწასთან იყო გასწორებული, აყრილი იყო მოსახლეობა. სამომავლოდ სწორედ ეს სომეხი მოსახლეობა გახდა გადამწყვეტი ფაქტორი რუსეთის სასარგებლოდ მოვლენათა განვითარებისა. როდესაც ერეკლეს სამეფო კარზე აქტიურად დაიწყო ლაპარაკი გეორგიევსკის ტრაქტატის გადასინჯვაზე, ეს ამბავი სომხებმა მყისიერად ეკატერინეს აცნობეს.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-18 საუკუნე — ეს არის ეპოქა, როცა საქართველოში გააქტიურებას იწყებს ვატიკანი და კათოლიკური მისიები. მოგზაურები და მისიონერები ქვეყნაში ვითარებას შეისწავლიდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქართველების მიერ განიხილებოდა არსით ანტირუსული სარწმუნოების — კათოლიციზმის მიღება. ჩვენ დღესაც გვყავს აღმსარებლობით კათოლიკე ქართველები, რომელსაც ქართულმა ისტორიოგრაფიამ კათოლიციზმთან, საზოგადოდ, საფრანგეთთან ასოცირების გამო, „ფრანგები“ უწოდა. ამ „თამაშმა“ 1795 წელს მოიტანა კრწანისის ბრძოლა, რომელიც ეკატერინე მეორის წაქეზებით მოხდა.

დღევანდელი ქართული პოლიტიკის შეცდომაც სწორედ ის არის, რომ რუსეთს „ეთამაშება“. რუსეთთან „თამაში“ კი არც ერთ ეპოქაში არ არის გამართლებული.

— რა მოუტანა გეორგიევსკის ტრაქტატმა სასიკეთო ჩვენს ქვეყანას?

— **გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა, ეროვნულ თვითმყოფადობას ვერ შევინარჩუნებდით. ქართველი ხალხი სწორედ ამ ტრაქტატის წყალობით გადარჩა. იმ პერიოდისთვის ქართველთა გადარჩენის სხვა ალტერნატივა არ არსებობდა.** რომ ყოფილიყო საქართველოს უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის სხვა, უფრო ქმედითი ალტერნატივა და ერეკლე მეორეს უარი ეთქვა, მაშინ შეიძლებოდა, გვემსჯელა მის მიერ ტრაქტატის მიმართ გადადგმული ნაბიჯის სამართლიანობაზე.

— რა არის გეორგიევსკის ბაფთა?

— გეორგიევსკის ბაფთა არის წმინდა გიორგის სახელობის ორდენის ბაფთა. ეს ორდენი ეკატერინე მეორის პერიოდში დაწესდა რუსეთის იმპერიაში და გამოჩენილ მხედართმთავრებს აჯილდოვებდნენ. გეორგიევსკის ციხესიმაგრე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორპოსტი იყო რუსეთისთვის, იქიდან მთელ კავკასიას აკონტროლებდნენ. საქართველოსა და რუსეთს შორის ტრაქტატის ხელის მოწერის ცერემონიაც სწორედ იქ გაიმართა.

გეორგიევსკის ბაფთის ქვეშ ქართველებსა და რუსებს ერთობლივად ბევრი ომი გვიწარმოებია. ამ ბაფთის ქვეშ ერთად ვიბრძოდით თურქეთის წინააღმდეგ. 1828-29 წლებში შემოვიერთეთ ახალციხე, 1877-78 წლებში — აჭარა და ტაოკლარჯეთი. ერთობლივად ვიბრძოდით რუსეთ-იაპონიის ომში, ყირიმის და შემდეგ უკვე, დიდ სამამულო ომში. გეორგიევსკის ბაფთით არიან დაჯილდოებული ქართველი მეომრები: 46-ე არმიის სარდალი კონსტანტინე ლესელიძე, პორფირე ჩანჩიბაძე, პეტრე ჩხობაძე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ქართველი მებრძოლი... ეს ადამიანები კი ებრძოდნენ ფაშისტებს. 70 ათასი ქართველი მხოლოდ ძერჩის ყურეშია მკვდარი.

გეორგიევსკის ორდენი არის რუსეთის საბრძოლო, სამხედრო წესდების განუყოფელი ნაწილი, ამით რუსეთი თავის ოფიცრებს აჯილდოებს.

9 მაისს, ფაშზმზე გამარჯვების დღეს, ვიღაც გეორგიევსკის ბაფთით რომ დადის, არ შეიძლება მას მოღალატე ვუწოდოთ, რადგან ეს ბაფთა, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია...

ერეკლე მეორე — ეს დიდებული მეფე უაღრესად ტრაგიკული ბედისა გახლდათ. მას გარემოებებმა ხელი არ შეუწყო, რომ კრწანისის ბრძოლა თავიდან აერიდებინა. **ერეკლე მეფის ყველა გადაწყვეტილება იყო ზუსტი. ის გახლდათ უდიდესი მეფე, რომლი სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი თვითმყოფადობის გადარჩენა. დღეს რომ ვარსებობთ ქართველები, ერეკლე მეფის დიდი დამსახურებაა.**

— როდიდან დაიწყო მეფე ერეკლეს დადანაშაულება?

— 1988 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა შიმშილობა დაიწყეს. შიმშილობა კომუნისტური პარტიის ყრილობაზე მიხეილ გორბაჩოვის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკების ნებაყოფლობით გასვლის თაობაზე... სწორედ ამ შიმშილობისას გაისმა პირველად ის საკრალური, „ზეპოლიტიკური“ ფრაზა — მივმართოთ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, საქართველოში ჯარები შემოიყვანოსო. იმ პერიოდში პოლიტიკოსები ბეცები იყვნენ და არ იცოდნენ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აქ ჯარს არ შემოიყვანდა... თანაც იმ მომენტში თბილისში რუსული ჯარი იდგა. არსებობდა საბჭოთა კავშირი, იყო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი, არსებობდა იგორ როდიონოვი და ა.შ. და გაკეთდა განცხადება ნატოში შესვლისა. სწორედ ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისგან მოდის ერეკლე მეფის დაკნინების მცდელობაც. ძალიან კარგად მახსოვს, რას წერდა იმდროინდელი პრესა. მახსოვს, ბევრი „მგოსნისა“ და შარლატანი პოლიტიკოსის ინტერვიუები, რომლებიც ერეკლე მეფეს ცუდი ეპითეტებით ამკობდნენ... არადა, **ერეკლე მეფეზე უკეთესი ნაბიჯი ქვეყნის გადასარჩენად დღემდე არავის გადაუდგამს.**

საუბარი ჩაიწერა
ეკა ნასყიდაშვილმა

ვორონცოვი — საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამნერგავი

1840-იანი წლების დასაწყისში უაღრესად გამწვავდა მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც შამილმა რუსულ ჯარებზე ზედიზედ მოიპოვა შთამბეჭდავი გამარჯვებები; ამასთანავე, ახალი ძალა და მასშტაბები შეიძინა მიურიდიზმმაც, რომელიც ყოველი არამართლმორწმუნის (არამუსლიმის) უპირობო ფიზიკურ განადგურებას ითვალისწინებდა და ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიკოლონიური ბრძოლის არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური იდეოლოგიის ქვაკუთხედად იქცა. მეორე მხრივ, პოლიტიკური რეჟიმისადმი ქართველი თავადაზნაურობის „სერვილური" დამოკიდებულება ქმნიდა საფუძველს, ამიერკავკასია ზოგადად და, კერძოდ, საქართველო სამხედროდან სამოქალაქო მმართველობით სისტემაზე გადასულიყო.

ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, კავკასიის მართვა ჩაებარებინა ისეთი პიროვნებისათვის, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო და დიპლომატიური ნიჭი და პრაქტიკული შესაძლებლობები. 1844 წლის დეკემბერში იმპერატორის არჩევანი შეჩერდა გრაფ მიხეილ ვორონცოვზე (1782-1856), რომელიც იმ დროისათვის იყო რუსეთსა და ევროპაში სახელმოხვეჭილი გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის სრულუფლებიანი ნამესტნიკი. ამასთანავე, ვორონცოვი იყო უაღრესად განათლებული და დიპლომატიური უნარით აღჭურვილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჯერ კიდევ 1800-იანი წლების დასაწყისში მსახურობდა საქართველოში მთავარმართებელ პავლე ციციანოვთან და იცნობდა ამიერკავკასიასა და მის თავისებურებებს.

თავის მხრივ, ვორონცოვმა წამოაყენა აუცილებელი პირობა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის გარდაქმნას სამეფისნაცვლოდ და მეფისნაცვლისათვის გადაწყვეტილებათა მიღების საგანგებო, რუსეთის იმპერიისათვის უპრეცედენტო უფლების მინიჭებას — არსებითად პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნას, რისი პირობაც ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველისგან მიიღო კიდეც (კავკასიაში წამოსვლის წინ იმპერატორმა ვორონცოვს უთხრა: „შენ იქნები ალტერ ეგო".

ბრიტანეთში განსწავლულ, ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილ მიხეილ ვორონცოვს სწამდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი კავკასიაში ჩამოვიდა ფართო და საფუძვლიანი რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს (ზოგადად, კავკასიის) უმტკივნეულო პოლიტიკურ-ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოებრივ სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას.

ვორონცოვის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, მისივე ინიციატივითა თუ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მხარდაჭერით თბილისში დაარსდა რუსული და ქართული თეატრები, იტალიური ოპერა, საბალეტო დასი, საჯარო ბიბლიოთეკა, სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი", კავკასიის მუზეუმი, „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება" (თავისი პერიოდული გამოცემით), კავკასიის სასწავლო ოლქი, ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სავალდებულო სწავლებამ (მათ შორის, არაქართველთა და იმ სამხედრო პირთა შვილებისათვის, რომლებიც მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართვე-

ᲚᲝᲨᲘ), ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 160 ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ (ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ) ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ (ᲒᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.). ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲛᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲕᲔ 1840 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ „ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ“ (1855 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის "147 სასწავლებელი 6023 მოწაფით" - 3, გვ. 298-300).

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ-�პᲝ�პᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ-ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ (ᲮᲨᲘᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ; ᲛᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲐᲕᲚᲘᲜᲐ 1849 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲘᲥ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ), ᲘᲬᲕᲔᲕᲓᲐ ᲠᲣᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ (Მ. ᲑᲠᲝᲡᲔ, Გ. ᲐᲑᲘᲮᲘ, Ი. ᲑᲐᲠᲗᲝᲚᲝᲛᲔᲘ, Ა. ᲛᲣᲠᲐᲕᲘᲝᲕᲘ, Ნ. ᲮᲐᲜᲘᲙᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.), ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ Დ. ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ ᲓᲐ Ა. Შ. საგულისხმოა, რომ 1854 წელს, როდესაც ავადმყოფობის გამო ვორონცოვი იძულებული გახდა, იმპერატორისათვის ხანგრძლივი შვებულება გამოეთხოვა (ამის მერე ველარც დაბრუნდა კავკასიაში), მან თავის შემცვლელს, გენერალ რეადს დაუტოვა ინსტრუქცია, რომელშიც სპეციალურადაა აღნიშნული, რომ არ უნდა შენელებულიყო კავკასიის ხელისუფლების საგანგებო ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე... ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (სხვათა შორის, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრთა მიმართაც). როგორც ჩანს, იგი მიიჩნევდა, რომ ქართველთა ენობრივი და კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვითმყოფადობა საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთის ერთიანი და განუყოფელი იმპერიის ფარგლებში საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბებას.

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲝᲓ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ — ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ...

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ... ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ ᲓᲐ Ა. Შ. საგულისხმოა, რომ 1854 წელს, როდესაც ავადმყოფობის გამო ვორონცოვი იძულებული გახდა, იმპერატორისათვის ხანგრძლივი შვებულება გამოეთხოვა (ამის მერე ველარც დაბრუნდა კავკასიაში), მან თავის შემცვლელს, გენერალ რეადს დაუტოვა ინსტრუქცია, რომელშიც სპეციალურადაა აღნიშნული, რომ არ უნდა შენელებულიყო კავკასიის ხელისუფლების საგანგებო ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე... ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (სხვათა შორის, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრთა მიმართაც). როგორც ჩანს, იგი მიიჩნევდა, რომ ქართველთა ენობრივი და კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვითმყოფადობა საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთის ერთიანი და განუყოფელი იმპერიის ფარგლებში საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბებას.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ვორონცოვს საქართველოს აღორძინების ერთადერთ გზად მიაჩნდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ პოლიტიკას — რუსეთის მონარქია საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ რუსულ კულტურას, ცხოვრებისა და აზროვნების რუსულ წესს მიიჩნევდა (ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ მ. ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაზე და აღარაფერს ვამბობთ მის ეკონომიკურ რეფორმებზე.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, **„ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲐᲓ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ �გᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲫᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲖᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲛᲐ ᲨᲔᲘᲠᲧᲠᲝ... ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲓ... ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲝᲓ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ - ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ... ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲝᲪᲮᲚᲐ ᲔᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲣ-**

ხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ - ეს ოცნება რეალობად იქცა...“. ამასთანავე, ა. ჯორჯაძე დასძენს, რომ ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისათვის საჭირო ელემენტებიო.

ნაციონალურ-კულტურული აღორძინებისათვის „საჭირო ელემენტები“ 1840-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მართლაც არსებობდა და აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ვოლოგდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამა“, რომელიც დაფუძნებული იყო თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგიაზე და ითვალისწინება განათლების გავრცელების გზით რუსეთის იმპერიის ფარგლებშივე ქართული კულტურისა და საერთოეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას. საამისოდ გადადგმული იყო კიდევაც პირველი ნაბიჯები. კერძოდ, 1842 წელს დ. ყიფიანმა დააარსა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ — საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის წევრები იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვ. ორბელიანები, მ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ. უნდა აღინიშნოს მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონიც, სადაც წარმოიშვა და დამუშავდა არაერთი ეროვნული მნიშვნელობის იდეა (პროფესიული ქართული თეატრის ჩამოყალიბება, ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება და სხვ.). **ქართველ მოღვაწეთა მოწინავე ნაწილისა და ვორონცოვის გეგმები დაემთხვა ერთმანეთს და ამგვარმა უნისონმა კულტურის სფეროში ხელისუფლებისა და საზოგადოების სათანამშრომლოდ შექმნა მყარი საფუძველი მისგან გამომდინარე უაღრესად პოზიტიური შედეგებით.** უნდა ითქვას, რომ თავისი ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისას ვორონცოვმა მთავარ თანამშრომლად და დასაყრდენად აირჩია დ. ყიფიანი, რომელსაც, ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური მოხსენების მიხედვით, მიიჩნევდნენ „ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებედ“ და ს. კაკაბაძეც მას უწოდებს „ავტონომიის იდეის... თვალსაჩინო მოტრფიალეს“. დ. ყიფიანმა, თავის მხრივ, კავკასიაში განხორციელებული ძირეული ცვლილებები მაქსიმალურად შეუფარდა ქართველთა ეროვნულ-კულტურულ ინტერესებსა და საჭიროებებს.

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შეფასება ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში დიამეტრულად განსხვავებულია — უაღრესად პოზიტიურიდან (გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, ა. ფურცელაძე, ი. მეუნარგია, ა. ჯორჯაძე, მიხ. თამარაშვილი, შ. ამირეჯიბი, ს. ყუბანეიშვილი და სხვ.) უკიდურესად ნეგატიურამდე (ნ. ავალიშვილი, ვახტ. კოტეტიშვილი, ლ. ასათიანი, ს. გერსამია, ალ. კალანდაძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია და სხვ.).

...ვორონცოვის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ნ. ნიკოლაძესა და, განსაკუთრებით, ალ. ორბელიანს, რომლის თხზულებებშიც ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი: „ის დრო ვარანცოვისა საქართველოში, ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო... მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა... ვარანცოვამდისინ ქართუელები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია, შეგვაერთა ამ ცფიერმა დიპლომატმა“; მეორე მხრივ, ალ. ორბელიანის თქმით, „ვორონცოვმა მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი — „აჰა, მარადის გქონდეთ და თქვენის მამა-პაპის კარგის ენით ისიამოვნეთო“... კნიაზ ვარანცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვითარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი“.

ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველს 1849-1851 წლების ანგარიში წარუდგინა, რომელშიც ვკითხულობთ: „დაარსდა თეატრი, ლიტერატურა გამოცოცხლდა, წიგნები იბეჭდება, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს — თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა კეთილინებებს და ჩათვლის, რომ ამგვარი შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს განათლების გავრცელებაზე, გემოვნების განვითარებაზე, ზნეჩვეულებათა დახვეწასა და რუსებში ადგილობრივთა შერწყმაზე“.

ვორონცოვი იმპერატორს, ცხადია, ვერ მისწერდა, რუსებისგან ქართველების ჩამოშორება მსურსო და, რაც მთავარია, მას არც ჰქონია ამგვარი განზრახვა. პირიქით, ვორონცოვის **„კავკასიური პოლიტიკის“ მიზანდასახულობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს იყო რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და აღორძინებით.** ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი მოღვაწეებისათვის, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავსებით მისაღები აღმოჩნდა ასეთი პერსპექტივა, მით უმეტეს, ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ევროპეიზაციის გზით. დ. ყიფიანისადმი, იმდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურისა და თვალსაჩინო ევროპეისტისადმი, მიძღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში ა. ჯორჯაძე აღნიშნავს: „დიაღ, ჩვენ რუსეთის ქვეშევრ-

დომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, — ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა, გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და, თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...“

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულება არც რუსეთში იყო ერთგვაროვანი. ვორონცოვის მმართველობის წლებშივე მის კურსს აკრიტიკებდნენ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ, ისე რუსეთის ცენტრალურ მმართველობით სფეროებში.

...ვორონცოვი თვალსაჩინო ფიგურაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში (ლექსები, პუბლიცისტიკა, მემუარები, პოემა „ვორონცოვი“). **აკაკის თხზულებებში ვორონცოვის სახე წარმოჩენილია, როგორც პიროვნებისა და მმართველისა, რომელიც იყო საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამნერგავი** („ბებიას ნაამბობი“), უსამართლობით გატანჯული ერის გულისტკივილის გამზიარებელი („ქართველი ძეგლის წინ“), ქართველი ხალხის „მამაშვილურად მოყვარული“, რომლის ხელშიც საქართველომ „სული იბრუნა“ („ვარანცოვის ძეგლი“), „ცით მოვლენილი... ზეკაცი“, რომელმაც საქართველოში გაავრცელა სწავლა-განათლება და „ჩაჰნერგა წრფელი სიყვარული“ („ვორონცოვი“), მმართველი, „რომელსაც აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივს სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა“ („ჩემი თავგადასავალი“), ქართული მწერლობის ქომაგი და მასზე უანგაროდ მზრუნველი („მცირე შენიშვნა“) და ა. შ.; აკაკი ეკამათება იმათ, ვინც საქართველოზე ვორონცოვის ზრუნვას ფარისევლობად მიიჩნევდა და აღნიშნავს: „ბრალი არა აქვს, სხვის ხელში / მისი ნამყენი თუ გახმა...“ („ვარანცოვის ძეგლი“).

აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ და მანვე მოგვცა, ჩვენი აზრით, ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ ყველაზე ლაკონიური და ზუსტი შეფასება — ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა, როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნული ელფერით“ და ამას იგი აკეთებდა „საევროპიო სწორის გზით“ („ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“. ანალოგიურ თვალსაზრისს იმეორებს ა. წერეთელი 1912 წელს დაწერილ კიდევ ერთ თხზულებაში „ნარკვევი“ („რაჭალეჩხუმში ჩემი სტუმრობა...“.

ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკასა“ და მისგან გამოწვეულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებს, ვფიქრობთ, პირდაპირი კავშირი აქვს 1860-იანი წლების საზოგადოებრივ და სალიტერატურო ვითარებასთან და, ამ მხრივ, მართებული გვგონია ქ. ნინიძის შეხედულება: „ეს („თერგდალეულთა“ — თ. ჯ.) ფენა ყალიბდება ვორონცოვის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად“. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა ენობრივი თუ ლიტერატურული პრობლემა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე დასმული იყო წინა ათწლეულში (ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობა, ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის, მთარგმნელობითი პოლიტიკის და სხვ. საკითხები).

ერთი სიტყვით, **1860-იანი წლებისათვის მომზადებული იყო ნიადაგი ახალი, დროის მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად**. დიდად საგულისხმოა, რომ ი. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატორული მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რეჟიმისადმი გამოცხადებული უპირობო ლოიალიზმითა და არსებული კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე მაინცდამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია თავის პროგრამულ თხზულებაში „საქართველოს მოამბეზედ“ ზოგადად ამბობდა: „გენიოსი ნაყოფია თავის დროებისაო“ (ილია აქ „გენიოსში“ „წინამძღოლს“ გულისხმობს), თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს — **ილია ჭავჭავაძე ნაყოფია იმ „დროებისა“, რომლის ფესვებიც, გარდა ნაციონალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებისა, ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკაშიც“ უნდა ვეძებოთ.**

თამაზ ჯოლოგუა

შალვა ქიქოძე — ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი

შალვა გერასიმე ძე ქიქოძე დაიბადა 1895 წლის 27 მაისს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. მხატვრის მამა, გერასიმე ქიქოძე, კოლეგიის რეგისტრატორი იყო. ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ნიგოითში. მხატვრის დედა მატრონე კალანდარიშვილი სუსტი ჯანმრთელობის გამო 1918 წელს გარდაიცვალა. შალვა ქიქოძეს უმთავრესად ბებია ზრდიდა (მამის მხრიდან). შალვას ჰყავდა და-ძმა — სანდრო და ანეტა. ქიქოძეების ოჯახი ზაფხულობით იკრიბებოდა სოფელში ბებიასთან, სადაც ოჯახებით სტუმრად ჩადიოდნენ მამის ძმები — დიმიტრი (მწერალ გერონტი ქიქოძის მამა), მიხეილი და თებრონე.

სოფელ ბახვის ბუნების წიაღში გატარებულმა ბავშვობამ განსაზღვრა მომავალი მხატვრის სიყვარული მშობლიური მხარისადმი. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დაკვირვების უნარით, ხატვის სიყვარულით. გერონტი ქიქოძე თავის წერილებში წერს: **„შალვა ქიქოძემ ხატვა თითქმის ლაპარაკთან ერთად დაიწყო. ის ფანქრით ხატავდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა ამ პატრიარქალურ და იდილიურ გარემოში აღზრდილ ბავშვზე... იგი ორი-სამი წლის იყო, როდესაც მარჯვენა ხელზე დამბლა დაეცა და იძულებული გახდა მარცხენა ხელით ეხატა“.** გერონტი ქიქოძის და ნატალია კი, თვლიდა, შალვა ქიქოძეს ეს არ დაემართებოდა, რომ იგი — ჩვილი ბავშვი, დედის ავადმყოფობის გამო, მისთვის მომვლელად მიჩენილ ახალგაზრდა გადიას ხელიდან არ გავარდნოდა. ამ საბედსიწერო შემთხვევის გამო, შალვა ქიქოძეს სამუდამოდ დაუზიანდა ხელი, თუმცა ამ ფიზიკურ ნაკლს მხატვრის თანამედროვეთა მოგონებით, მის შესანიშნავ გარეგნობაზე დიდად არ უმოქმედია. მხატვარი „მკვირცხლი ბუნების, გამხდარი, მაღალი, ლამაზი, უაღრესად განათლებული, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ახალგაზრდა იყო“, — იგონებდა ლადო გუდიაშვილი.

1902 წელს შალვა ქიქოძე შევიდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. შალვა ქიქოძის დეიდაშვილი, ფსიქოლოგი დარეჯან რამიშვილი იგონებს: სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს, ქალ. დარეჯანის მამამ, რომელიც გიმნაზიის ზედამხედველი იყო, გიმნაზიის შენობაში გამოუყო შალვას ოთახი სახელოსნოდ, სადაც ხატავდა ხოლმე. სწავლის წლები — 1902-1914 იყო რევოლუციური სულისკვეთების აღმავლობის წლები. ახალგაზრდა მხატვარი არ რჩება გულგრილი ამ მოძრაობის მიმართ. იგი აკეთებს სასწავლებელში მოღვაწე რეაქციონერი პედაგოგების კარიკატურებს.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში შალვა ქოქიძემ რუსულიდან თარგმნა და თვითონვე დაასურათა სერ არტურ კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“. 1912 წელს იგი ქმნის ილუსტრაციებს ამირანის თქმულებისათვის.

ქართული გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს შალვა ქიქოძეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოება“ სტიპენდიას უნიშნავს და იგი მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ირიცხება. პარალელურად იგი გამოცდებს აბარებს მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების“ ინსტიტუტში, თუმცა ორი წლის მანძილზე ვერ ახერხებს აქ მოხვედრას.

1916 წელს შალვა ქიქოძე ჩაირიცხა მოსკოვის სამხატრო სასწავლებელში ფერწერის ჯგუფში. სადაც მან ისწავლა 2 წელი. პირველ წელს მან ისწავლა ნატურიდან ხატვა, მეორე წელი შემოქმედებით მუშაობას მოანდომა.

შალვა ქიქოძის მეგობარი ლადო გუდიაშვილი წერდა: „ნამდვილი, ხალასი ნიჭის ახალგაზრდა იყო, მკვირცხალი ბუნების, გამხდარი, მაღალი, ლამაზი, ენამახვილი, განათლებული... ჰქონდა კიდევ ერთი საინტერესო თვისება – ცხოვრების იუმორის პრიზმაში დანახვის უნარი“. სწორედ იუმორის შეგრძნების განსაკუთბულმა უნარმა განაპირობა, ალბათ, მხატვრის აქტიური თანამშრომლობა მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თეატრალურ ჟურნალში „რამპა ი ჟიზნი“.

მხატვრის პირველი მეგობრული შარჟი, ხელმოწერილი ფსევდონიმით შალიკო, გამოჩნდა 1915 წელს მას შემდეგ ცნობილი რუსი მხატვრების: მელნიკოვის, ჩელის, მილიუტინის და სხვათა მეგობრული შარჟების გვერდით სისტე-

„მსახიობთა ყავის სახლი პარიზში“

„პარიზი, ეიფელის კოშკი“

მატურად ქვეყნდებოდა ახალგაზრდა ქართველის მახვილი კარიკატურები, ჩანახატები და მეგობრული შარჟები.

ა. ბახრუშინის სახელობის სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში დაცულია მოსკოვის თეატრ-კაბარე „ღამურას“ ფარდა, რომელიც შ. ქოქიძის მოხატულია.

მასთან ერთად მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა სერგო კლდიაშვილი, რომელიც გამოთქვავდა გაკვირვებას, თუ როგორ ახერხებდა შალვა პარალელურად სამხატრო სასწავლებელში სწავლას.

სერგო კლდიაშვილი წერდა: „შალვა ქიქოძე ღრმად ერუდირებელი ახალგაზრდა გახლდათ, არაჩვეულებრივად ერკვეოდა ხელოვნების ისტორიაში, შესანიშნავად იცნობდა იმ დროინდელ ფრანგულ ხელოვნებას. განსაკუთრებით გატაცებით საუბრობდა იგი ვან-გოგზე და გოგენზე“....

მოსკოვში ყოფნისას შალვა ქიქოძეს სერგო კლდიაშვილთან ერთად უმოგზაურია ვიბორგის მხარეში. როგორც პატივცემული სერგო იგონებდა: „მართალია გაზაფხულის პირი იყო, მაგრამ ძალიან ციოდა. ფული შემოგვაკლდა და ამიტომ ცოტა ხანს დავყავით, შალვა სულ სხვა თვალით აღიქვავდა ყველაფერს. მხატვრის თვალი თითქოს ხსნიდა საიდუმლოს, ამ ხალხის სახეებში აღბეჭდილს, მკაცრი ჩრდილოეთის ჰავა რომ განსაკუთბულ გამომეტყველებას ანიჭებდა“.

1916 წელს არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული ქიქოძე თავისი უფროსი მეგობრის — დიმიტრი შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის — „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში ერთვება.

სამშობლო მხარის, მისი ბუნებისა და ხალხის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უკეთ შეცნობის მიზნით, შალვა ქიქოძე ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იგი მონაწილეობას იღებს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ ერთობლივად მოწყობილ პირველ სამხატვრო-სამეცნიერო ექსპედიციაში XV საუკუნის ძეგლის — ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობის პირების გადმოსაღებად. ამას გარდა, მხატვარმა ცხენით შემოირა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კახეთი, აჭარა. მხატვრის დღიურებმა ამ მოგზაურობებით გამოწვეული ემოციური შთაბეჭდილებები შემოგვინახა.

1918 წელს ქიქოძე სამშობლოში ბრუნდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ერთვება. ამავე წლის ბოლოს მას „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად ირჩევენ. საქართველოში დაბრუნებული ჟურნალებთან მჭიდრო თანამშრომლობას აგრძელებს. მისი კარიკატურები იბეჭდება სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში „ლახტი“ (ამ უკანასკნელთან ქიქოძე ჯერ კიდევ 1914 თანამშრომლობდა), „ეშმაკის მათრახი“. ასევე თეატრალურ ჟურნალებთან „თეატრი და ცხოვრება“, „თეატრი და მუსიკა“, ი. ლვოვისა და დ. ტამუროვის რედაქტორობით გამოცემულ რუსულენოვან „ხელოვნებაში“-ში. ქიქოძე ამ გა-

„სამი მსახიობი“

„ახალგაზრდა მეგობრის მოგონება“

მოცემათაგან ზოგიერთის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაშიც კი შედის.

1918 წელს მხატვარი რეჟისორ გიორგი ჯაბადარის მიწვევით მის მიერ ჩამოყალიბებული სტუდიის სპექტაკლებს აფორმებს. ცნობილია, რომ ქმნის დეკორაციებს ჯაკოსის პიესისათვის „ვითა ფოთლები“ და ბრიეს მუსიკალურ დრამისათვის „სარწმუნოება“. სამწუხაროდ, დეკორაციები არ შემორჩენილა.

მხატვარი დაახლოვებული იყო თეატრთან. არქივში შემონახულია მსახიობების — ვერიკო ანჯაფარიძის, ბაბო გამრეკელისა და სხვათა მოგონებები შალვა ქიქოძის თეტრთან თანამშრომლობის შესახებ. თურმე იგი ვერ ეგუებოდა ზოგიერთი რეჟისორის კონსერვატიულ მეთოდს, რის გამოც მხატვარი თავს შეზღუდულად გრძნობდა შემოქმედებითი

„გურია“

„აჭარა“



„პარიზი, ნავები სენაზე“

საქმიანობის დროს.

ვერიკო ანჯაფარიძე ასე აღწერს თავის თანამშრომლობას შალვა ქიქოძესთან ბრიეს სპექტაკლ „სარწმუნოების“ მომზადების პერიოდში: „სარწმუნოება“ ეგვიპტური მითოლოგიიდან იყო. მე, მთავარი მოქმედი პირის, იაუმას შემსრულებელს, უნდა მცმოდა ისტორიულად დაცული ეგვიპტური მძიმე სამოსი, ერთი-მეორეზე ჩაცმული რამდენიმე კაბა — ამას მოითხოვდა გიორგი ჯაბადარი.

შალვა ქიქოძე, როგორც ჩანს, არ ეთანხმებოდა რეჟისორს მე კი, თითქოს, რაღაცა ხელს მიშლიდა, ვერ ვიგრძენი იაუმას სახე, გვიან მივხვდი, თურმე ჩაცმულობა მბოჭავდა. გავიხადე ჯერ ერთი, მეორე კაბა და ბოლოს დავრჩი თხელ სამოსში. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი შვება, შევუთანხმე შალვას, მასაც მოეწონა ჩაცმულობა, გვერდით კიდევ ჩაჭრა ისედაც გამჭვირვალე კაბა. გადავწყვიტეთ, თითქოს ნახევრად შიშველი წარვმდგარიყავი მაყურებლის წინაშე, რითაც ერთგვარ „სიურპრიზს“ მოვუმზადებდი გ. ჯაბადარს. ასეც მოვიქეცით“.

„გურული ქალი“

„აჭარელი ქალი“

მსახიობი ბაბო გამრეკელი ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (1957 წ.) იგონებს ბრიეს „სარწმუნოებაზე“ მუშაობის პერიოდს: „ახალგაზრდები ღამითაც ვიკრიბებოდით ვერიკოსთან ტანისამოსის ან ეგვიპტური მოძრაობის დასამუშავებლად. ამაში დიდ დახმარებას გვიწევდნენ ჩვენთან მომუშავე ახალგაზრდა ენთუზიასტები, ნიჭიერი მხატვრები შალვა ქიქოძე და გიორგი ერისთავი. მოძებნილი გმირისათვის ისინი გვთავაზობდნენ სხვადასხვა ქსოვილს სხვადასხვა ფერის კოსტუმებისათვის, გვირჩევდნენ ამა თუ იმ ეგვიპტურ პოზას, მოძრაობას...“

1919 წელს მხატვარი მონაწილეობას იღებს თბილისში „დიდების ტაძარში“ გამართულ მასშტაბურ გამოფენაში.

1920 წლის 13 იანვარს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ დანიშნული სტიპენდიით შალვა ქიქოძე სხვა ნიჭიერ მხატვრებთან ერთად სასწავლებლად პარიზში მიემგზავრება.

1921 წელს მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი მხატვრების საზოგადოების ყოველწლიურ გამოფენაში. მისი გამოფენები მოეწყო სხვადასხვა გალერეაში: კერძოდ „ლა ლიკორნსა“ და „დამოუკიდებელთა სალონში“.

1921 წელის აგვისტოს დასაწყისში ჭლექით დაავადებული შალვა ქიქოძე პარიზიდან გერმანიაში, კერძოდ, ფრაერბურგში მიემგზავრება, სადაც აღესრულა კიდეც. 1921 წლის 7 ნოემბერს ფრაერბურგის ქართველობამ საქართველოდან შორს, გერმანიის მიწაწყალს მიაბარა შალვა ქიქოძე.

შალვა ქიქოძის ნამუშევრები სამშობლოში მხატვრის მამამ და დავით კაკაბაძემ დააბრუნეს.

შალვა ქიქოძე — კონსტანტინე გამსახურდიას შარჟი



ISSN 1987-5908

შალვა ძიძოძე — „პარიზი, ნავები სენაზე“